



შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“
საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება

შინაგანაწესი



შინაარსი

პრეამბულა. მოქმედი შემოკლებები და განმარტებები	3
თავი I. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი, საქმიანობა, სტრუქტურა, მართვა	4
მუხლი 1. ზოგადი დებულებები	4
მუხლი 2. ბნსუ-ს სტატუსი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქმიანობა, საკონტაქტო ინფორმაცია.....	4
მუხლი 3. ბნსუ-ს მართვის ორგანოები (სუბიექტები). ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულები	4
მუხლი 4. ბნსუ-ს მართვის და გადაწყვეტილების მიღების პრინციპები.....	5
მუხლი 5. სუბორდინაციის (დაქვემდებარების) სისტემა. ბნსუ-ს პერსონალისათვის განკარგულების გაცემის წესი.....	5
მუხლი 6. ეთიკის კოდექსი. აკადემიური ეთიკის კოდექსი	5
თავი II. პერსონალი	8
მუხლი 7. ბნსუ-ს პერსონალი. ბნსუ-ში დასაქმებული სხვა პირები.....	8
მუხლი 8. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	9
მუხლი 9. აკადემიური პერსონალი. ემირიტუსი, საპატიო დოქტორი	9
1. აკადემიური პერსონალი; 2. ემირიტუსი. საპატიო დოქტორი	
მუხლი 10. მოწვეული პერსონალი (საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეული პირები).....	11
მუხლი 11. შრომითი ხელშეკრულება	11
1. წინასახელშეკრულებო ურთიერთობები; 2. გამოსადეგი ვადა; 3. შრომითი ხელშეკრულება. შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა; 4. შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე. შრომითი ხელშეკრულების დადების შეზღუდვა შეთავსებით სამუშაოზე; 5. შრომითი ურთიერთობების შეჩერება, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. დავა. გაფიცვა. ლოკაუტი	
მუხლი 12. შრომითი ურთიერთობები. შრომის შინაგანაწესი. შრომის ანაზღაურება. შრომითი დისციპლინა.	12
1. შრომითი ურთიერთობების წარმოშობა; 2. პერსონალის და სხვა დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების დაცვა; 3. შრომის დაცვა; 4. მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა; 5. პერსონალის ინფორმირება. კომუნიკაცია; 6. პერსონალის განცხადებების განხილვა; 7. სამუშაო განრიგი; 8. უქმე დღეები; 9. შრომის ანაზღაურება; 10. ზეგანაკვეთური სამუშაო. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება; 11. სამუშაოს შესრულების ადგილი. სამსახურებრივი მივლენება; 12. შრომითი დისციპლინა; 13. შევებულება	
მუხლი 13. ბნსუ-ს პერსონალის და სხვა დასაქმებულ პირთა ქცევის წესები.....	15
მუხლი 14. პერსონალის დისციპლინური სახდელები. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება. სახდელის მოხსნა	16
1. დისციპლინური სახდელები; 2. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება; 3. დისციპლინური სახდელის მოხსნა	
მუხლი 15. პერსონალის წახალისება	18
თავი III. სტუდენტი. მაგისტრანტი. პროფესიული სტუდენტი	18
მუხლი 16. სტუდენტი, მაგისტრანტი, პროფესიული სტუდენტი	18
1. სტუდენტი, მაგისტრანტი, პროფესიული სტუდენტი; 2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემების დაცვა; 3. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ინფორმირება. კომუნიკაცია; 4. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტების განცხადებების განხილვა. შეფასების/გადაწყვეტილების გასაჩივრება	
მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია. სასწავლო განრიგი	19
1. პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია; 2. შემეტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია. აკადემიური რეგისტრაცია; 3. სასწავლო განრიგი. არდადეგები. უქმე დღეები; 4. ინდივიდუალური განრიგი; 5. სასწავლო ჯგუფი. არჩევითი სასწავლო კურსების/ინტენსიური სწავლების სასწავლო ჯგუფის ჩამოყალიბება	
მუხლი 18. განათლების მომსახურების ხელშეკრულება. სწავლის საფასური, სხვა ფინანსური ვალდებულებები	25
1. განათლების მომსახურების ხელშეკრულება; 2. სწავლის საფასური. სხვა ფინანსური ვალდებულებები	
მუხლი 19. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა. დამატებითი სემესტრებში სწავლის გაგრძელება. კვალიფიკაციის მინიჭება	25
1. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება; 2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა; 3. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა; 4. დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელება; 5. კვალიფიკაციების მინიჭება. მოწმობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების მოხმენის შესახებ	
მუხლი 20. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები	28
მუხლი 21. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის ქცევის წესები	28
1. ქცევის წესები; 2. გამოცდებზე/დაცვებზე სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ქცევის წესები	
მუხლი 22. სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა დისციპლინური სახდელები. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება. სახდელის მოხსნა	31
1. დისციპლინური სახდელი; 2. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება; 3. დისციპლინური სახდელის მოხსნა	
მუხლი 23. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის წახალისება	32
მუხლი 24. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ხელშეწყობა	32
1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობა; 2. ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობის საფუძვლით სტატუსშეჩერებული სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობა	
თავი IV. დასკვნითი დებულებები	34
მუხლი 25. ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობა	34
მუხლი 26. წესრიგის და უსაფრთხოების დაცვა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. საგანგებო სიტუაციები.....	34
მუხლი 27. პერსონალური მონაცემების დაცვა. პერსონალური მონაცემების დამუშავება.....	35
მუხლი 28. დასკვნითი დებულებები	35



პრეამბულა

1. წინამდებარე შინაგანაწესი შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) ნორმატიული დოკუმენტია;
2. წინამდებარე შინაგანაწესი:
 1. შემუშავებულია ბნსუ-ის იურიდიული და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ;
 2. დამტკიცებულია ბნსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
 3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. შინაგანაწესში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც დამუშავდა ეს შინაგანაწესი;
4. წინამდებარე შინაგანაწესი ვრცელდება ბნსუ-ის შემდეგ დოკუმენტებზე:
 1. სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
 2. პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
 3. მმართველი ორგანოების (სუბიექტების) ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტები;
 4. სასწავლო პროცესის განხორციელების მარეგულირებელი დებულებები/წესები.
5. წინამდებარე შინაგანაწესი აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
 1. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
 2. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ.ვერსია);
 3. ბნსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში (ელ.ვერსია);
 4. ბნსუ-ს ფაკულტეტებზე (ელ.ვერსია).
6. შინაგანაწესის ნორმატიული საფუძველი:
 1. საქართველოს კონსტიტუცია;
 2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
 3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
 4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
 5. საქართველოს შრომის კოდექსი;
 6. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
 7. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
 8. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
 9. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
 10. საქართველოში განათლების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტები;
 11. საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ;
 12. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
 13. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
 14. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
 15. ნდ №2-020101-01 – „სასწავლო უნივერსიტეტში შიგა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედების უზრუნველყოფის პროცედურა“;
 16. ნდ №2-020101-02 – „სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობაში გამოყენებადი მოქმედი დოკუმენტების და ფორმების კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის პროცედურა“;
 17. ნდ №2-020101-03 – „სასწავლო უნივერსიტეტში დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცედურა“.

ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

- ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ხს** - ხარისხის სისტემა;
- ECTS** - კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
- სდ** - საინფორმაციო დოკუმენტი;
- სსა** - საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია;

ნორმატიული დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, ფლებებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეულის დებულება - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უზანს ან მიმართულებას, ქვედანაყოფის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;

აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;

სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება; **ბნსუ ან**

სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.

დანართები

- №01 – აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა (დატვირთვის წესი) და თანდართული ფორმები;
- №02 – მოწვეული პერსონალისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლის დატვირთვის ფორმები;
- №03 – აკადემიური პერსონალის ავილირების წესი და თანდართული ფორმა;
- №04 – ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტირების რეგლამენტი.



თავი I. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი, საქმიანობა, სტრუქტურა, მართვა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ შინაგანაწესი - საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შემდგომში - შინაგანაწესი) წარმოადგენს შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი) საქმიანობის ძირითად მომწესრიგებელ დოკუმენტს, არის შრომითი და განათლების მომსახურების ხელშეკრულებების განუყოფელი შეუდარებელი ნაწილი და სარგებლობს უპირატესი იურიდიული ძალით ყველა სხვა შინაგანაწესის აქტის მიმართ;
2. შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, მოიცავს ბნსუ-ს მართვისა და საქმიანობის ძირითად კონცეპტუალურ მარეგულირებელ პრინციპებს და წესებს, განსაზღვრავს შრომისა და სწავლა-სწავლების განაწესს, ბნსუ-ს ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობებს, ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური პერსონალის და ბნსუ-ში დასაქმებულ სხვა პირების შრომით და დისციპლინურ უფლება-მოვალეობებს, ქცევის წესებს, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, ბნსუ-ს და სტუდენტებს, მაგისტრანტებს (შემდგომში - სტუდენტები) და პროფესიულ სტუდენტებს შორის ურთიერთობებს, სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების უფლება-მოვალეობებს, ქცევის წესებს, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, ბნსუ-ს ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესებს და სხვ.;
3. შინაგანაწესის მოთხოვნები ვრცელდება ბნსუ-ს სტუდენტებზე, პროფესიულ სტუდენტებზე, ბნსუ-ს პერსონალზე და შრომით ურთიერთობებში მყოფ სხვა პირებზე. ბნსუ უზრუნველყოფს საუკარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის, ვებ-გვერდის მეშვეობით. ბნსუ-ს სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, პერსონალი და დასაქმებული სხვა პირები ვალდებული არიან გაეცნონ ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და შეასრულონ ბნსუ-ში მოქმედი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;
4. ბნსუ-ს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შინაგანაწესში და ბნსუ-ს სხვა მარეგულირებელ დებულებებში/წესებში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. ბნსუ-ს სტატუსი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქმიანობა, საკონტაქტო ინფორმაცია

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით შექმნილი შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი (Ltd Batumi Navigation Teaching University) წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სახე - სასწავლო უნივერსიტეტი) და უფლებამოსილია კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა (უმაღლესი განათლების I და II საფეხურის და პროფესიული განათლების ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები), კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭოს შესაბამისი კვალიფიკაციები, გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვ.;
2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში ბნსუ დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. მისი დამოუკიდებლობა ვრცელდება საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, საგამომცემლო, საფინანსო-ეკონომიკურ, შემოქმედებით და სამეწარმეო საქმიანობაზე და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებაზე. ბნსუ-ს, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ავტონომია გულისხმობს ბნსუ-ს და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების თავისუფლებას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დამოუკიდებლად განსაზღვრონ და განახორციელონ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობა. ბნსუ უფლებამოსილია: შეიმუშაოს და კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს უმაღლესი (საბაკალავრო და სამაგისტრო) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მიანიჭოს შესაბამისი კვალიფიკაციები და გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები; შეიმუშაოს და განახორციელოს პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი პროგრამები/კურსები; დაგეგმოს და განახორციელოს ბნსუ-ს პრიორიტეტების, მისიის და განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე მიმართული საქმიანობა; საერთაშორისო, მათ შორის საგანმანათლებლო, სივრცეში ბნსუ-ს ინტეგრაციის, მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ინოვაციების, საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების და პრიორიტეტების, საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი საგანმანათლებლო, მათ შორის ერთობლივი/გაცვლითი, პროგრამების და სხვადასხვა პროექტების შემუშავების, განხორციელებისა და სრულოფის, სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობის, ბნსუ-ს პერსონალისა და ბნსუ-ში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლების, კურსდა-მთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით დაამყაროს კავშირები და პარტნიორული ურთიერთობები, გააფორმოს მემორანდუმები, შეთანხმებები, ხელშეკრულებები და სხვ. ადგილობრივ და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, ორგანიზაციებთან/სხვ., კერძო სექტორის წარმომადგენლებთან და სხვ.; მოიწვიოს ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერები, მკვლევარები და სპეციალისტები როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის, ისე კონფერენციების, მასტერ-კლასების, ტრენინგების, სემინარების და სხვ. ჩატარების მიზნით, მოაზრდოს, თარგმნოს და გამოსცეს სამეცნიერო ჟურნალი, კრებულები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო, მეთოდური და საინფორმაციო მასალები ან/და მიიღოს მონაწილეობა მათ მომზადებაში, თარგმნაში და გამოცემაში, გამოსცეს ბნსუ-ს საქმიანობის ამსახველი სარეკლამო-საინფორმაციო ბუკლეტები და ა.შ. და განახორციელოს სხვა საქმიანობა, რაც ნებადართულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
3. ბნსუ-ს საიდენტიფიკაციო კოდი: 245433623; იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: აჭარა, ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38; ოფიციალური ვებგვერდი: www.bntu.edu.ge; ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: info@bntu.edu.ge

მუხლი 3. ბნსუ-ს მართვის ორგანოები (სუბიექტები). ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულები

1. ბნსუ-ის მართვის ორგანოები (სუბიექტები):

- პარტნიორთა კრება;

წარმომადგენლობითი საბჭო; • აკადემიური საბჭო; • რექტორი;

- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი;
- ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. ბნსუ-ში სხვა სტრუქტურული ერთეულები იქმნება ბნსუ-ს შეუფერხებელი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფის, დასახული მიზნების მიღწევისა და სამოქმედო/განვითარების გეგმების რეალიზების მიზნით, მათ რიცხვს მიეკუთვნება:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; • ფაკულტეტები; • ბიბლიოთეკა;

- რექტორის აპარატი;



- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის აპარატი;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- იურიდიული სამსახური;
- საფინანსო სამსახური;
- სტუდენტთა რეგისტრაციის, შეფასებისა და მონიტორინგის სამსახური;
- ტექნოლოგიური უზრუნველყოფის და კომუნიკაციის სამსახური;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- სამეურნეო სამსახური;
- დაცვის სამსახური;
- კანცელარია და საუწყებო არქივი;
- საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი;
- სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“;
- აბიტურიენტთა მომზადების ცენტრი;
- ენების შემსწავლელი სკოლა;
- საერთო საცხოვრებელი და სასტუმრო;
- კულტურისა და სპორტის ცენტრი;
- სამედიცინო პუნქტი;
- კვების ბლოკი;
- პრაქტიკისა და დასაქმების სამსახური.

3. მართვის ორგანოების და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი და ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით. შესაბამის სამსახურობრივ პოზიციაზე დანიშნვის/არჩევის წესი და შერჩევის კრიტერიუმები/მოთხოვნები, დანიშნულ/არჩეულ პირთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით ან/და თანამდებობრივი ინსტრუქციებით;

4. ბნსუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო, სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულია ფაკულტეტი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, ცვლილებების შეტანას, პროგრამების განხორციელებასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიურ და პროფესიულ კვალიფიკაციების მინიჭებას, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტის მართვის პრინციპებს, უფლებამოსილებებს და ფუნქციებს ადგენს ფაკულტეტის (სტრუქტურული ერთეულის) დებულება;

5. ბნსუ-ს შემადგენლობაში შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის ორგანო არის სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც აერთიანებს ბნსუ-ს სტუდენტებს, უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ბნსუ-ს მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სტუდენტების/პროფესორების სტუდენტების უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას, შეიმუშავებს წინადადებებს ბნსუ-ში სწავლების და განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და სხვ. სტუდენტური თვითმმართველობა ირჩევს წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოს წევრ-სტუდენტებს. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე მონაწილეობს სადისციპლინო კომისიის მუშაობაში. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის პრინციპებს, უფლებამოსილებებს და სხვ. აღწერს სტუდენტური თვითმმართველობის დებულება.

მუხლი 4. ბნსუ-ს მართვის და გადაწყვეტილების მიღების პრინციპები

- სამართლიანობა, თანასწორობა, სიტყვის თავისუფლება, თავისუფლება გადაწყვეტილების მიღებისას;
- გადაწყვეტილებების, არჩევნების და კონკურსების სამართლიანობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა;
- აკადემიური თავისუფლებისა და სტუდენტთა მონაწილეობა ბნსუ-ს მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- აკადემიური თავისუფლება;
- თანასწორი მოპოვება განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა ან ნებისმიერი სხვა ნიშნით;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მუხლი 5. სუბორდინაციის (დაქვემდებარების) სისტემა. ბნსუ-ს პერსონალისათვის განკარგულების გაცემის წესი

1. სუბორდინაცია გულისხმობს ზემდგომ თანამდებობის პირთა და ორგანოთა წინაშე ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე. ბნსუ-ში მოქმედებს დაქვემდებარების სისტემა, რომელს განსაზღვრავს ანგარიშვალდებულებებს:

- რექტორი - პარტნიორთა კრების წინაშე;
- რექტორის მოადგილე (პრორექტორი) - რექტორის წინაშე;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი - პარტნიორთა კრების წინაშე;
- ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - პარტნიორთა კრების, აკადემიური საბჭოს და რექტორის წინაშე;
- ფაკულტეტის დეკანი - წარმომადგენლობითი, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოების და რექტორის წინაშე;
- ფაკულტეტის დეკანის მოადგილე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის, ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის წინაშე;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ფაკულტეტის საბჭოს და ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წინაშე.

2. გაცემული განკარგულება შეიძლება იყოს ზოგადი და პერსონალური, წერილობითი და ზეპირი. წერილობითი განკარგულება გადაეცემა თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, რაც დასტურდება ხელმოწერით;

3. პერსონალურ განკარგულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გასცემს რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი და სტრუქტურული ერთეულის უფროსი.

მუხლი 6. ეთიკის კოდექსი. აკადემიური ეთიკის კოდექსი

1. ბნსუ-ს ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსი ეყრდნობა სამართლიანობის, ხალხის პატივისცემისა და პირადი პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს და გულისხმობს:

- ნებისმიერი სახით დისკრიმინაციის დაუშვებლობის აღიარებას;
- საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულებას;



- აკადემიურ თავისუფლების აღიარებას და აკადემიურ კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვას;
- ყველა სტუდენტისთვის თავისუფალ გარემოში თანასწორ პირობებში განათლების მიღების უფლების აღიარებას;
- დასაქმებული პირისთვის თავისუფალ გარემოში თანასწორ პირობებში სამუშაოს შესრულების უფლების აღიარებას;
- პიროვნების კანონიერი ინტერესების, ინტელექტუალური საკუთრების, გამოგონებების და საავტორო უფლებების დაცვას;
- ურთიერთპატივისცემის, კეთილსინდისიერების, ნდობის, სამართლიანობის და პასუხისმგებლობის პრინციპების აღიარებას.
- საქმიანობის სამართლიანობის, საჯაროობის და ობიექტურობის პრინციპების აღიარებას და დაცვას.

ბნსუ-ს თანასაზოგადოება (ბნსუ-ში ყველა დასაქმებული პირი, სტუდენტები და პროფესიული სტუდენტები) აღიარებს, რომ:

- მისიწრაფის შექმნას და შეინარჩუნოს ურთიერთნდობის გარემო, რომლის გარეშე წარმოუდგენელია იდეების თავისუფალი გაცვლა, შემოქმედება და პიროვნების განვითარება;
- ურთიერთობების და საქმიანობის საფუძველია სამართლიანობის, სოლიდარობის, ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთის საგანმანათლო, კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობის და მისი შედეგებისადმი პატივისცემის პრინციპები;
- მისთვის მიუღებელია: ბნსუ-ს ეთიკის კოდექსის, აკადემიური ეთიკის კოდექსის, ბნსუ-ში მოქმედი ქვეყნის და ბნსუ-ს ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესების დარღვევა; აკადემიური თავისუფლების, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებით, შემეცნებით საქმიანობის უფლების რეალიზებაზე და კრიტიკაზე ან საჩივრარზე პასუხის და/ან განმარტების გაცემის შესაძლებლობის დაუსაბუთებელი შეზღუდვების დაწესება; ბნსუ-ში ადმინისტრაციული და აკადემიური გადაწყვეტილების მიღების და სწავლა-სწავლების დისკრიმინაცია ასაკის, რასის/კანის ფერის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური თუ სხვა შეხედულებების, სპეციალური საჭიროებების ან სხვ. ნიშნით; ბნსუ-ში პოლიტიკური თუ რელიგიური პარტიების/საზოგადოებების ორგანიზება; სხვისი აზრისადმი მიუღებლობის ან უპატივცემლობის გამოხატვა, შეურაცხყოფელი გამოხატვების გამოყენება ან მსგავსი ქმედების ჩადენა; პირადი ანტიპარის გამოხატვა ან პროფესიული უთანხმოებების გამო კონფლიქტური სიტუაციის შექმნა.

ეთიკის კოდექსი ვრცელდება ბნსუ-ში ყველა დასაქმებულ პირზე, სტუდენტებზე და პროფესიულ სტუდენტებზე და წარმოადგენს ბნსუ-ში მოქმედი ქვეყნის წესების საფუძველს, მას უნდა შეესაბამებოდეს ბნსუ-ში მოქმედი სტანდარტები, წესები და პრაქტიკები. ეთიკის კოდექსის პრინციპების დარღვევისთვის დადგენილი დისციპლინური სასჯელები მითითებულია წინამდებარე შინაგანაწესში (დისციპლინური სახდელის საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ შესაბამის მუხლებში).

2. ბნსუ-ს აკადემიური ეთიკის კოდექსი

აკადემიური ეთიკის კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) ეყრდნობა ბნსუ-ს ეთიკის კოდექსის პრინციპებს, ვრცელდება ბნსუ-ს აკადემიური საზოგადოების (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები) ყველა წევრზე და წარმოადგენს ერთობლიობას იმ პრინციპებს და სტანდარტებსა, რომლებიც მოქმედებენ აკადემიური (სწავლა, სწავლება, კვლევა, სხვ.) საქმიანობის პერიოდში და რომელთა დაცვა სავალდებულოა.

2.1. **აკადემიური თავისუფლების პრინციპი.** ბნსუ აღიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპს - აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტების უფლებას დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა, ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლის გარეშე განსაზღვრონ კვლევის ობიექტი, კონტროლისა და ცენზურის გარეშე გამოაქვეყნონ თავიანთი კვლევითი, შემეცნებითი და პრაქტიკული სამუშაოს შედეგები, კორექტულ ფორმაში თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი და დამოკიდებულება. ბნსუ-ს აკადემიური საზოგადოება ხელმძღვანელობს აკადემიური თავისუფლების, ინტელექტუალური პატიოსნების პრინციპებით და იზიარებს აკადემიური კეთილსინდისიერების და კულტურის დაცვის და მხარდაჭერის პასუხისმგებლობას.

2.2. **პედაგოგიური საქმიანობის ეთიკის სტანდარტი.** ბნსუ-ში პედაგოგიური საქმიანობაში ჩართული ყველა პირი აღიარებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელსა და სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს (შემდგომში - სტუდენტები) შორის ურთიერთობები ეფუძნება აკადემიური თანამშრომლობის, სამართლიანობის და გამჭვირვალების პრინციპებს, და დაუშვებელია:

- სტუდენტთან ისეთი ურთიერთობების დამყარება/დამყარების მცდელობა, რომლებიც სცდება საგანმანათლებლო, კვლევითი ან აკადემიური ურთიერთობების სხვა ფორმებს და ჩარჩოებს;
- სტუდენტისაგან პირდაპირი ან ირიბი გზით ნებისმიერი ფინანსური ან მატერიალური სარგებლის ან/და მომსახურების მიღება ან/და ასეთი საჩუქრის/მომსახურების პირდაპირი ან ირიბი მოთხოვნა;
- პროტექციონიზმი ან ოჯახის წევრი/მეგობარი/სხვ. სტუდენტის მიმართ ისეთი დამოკიდებულება, რომელიც სტუდენტს აყენებს პრივილეგიურ მდგომარეობაში ან ეჭვქვეს აყენებს მისი შეფასების ობიექტურობას.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების მიღების და სასწავლო პროცესში ყველა სტუდენტის თანაბარი ჩართულობის შესაძლებლობა;
- სტუდენტის ცოდნა და უნარები შეაფასოს კეთილსინდისიერად და სამართლიანად, გამოიყენოს შეფასების განჭირვალე კრიტერიუმების, რომლებიც დადგენილია პროგრამის კონკრეტული კომპონენტისთვის;
- რეაგირება მოახდინოს დარღვევის ისეთ ფაქტებზე, როგორცაა პლაგიატი, ინფორმაციის გაყალბება, ფალსიფიცირება, მანიპულირება, შეფასებების შედეგების გაყალბება, გადაწერა, სხვის ნაცვლად ნაშრომის/დავალბების შესრულება და/ან ამის საცანცვლოდ პირდაპირი ან ირიბი გზით რაიმე სახის ფინანსური ან მატერიალური სარგებლის ან/და მომსახურების მიღება;
- შექმნას ყველა აუცილებელი პირობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიერ დავალების შესრულებისა და კომპეტენციების დემონსტრირებისთვის;
- არ მოთხოვს სტუდენტს მისი პერსონალური მონაცემების გასაჯაროება, დაიცავს სტუდენტის პერსონალური მონაცემების და პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

პირადი მონაცემების და ინფორმაციის კონფიდენციალურობის პრინციპი გულისხმობს:

- სავალდებულოა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულება;
- დაუშვებელია სტუდენტის წერილობითი თანხმობის გარეშე ან ინფორმაციის გასაჯაროების გამამართლებელი ობიექტური გარემოებების არარსებობის პირობებში სტუდენტის აკადემიური მოსწრების ან სტუდენტის მიმართ გამოყენებული სასჯელების შესახებ ინფორმაციის მესამე პირისთვის გადაცემა;
- დაუშვებელია მესამე პირთა მიერ სტუდენტის იმ ნაშრომთან დაკავშირებული კომენტარების და შენიშვნების გასაჯაროება, რომელიც არ იყო წარდგენილი საჯარო დაცვაზე;
- დაუშვებელია სტუდენტის აკადემიური მოსწრების საჯარო განხილვა (გარდა შეფასების შედეგებთან ან სხვა აკადემიური საკითხებთან დაკავშირებული საჩივრის/აპელაციისა, რომელთა შესწავლა ობიექტურად მოითხოვს/ამართლებს ამგვარ განხილვას);
- დაუშვებელია სტუდენტის წერილობითი თანხმობის გარეშე პირადი ხასიათის ინფორმაციის გამოყენება ან ნებისმიერი სახით გასაჯაროება.

2.3. **სტუდენტთა აკადემიური საქმიანობის ეთიკის სტანდარტი.** ბნსუ-ს სტუდენტის აკადემიური საქმიანობა მოიცავს სავალდებუ-



ლო საგანმანათლებლო (პროგრამით გათვალისწინებულ) საქმიანობას და სტუდენტის სურვილისამებრ - შემეცნებით/შემოქმედებით/კვლევით საქმიანობას. სტუდენტმა უნდა დაიცვან ბნსუ-ს ეთიკის კოდექსის, აკადემიური ეთიკის კოდექსის, ბნსუ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებების და ქვეყნის წესების მოთხოვნები და ისარგებლოს ბნსუ-ს ინფრასტრუქტურით (კომპიუტერული ტექნიკა, ბიბლიოთეკა და სხვა რესურსები) წინამდებარე შინაგანაწესში (მუხლი „ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობა“) მითითებული წესების დაცვით.

2.4. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტი. აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი და სხვ. საქმიანობისას ბნსუ-ს აკადემიური საზოგადოების წევრები ვალდებული არიან დაიცვან აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები.

1. ბნსუ-ში პლაგიატად მიიჩნევა ინფორმაციის წყაროს ადეკვატური (რუსული და ზუსტი) მითითების გარეშე საკუთარ ნაშრომში სხვისი იდეების, მონაცემების, ტექსტების, გამოსახულებების, გამონათქვამების ან სხვ. (შემდგომში - ნაშრომის ფრაგმენტები) გადმოტანა: ა) უცვლელად ან ბ) ისეთი ცვლილებებით, რომელთა შედეგად უცვლელი რჩება გამოყენებული ნაშრომის ფრაგმენტის არსი

2. ბნსუ-ში ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბებად, ფალსიფიცირებად, მანიპულირებად მიიჩნევა აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის ისეთი დარღვევები, როგორცაა არარსებული ინფორმაციის/მონაცემების/წყაროების მითითება, საკუთარი შეხედულებისამებრ არსებული ინფორმაციის/მონაცემების შეცვლა, არასწორი წყაროს მითითება ან წყაროს აღწერისას მონაცემებით მანიპულირება და სხვ..

3. ბნსუ-ში დაუშვებელია:

- პლაგიატი, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბება, ფალსიფიცირება, მანიპულირება (მათ შორის: არარსებული ინფორმაციის/მონაცემების/წყაროების მითითება, საკუთარი შეხედულებისამებრ არსებული ინფორმაციის/მონაცემების შეცვლა, არასწორი წყაროს მითითება ან წყაროს აღწერისას მონაცემებით მანიპულირება);
- ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის ფუნქციის ზოროტად გამოყენება და საკუთარი მიზნებისთვის კონკურსზე წარდგინილ ნაშრომებში არსებული ინფორმაციის, მონაცემების, კვლევის შედეგების, დასკვნებისა და სხვ. გამოყენება;
- დაუსაბუთებლად თანავეტორობის მოთხოვნა;
- კვლევის ჰიპოთეზის, დასკვნების და/ან სხვ. საწინააღმდეგოდ გამოტანილი/გამოთქმული დასკვნების/მოსახრებების დამალვა;
- ემპირიული კვლევის მეთოდის შესახებ განზრახ არასწორი ინფორმაციის წარდგენა;
- სამეცნიერო საქმიანობაში კონკრეტული პირების მიერ ინტელექტუალური წვლილის დამალვა ან უარყოფა;
- ხელნაწერების, ემპირიული კვლევის მონაცემების, ემპირიული მასალების ნიმუშების და სხვ. მოპარვა ან განზრახ დაზიანება/განადგურება, დასკვნების, ანგარიშების და სხვ. გაყალბება;
- პირადი ანტიპატიის, კონკურენციის ან სხვა მოტივით პირის/მისი ნაშრომის არაკორექტული, ტენდენციური კრიტიკა;
- აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობისას სხვის ნაცვლად კვლევის/ნაშრომის/სხვ. შესრულება და/ან ამის საცანცვლოდ პირდაპირი ან ირიბი გზით რაიმე სახის ფინანსური ან მატერიალური სარგებლის ან/და მომსახურების მიღება;
- ისეთი საქმიანობის ხელშეწყობა, რომლითაც ირღვევა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები.

4. ბნსუ-ში სავალდებულოა:

- სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩართულმა პირმა დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები;
- ნაშრომის ხელმძღვანელმა, რეცენზენტმა, ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრმა, სხვ. დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები და სათანადოდ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;
- ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე ხელმძღვანელმა სტუდენტს აუხსნას წყაროებთან მუშაობის, სხვისი ციტატების/მონაცემების/გამოსახულებების/სხვ. გამოყენების და ნაშრომში ასახვის წესები, განუმარტოს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების არსი, შესრულების მნიშვნელობა და მათი დარღვევისთვის დაწესებული სანქციები.

2.5. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვის ვალდებულება. ბნსუ-ში მოქმედებს შემდეგი წესი:

- აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა მიიჩნევა აკადემიური ეთიკის კოდექსის დარღვევად, იწვევს დისციპლინურ წარმოებას და ბნსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური სანქციის დაკისრებას;
- პლაგიატის, ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტები უნდა იქნეს გამოვლენილი ნაშრომის გამოქვეყნების ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების მომენტამდე;
- პლაგიატის გამოვლენის მიზნით ნაშრომის შემსწავლელი პირ(ებ)ი იყენებენ სხვადასხვა რესურსს, მათ შორის - ელექტრონულს;
- პერსონალის სამეცნიერო სტატეგიაში, ნაშრომებში, მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებში და სხვ. პლაგიატის, ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტები უნდა იყოს გამოვლენილი რეცენზენტების მიერ;
- სტუდენტის საბაკალავრო, სამაგისტრო/სხვა კვლევითი ნაშრომების შემთხვევაში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების გამოვლენის პასუხისმგებლობა აკისრიათ ნაშრომის ხელმძღვანელს და რეცენზენტებს (საკურსო თეორიული ნაშრომის/ესე/სხვ. შემთხვევაში - ნაშრომის ხელმძღვანელს/პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელს). ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია სტუდენტის ნაშრომზე მუშაობის დასრულებამდე პერიოდულად შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების გამოვლენის მიზნით. რეცენზენტი ამოწმებს უკვე დასრულებულ (სარეცენზიოდ გადმოცემულ) ნაშრომს;
- საბაკალავრო, სამაგისტრო/სხვა კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტები, სამეცნიერო ნაშრომის/სახელმძღვანელოს/მეთოდური მასალის/სხვ. (შემდგომში - ნაშრომი) რეცენზენტები ადგენენ რამდენად სწორადაა ნაშრომში მითითებული წყაროები და გამოყენებული ციტატები/მონაცემები/სხვ., არსებობს თუ არა პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ნიშნები. შესწავლის შედეგად ნაშრომის ხელმძღვანელის და რეცენზენტის დასკვნაში ნაშრომი შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად: 1) ნაშრომი მოიცავს მხოლოდ სწორად გამოყენებულ და მითითებულ ციტატებს/მონაცემებს/სხვ., წყაროები სრულად და ზუსტადაა მითითებული; 2) ციტატების/მონაცემების/სხვ. გამოყენებისას და წყაროების მითითებისას დაშვებულია ფორმალური ხასიათის დარღვევები, რომლებიც არ ატარებენ პლაგიატის, ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ნიშნებს. ამ შემთხვევაში ნაშრომის ავტორს ეძლევა ვადა (სამეცნიერო ნაშრომი/სახელმძღვანელო/სხვ. - 01 თვე, საბაკალავრო/სამაგისტრო/სხვ. ნაშრომი - 05 კალენდარული დღე) ხარვეზების გამოსასწორებლად, რის შემდეგ ხდება გასწორებული ხარვეზების შემოწმება; 3) ნაშრომში ფიქსირდება ინფორმაციის არაკორექტული გამოყენების შემთხვევები, რომლებიც ატარებენ პლაგიატის, ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ნიშნებს. ამ შემთხვევაში აუცილებელია ნაშრომის ავტორმა განმარტოს და დაასაბუთოს აღნიშნული ფაქტები. დასაბუთებული განმარტების არარსებობის შემთხვევაში მისი ქმედება განიხილება როგორც პლაგიატი, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბება, ფალსიფიცირება ან მანიპულირება და ნაშრომის ავტორი კარგავს განმეორებით იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას;
- პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის წერილობით დასაკვნაში, ნაშრომის შემსწავლელი კომისიის შემთხვევაში - ოქმში



უნდა იყოს მითითებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების დასაბუთება. მიერ დასკვნა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ნაშრომის ავტორს და გადაეცეს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს (ბნსუ-ს რექტორს);

- პირს, რომელიც არ ეთანხმება დასკვნაში დაფიქსირებულ პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტებს, უფლება აქვს დასკვნის გაცნობიდან არაუმეტეს 01 სამუშაო დღეში (ბნსუ-ში განცხადებების/საჩივრების წარდგენისთვის დადგენილი წესით) წერილობითი სააპელაციო განცხადებით მიმართოს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს (ბნსუ-ს რექტორს), ასევე, მას შეუძლია მოითხოვოს საკითხის განხილვაზე დასწრება და ზეპირად არგუმენტების წარდგენა (მოთხოვნა უნდა იყოს მითითებული სააპელაციო განცხადებაში); აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული, მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული რას აპროტესტებს ნაშრომის ავტორი, მისი არგუმენტები უნდა იყოს მკაფიოდ და ლაკონურად ჩამოყალიბებული. ზოგადი ხასიათის აპელაცია არ განიხილება, გადაწყვეტილება აპელაციის განუხილველად დატოვებაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ნაშრომის ხელმძღვანელს, რეცენზენტს შეუძლია დასკვნის ჩაბარებისთანავე მიმართოს განცხადებით აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს (ბნსუ-ს რექტორს) და მოითხოვოს საკითხის განხილვაში მონაწილეობა - საკუთარი მოსაზრებებისა და არგუმენტების ზეპირი წარდგენის შესაძლებლობა;
- საბაკალავრო, სამაგისტრო/სხვა კვლევით ნაშრომში, სამეცნიერო ნაშრომში/სახელმძღვანელოში/მეთოდურ მასალაში/სხვ. პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე (ბნსუ-ს რექტორი) არაუმეტეს 02 სამუშაო დღეში იწვევს აკადემიური საბჭოს სხდომას. აკადემიური საბჭო განიხილავს დასკვნას და სააპელაციო განცხადებას (არსებობის შემთხვევაში), საჭიროების შემთხვევაში ქმნის პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემსწავლელ კომისიას (მის შემადგენლობაში არ შედიან პირები, რომლებმაც მოაწიადეს დასკვნა ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შესახებ), ასევე, აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი კომისია განიხილავს სააპელაციო განცხადებას (არსებობის შემთხვევაში). აკადემიური საბჭო/საბჭოს მიერ შექმნილი კომისია უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს დაინტერესებული პირი, ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, დამოუკიდებელი ექსპერტები. აკადემიური საბჭო/აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი კომისია 05 სამუშაო დღეში განიხილავს საკითხს და აშუადებს დასაბუთებულ დასკვნას, რომელიც არის საბოლოო. პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების დადასტურების შემთხვევაში აკადემიური საბჭო მიმართავს რექტორს პირის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე;
- პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის/სხვა ნებისმიერი გზით ლეგალიზების შემდგომ პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში აკადემიური საბჭო მიმართავს ბნსუ-ს რექტორს ნაშრომის ავტორის და დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის, ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრ(ებ)ის (ბნსუ-ს პერსონალის შემთხვევაში) მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით.

თავი II. პერსონალი

მუხლი 7. ბნსუ-ს პერსონალი. ბნსუ-ში დასაქმებული სხვა პირები

1. ბნსუ-ში არსებობს ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური თანამდებობები;
2. ბნსუ უფლებამოსილია აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოიწვიოს (კონკურსის გარეშე დაკონტრაქტოს) ან კონკურსის წესით შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები (შემდგომში - მოწვეული პერსონალი). ასევე, ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ბნსუ-ში არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია ერთჯერადი სამუშაოს შესრულების მიზნით დააკონტრაქტოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები;
3. ადმინისტრაციული (გარდა რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერისა), დამხმარე და მოწვეული პერსონალის შემთხვევაში ბნსუ უფლებამოსილია საჭიროებისამებრ განსაზღვროს ვაკანტური თანამდებობები და ვაკანტური ადგილების რაოდენობა (შემდგომში - ვაკანსია), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა ბნსუ-ში დასაქმების მექანიზმი (პირდაპირი დააკონტრაქტება/კონკურსი), დაინტერესებული პირთა ინფორმირების მექანიზმი (ინფორმაციის მასმედის საშუალებებით გამოქვეყნება/დასაქმების ვებგვერდ(ებ)ზე ან/და ბნსუ-ს ვებგვერდზე განთავსება), საკვალიფიკაციო მოთხოვნები/შერჩევის კრიტერიუმები, წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი, საბუთების წარდგენის წესი (ბნსუ-ში ამონაბეჭდი სახით წარდგენა/ელ.ფოსტით გაგზავნა) და ვადები, საბუთების შემსწავლელი პირ(ებ)ის ვინაობა, საბუთების განხილვის და გასაუბრების ჩატარების (არსებობის შემთხვევაში), შედეგების გამოცხადების და გასაჩივრების ვადები და წესი, შრომითი ხელშეკრულების პირობები, ანაზღაურების ოდენობა და სხვ. ბნსუ-ში ვაკანსიები გამოდინარეობს ბნსუ-ში არსებული/დაგეგმილი საჭიროებებიდან; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი ადგენს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერთან შეთანხმებით) - სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების, ვაკულტეტის დეკანი - საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების ვაკანსიებს. ბნსუ-ში დასაქმების საფუძველია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა: მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - კვალიფიკაციის შესაბამისობა კანონმდებლობით და ბნსუ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (მაგ., სასწავლო კურსის სილაბუსი და/ან სხვ.), ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შემთხვევაში - შესაბამისობა შესასრულებელ ფუნქციებთან (მითითებულია შესაბამის დებულებაში/თანამდებობრივ ინსტრუქციაში) და ბნსუ-ს მიერ დადგენილ სხვა მოთხოვნებთან (მაგ., ანალოგიურ სამსახურებრივ პოზიციაზე მუშაობის/ანალოგიური ფუნქციების შესრულების გამოცდილება, ადმინისტრაციული პერსონალის და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შემთხვევაში - ასევე, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ეფექტურობის/ხარისხის უზრუნველყოფის ხედვა და/ან სხვ.). ბნსუ-ში კონკურსის წესით ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის შერჩევის შემთხვევაში: 1) კონკურსის ეტაპებში მოიაზრება ვაკანსიების (ვაკანსიური თანამდებობების) და რაოდენობების, წარსადგენი საბუთების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების და დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მექანიზმის (მასმედის საშუალებებით გამოქვეყნება/დასაქმების ვებგვერდ(ებ)ზე ან/და ბნსუ-ს ვებგვერდზე განთავსება) განსაზღვრა, შესაბამისი ბრძანების გამოცემა, კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება, დასაქმების მსურველთა საბუთების მიღება-შესწავლა და გასაუბრება (არსებობის შემთხვევაში), შედეგების გამოცხადება, შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში - საპრეტენზიო განცხადებების მიღება, განხილვა და შედეგის გამოცხადება, დანიშნვის ბრძანების გამოცემა, შრომითი ხელშეკრულების გაფორმება; 2) ბნსუ უზრუნველყოფს შემდეგი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას: ვაკანტური თანამდებობები, ვაკანტური ადგილების რაოდენობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი და მათი წარდგენის ვადა/თარიღ(ებ)ი (სამუშაო დღეებისა და საათების მითითებით) და წესი (ბნსუ-ში ამონაბეჭდი ფორმით წარდგენა და/ან ელ.ფოსტაზე გაგზავნა), გასაუბრების (არსებობის შემთხვევაში) თარიღი და საათი/განრიგი, შედეგების გამოცხადების ვადა/თარიღ(ებ)ი (სამუშაო დღეების და საათების მითითებით)



და წესი (დასაქმების მსურველის პირად ელ. ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნა/სხვ.), საბუთების განხილვის შედეგების გასაჩივრების - საპრეტენზიო განცხადებების წარდგენის ვადა/თარიღ(ებ)ი (სამუშაო დღეების და საათების მითითებით) და წესი (ბნსუ-ში ამონაბეჭდი ფორმით ჩაბარება და/ან ელ.ფოსტაზე გაგზავნა, საპრეტენზიო განცხადების განხილვის შედეგის გამოცხადების ვადა/თარიღი და წესი (დასაქმების მსურველის პირად ელ.ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნა/სხვ.), დასაქმების მსურველთა მიერ ბნსუ-ში წარსადგენი ანკეტები/ფორმები (არსებობის შემთხვევაში) და დამატებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა (ბნსუ-ს მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა, ვებგვერდი); 3) რამდენიმე თანამარი კვალიფიკაციის მქონე დასაქმების მსურველთა შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება: მოწვეული სპეციალისტის შემთხვევაში - მაგ., შესაბამისი სასწავლო კურსის გაძღოლის წლების რაოდენობა, ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამის დარგში გამოცემული/გამოქვეყნებული ნაშრომების/პუბლიკაციების რაოდენობა, დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება (ე.წ. „სტაჟი“), სპეციალური მომზადება და/ან სხვ., ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შემთხვევაში - მაგ., შესაბამის თანამდებობაზე მუშაობის/შესაბამისი ფუნქციების შესრულების ხანგრძლივობა (ე.წ. „სტაჟი“), სპეციალური მომზადება და/ან სხვ. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში ბნსუ-ში ტარდება ღია კონკურსი, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ბნსუ-ში მოქმედი „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესით“. ბნსუ-ში რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს თანამდებობაზე ნიშნულ-ს პარტნიორთა კრება, რომელიც უფლებამოსილია გამოიყენოს მხოლოდ შესაბამის თანამდებობრივ ინსტრუქციებში მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაადგინოს და გამოიყენოს დამატებითი პირობები/მოთხოვნები (მაგ., ბნსუ-ს განვითარების ხედვა/გეგმა/სტრატეგია და ან/სხვ.), დაადგინოს და გამოიყენოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის თანამდებობაზე დანიშვნის/შერჩევის მექანიზმი (პირდაპირი დაკონტრაქტება/კონკურსი, რომელიც ტარდება ზემოთ აღწერილი წესების შესაბამისად);

4. ბნსუ-ს პერსონალმა და ბნსუ-სთან შრომით ურთიერთობებში მწყობმა სხვა პირებმა უნდა პირადად შეასრულონ დასაქმებულისთვის კანონმდებლობით და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებები, შეასრულონ ბნსუ-ს ხელმძღვანელობის კანონიერი მოთხოვნები, ბნსუ-ს შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ქცევის და სხვა მარეგულირებელი წესები, პასუხისმგებლობა აიღონ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და დაიცვან არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ბნსუ-ს პერსონალს და ბნსუ-სთან შრომით ურთიერთობებში მწყობ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ შრომითი ხელშეკრულების პირობების და დამსაქმებლისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება, წინამდებარე შინაგანაწესის განსაზღვრული წესების დაცვა.

მუხლი 8. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: ბნსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სამტატო ნუსხით, რომელსაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო;
2. ბნსუ-ს ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნებიან: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსები, ფაკულტეტების დეკანები და ფაკულტეტების დეკანების მოადგილეები;
3. დამხმარე თანამდებობებს მიეკუთვნებიან: სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ფაკულტეტებსა და სტრუქტურული ერთეულებში სამტატო ნუსხით გათვალისწინებული პირები - ფაკულტეტების და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები;
4. უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით, შესაბამისი დებულებებით და/ან სამსახურეობრივი ინსტრუქციებით. ადმინისტრაციული პერსონალს აქვს უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები ბნსუ-ს მართვის და საქმიანობის სრულყოფის მიზნით, მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა, მისი სამსახურეობრივ დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების ან თანამშრომლების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, სხვადასხვა რესურსებით უზრუნველყოფა და სხვ., განახორციელოს საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე შინაგანაწესისა და ბნსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად. ადმინისტრაციული პერსონალი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს ბნსუ-ს შეუფერხებელი და გამართული მუშაობა, დაგეგმოს და განახორციელოს საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის, ბნსუ-ს შინაგანაწესის და მოქმედი მარეგულირებელი წესების შესაბამისად, პასუხისმგებლობა აიღოს თავის საქმიანობაზე და მის სამსახურეობრივ დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების ან თანამშრომლების საქმიანობის ხარისხზე, დაიცვას წინამდებარე შინაგანაწესით და სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ეთიკის კოდექსი და ქცევის წესები, შეასრულოს ზემდგომი მართვის ორგანოს (სუბიექტის) მიერ მიღებული კანონიერი გადაწყვეტილებები და შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებები. დამხმარე პერსონალს აქვს უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს მონაწილეობა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაში, შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები სტრუქტურული ერთეულის მართვის და საქმიანობის სრულყოფის მიზნით, მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა, განახორციელოს საქმიანობა ბნსუ-ში მოქმედი შინაგანაწესის, დებულებების/წესების და სამსახურეობრივი ინსტრუქციების შესაბამისად და სხვ. დამხმარე პერსონალი ვალდებულია შეასრულოს თავისი კომპეტენციის შესაბამისი საქმიანობა, პასუხისმგებლობა აიღოს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, დაიცვას წინამდებარე შინაგანაწესით და სხვ. მარეგულირებელი დებულებებით/წესებით დადგენილი მოთხოვნები, ეთიკის კოდექსი და ქცევის წესები, შეასრულოს ზემდგომი ორგანოს/პირის მიერ მიღებული კანონიერი გადაწყვეტილებები და შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებები.

მუხლი 9. აკადემიური პერსონალი. ემირიტუსი, საპატიო დოქტორი

1. აკადემიური პერსონალი

1. აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი (შემდგომში - პროფესორთა შემადგენლობა) და ასისტენტები. პროფესორთა შემადგენლობა მონაწილეობს სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/ და წარმართავს მათ; ასისტენტი (პროფესორის, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით) ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში. აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების და პირობების დაცვით ჩატარებული ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ 01 თვით ადრე ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით. ბნსუ-ში კონკურსის ძირითადი მოთხოვნები განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ბნსუ-ში შესაძლებელია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავება. ბნსუ-ში პირი აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა კონკურსის ჩატარების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვადის გათვალისწინებით. ბნსუ-ში აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსის ჩატარების პროცესი რეგულირდება ბნსუ-ში მოქმედი „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესით“;
2. აკადემიური თავისუფლება: აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს მართვაში დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება და სამეცნიერო კვლევა, თავისუფალია სწავლებისა და კვლევის პროცესში, მის მიერ



განხორციელებული სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის შინაარსის, სწავლა/სწავლების მეთოდების, სტუდენტთა შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების განსაზღვრაში. ამავდროულად, აკადემიური პერსონალი ვალდებულია გაითვალისწინოს ბნსუ-ს საგანმანათლებლო პრიორიტეტები, უზრუნველყოს პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობისა და ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მოთხოვნები;

3. აკადემიური პერსონალის საქმიანობის მიმართულებები, ატესტაცია: ბნსუ-ში აკადემიური პერსონალის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია - სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის ღონისძიებები; ბნსუ-ს და ბნსუ-ში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა. მითითებულ მიმართულებებში ასისტენტი საქმიანობას განხორციელებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. მითითებული მიმართულებები თანხვედრაშია საატესტაციო მიმართულებებთან. ბნსუ-ს პროფესორები და ასოცირებული პროფესორები არჩევიდან 5 წელიწადში გადიან სავალდებულო ატესტაციას. გარდა მითითებულისა, ბნსუ-ს გადაწყვეტილებით შესაძლებელია სხვა ვადაშიც ატესტაციების ჩატარება. ატესტაციაში მონაწილეობა სავალდებულოა. პირი, რომელიც დააკმაყოფილებს დაკავებული აკადემიური თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს (წარმატებით გაივლის ატესტაციას), აგრძელებს მუშაობას დაკავებულ აკადემიურ თანამდებობაზე. დაკავებული აკადემიური თანამდებობისთვის წაყენებული მოთხოვნების შეუსრულებლობა/შეუსაბამობა ან უარის თქმა ატესტაციაში მონაწილეობის მიღებაზე შეიძლება გახდეს პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ბნსუ-ში ატესტაციის პროცესი რეგულირდება ბნსუ-ში მოქმედი „ატესტაციის ჩატარების წესით“;

4. უფლებები და მოვალეობები: აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს მართვაში, არჩეული იყოს აკადემიურ, წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებაში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში) და სხვ., ჩარევის გარეშე განხორციელოს სწავლება, შემოქმედებითი საქმიანობა, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის სილაბუსის შინაარსი, სწავლების მეთოდები, სტუდენტის შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და სხვ., აფილირებულ პერსონალს აქვს უფლება განხორციელოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ბნსუ-ს რესურსების გამოყენებით, მიიღოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსება და სხვ.; პროფესორთა შემადგენლობა ვალდებულია სასწავლო პროცესი წარმართოს ბნსუ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების და სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის სილაბუსის შესაბამისად, სასწავლო პროცესის დაწყების-თანავე გააცნოს სტუდენტებს სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის სილაბუსის შინაარსი და განუმარტოს სილაბუსში მოცემული ინფორმაცია, განაახლოს და დახვეწოს სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის სილაბუსი და დაიცვას ბნსუ-ში მოქმედი სილაბუსის ფორმა, სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად შეადგინოს და საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე დათქმულ ვადაში წარადგინოს (ამონაბეჭდი და ელ. ვერსიები) შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების საკითხების რამდენიმე ვარიანტი, შეავსოს მიმდინარე შეფასებების და საგამოცდო უწყისები, უზრუნველყოს სტუდენტების ობიექტური შეფასება და სასწავლო პროცესში თანასწორი მონაწილეობა, ჩაუტაროს სტუდენტებს კონსულტაციები და უზრუნველყოს მათი შეფასებების განხილვა, შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობა და სხვ.; ასისტენტს უფლება აქვს მიიღოს გამოთქვას მოსახრობის და წარადგინოს რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ორგანიზების და საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით, მიიღოს მონაწილეობა ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში; ასისტენტი ვალდებულია პროფესორის, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით განხორციელოს სასემინარო და სხვ. სამუშაოები ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში, შეასრულოს მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების/წესების და სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსის მოთხოვნები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს სტუდენტებს შესასწავლი საკითხების უკეთ გაგებაში, შედეგების გაუმჯობესებაში და სხვ. ასევე, ბნსუ-ს აკადემიურ პერსონალს აქვს უფლება მოითხოვოს შრომითი ხელშეკრულებით და წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესრულება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშაოს წინამდებარე და რეკომენდაციები ბნსუ-ს მართვის და საქმიანობის სრულყოფის მიზნით, მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა და საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ში ჩატარებულ გამოკითხვებში და ღონისძიებებში, გამოთქვას მოსახრობები სასწავლო პროცესის ორგანიზების, პროგრამის და პროგრამის კომპონენტის შესასწავლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის, წიგნადი ფონდის განახლების და სხვ. შესახებ, განხორციელოს საქმიანობა წინამდებარე შინაგანაწესის და ბნსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად, განხორციელოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება. აკადემიური პერსონალი ვალდებულია დამატებითი მეცადინეობის/კონსულტაციების ჩატარებით აანაზღაუროს მის მიერ გაცემული საკონტაქტო (ლექცია, პრაქტიკული სამუშაო და/ან სხვ.) და არასაკონტაქტო (საკონსულტაციო) საათები, საქმიანობა წარმართოს ამ მუხლში მითითებული მიმართულებებით, პირადად შეასრულოს წინამდებარე შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, უზრუნველყოს სწავლების და განათლების ხარისხი, პასუხისმგებლობა აიღოს განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე, მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ში/ბნსუ-ს მონაწილეობით დაგეგმილ ღონისძიებებში/პროექტებში, სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამებში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჩართულობას კურიკულუმისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში და კვლევითი და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება-სრულყოფას, დაეხმაროს სტუდენტებს კვლევითი/შემოქმედებითი ნაშრომების/პროექტების შემუშავებაში, მოამზადოს ისინი კონფერენციებში მონაწილეობისთვის; გაუწიოს დახმარება სტუდენტთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით; ფაკულტეტის დეკანს წარუდგინოს შესრულებული აკადემიური დატვირთვის ანგარიში, დაიცვას ბნსუ-ს წესდების, შინაგანაწესის, მარეგულირებელი დებულებების/წესების მოთხოვნები, ეთიკის კოდექსი, აკადემიური ეთიკის კოდექსი და ქვევის წესები, შეასრულოს პარტნიორთა კრების, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის, აკადემიური, წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების კანონიერი გადაწყვეტილებები და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებები. პროფესორი და ასოცირებული პროფესორი ვალდებულია აკადემიურ თანამდებობაზე არჩევიდან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ გაიაროს ატესტაცია. აკადემიური პერსონალი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ში დაგეგმილ ატესტაციებში/შეფასებებში.

5. აფილირებული აკადემიური პერსონალი: თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმებით, განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. ბნსუ-ში აფილირების საკითხებს აღწერს „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“.

2. ემირიტუსი. საპატიო დოქტორი ბნსუ-ს უფლება აქვს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის მეცნიერს, მკვლევარს, საზოგადო მოღვაწეს ან ბნსუ-ს პარტნიორს-დაწესებულ-

ლების ხელმძღვანელს/წარმომადგენელს ბნსუ-ს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ბნსუ-სთან ხანრძლივი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, ბნსუ-ს განვითარებაში ან მხარდაჭერაში შეტანილი წვლილისთვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება. ბნსუ-ს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ბნსუ-ს უფლება აქვს ბნსუ-ს პროფესორს მიანიჭოს ემირიტუსის აკადემიური წოდება. გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის და ემირიტუსის მინიჭების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით იღებს აკა-



დემიური საბჭო. საპატიო დოქტორის ან ემირიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში. ემირიტუსის წოდების მქონე პირს არ შეიძლება ეკავოს აკადემიური თანამდებობა.

მუხლი 10. მოწვეული პერსონალი (საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეული პირები)

1. ბნსუ უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისთვის მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები (მოწვეული სპეციალისტები) - სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით, სპეციალური კომპეტენციის/პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები (მასწავლებლები) - პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობის გაძღოლის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის - შესაბამისი კვალიფიკაციის/პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც უძღვებიან თეორიულ, ლაბორატორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობებს;

2. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამო-მუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რომელიც შეიძლება დადგინდეს: დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით, შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით/პუბლიკაციებით, მიღებული სპეციალური განათლებით/მომზადებით, პროფესიული/პრაქტიკული გამოცდილებით, რომლებიც ადასტურებენ შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; მასწავლებლის შემთხვევაში - სპეციალური განათლებით/მომზადებით და პრაქტიკული გამოცდილებით; პროფესიული პროგრამის შემთხვევაში აუცილებელია პირის კვალიფიკაციის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;

3. უფლებები და მოვალეობები: მოწვეულ პერსონალს არ ეკრძალება სხვა, საქართველოს/უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობა. მოწვეულ პერსონალს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ბნსუ-ში ჩატარებულ გამოკითხვებში და ღონისძიებებში, სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამებში/პროექტებში, ხელი შეუწყოს სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების ჩართულობას კურიკულუმისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში, დაეხმაროს სხვადასხვა ნაშრომების/პროექტების და სხვ. შემუშავებაში, გამოთქვას მოსაზრებები სასწავლო პროცესის ორგანიზების, სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის შესასწავლად აუცილებელი მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის, წიგნადი ფონდის განახლების და სხვ. შესახებ, განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა უფლებამოსილება და სხვ., მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა, შრომითი ხელშეკრულებით და წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესრულება; მოწვეული პერსონალი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, უზრუნველყოს სწავლების ხარისხი, პასუხისმგებლობა აიღოს განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების და კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმართოს სასწავლო პროცესი/მიიღოს მონაწილეობა მის წარმართვაში, განუმარტოს სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს მეცადინეობაზე განსახილველი საკითხები ან ლაბორატორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობაზე შესასრულებელი სამუშაო, მიაწოდოს ამ სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაცია და დაეხმაროს მის შესრულებაში. მოწვეული სპეციალისტი და პროფესიული პროგრამების განმხორციელებელი თავისი კომპეტენციის შესაბამისად ვალდებულია განახლოს და დახვეწოს სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი, სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად შეადგინოს და საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 02 კვირისა წარდგინოს შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების საკითხების რამდენიმე ვარიანტი (ამონაბეჭდი და ელ. ვერსიები), შეავსოს უწყისები, უზრუნველყოს შუალედური გამოცდების (შემოწმების) შედეგების განხილვა, სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების ობიექტური შეფასება და სასწავლო პროცესში თანასწორი მონაწილეობის უფლება, ჩაუტაროს სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს კონსულტაციები და დაეხმაროს მათ სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. მოწვეული სპეციალისტი სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის პროგრამის (სილაბუსის) შედგენისას თავისუფალია სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის შინაარსის, სწავლა/სწავლების მეთოდების, სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდების, კრიტერიუმების და სხვ. განსაზღვრაში, სწავლებისა და სწავლის პროცესში, ამავედროულად იგი ვალდებულია გაითვალისწინოს სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის სპეციფიკა, უზრუნველყოს სასწავლო კურსით/პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა. მოწვეული პერსონალი ვალდებულია დამატებითი მეცადინეობის/კონსულტაციების ჩატარებით აანაზღაუროს მის მიერ გაცდენილი საკონტაქტო (ლექცია, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა და/ან სხვ.) და არასაკონტაქტო (საკონსულტაციო) საათები, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ-ს შინაგანაწესის, მარეგულირებელი დებულებების/წყისების, ეთიკის კოდექსის, აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქვევის წესების მოთხოვნები, აკადემიური, წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის გადაწყვეტილებები და შრომითი ხელშეკრულების პირობები.

მუხლი 11. შრომითი ხელშეკრულება

1. წინასახელშეკრულებო ურთიერთობები

ბნსუ ვალდებულია დასაქმების მსურველს გააცნოს წინამდებარე შინაგანაწესი და მიაწოდოს ინფორმაცია: შესასრულებელი სამუშაოს, შრომითი ხელშეკრულების ფორმის (წერილობითი/ხეპირი) და ვადის (განსაზღვრული/განუსაზღვრელი), შრომის პირობების, დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის და შრომის ანაზღაურების შესახებ. დასაქმების მსურველი ვალდებულია ბნსუ-ს აცნობოს იმ გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას ბნსუ-ს ან მესამე პირის ინტერესებს. ბნსუ უფლებამოსილია შეამოწმოს წარდგენილი ინფორმაციის სისწორე და მოიპოვოს ინფორმაცია დასაქმების მსურველს შესახებ, რომელიც ესაჭიროება დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, ამავედროულად, ბნსუ ვალდებულია არ გაასაჯაროს მისთვის წარდგენილი და მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულად ითვლება მხარეთა მიერ შრომითი ხელშეკრულების დადებით ან დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებით.

2. გამოსაცდელი ვადა

შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით (გარდა აკადემიური თანამდებობისა), ბნსუ-ს და დასაქმებულს შორის შეთანხმებით შესაძლებელია ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება არაუმეტეს 06 თვის გამოსაცდელი ვადით და მხოლოდ წერილობითი ფორმით. გამოსაცდელი ვადით მუშაობა ანაზღაურებადია, ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ბნსუ-ს და დასაქმებულს შორის შეთანხმებით. ბნსუ-ს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება ან შეწყვიტოს მასთან გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

3. შრომითი ხელშეკრულება. შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა

შრომითი ურთიერთობების საფუძველია ბნსუ-ს და დასაქმებულ პირს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება, რომლის მხარეებს წარმოადგენენ ერთი მხრივ - ბნსუ და მეორეს მხრივ - დასაქმებული პირი. შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა 03 თვეზე მეტ ხანს გრძელდება. თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება. დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელ-



შეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას. შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე შინაგანაწესი, რომლის შინაარსი უნდა იყოს ცნობილი პირისთვის შრომითი ხელშეკრულების დადებამდე. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შრომით ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად მითითებულ დოკუმენტ(ებ)ში, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. ბნსუ-ს უფლება აქვს, დასაქმებულისათვის შეტყობინებით დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რომლებიც არ ცვლის ხელშეკრულების არსებით პირობებს. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას.

4. შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე. შრომითი ხელშეკრულების დადების შეზღუდვა შეთავსებით სამუშაოზე

შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება. დასაქმებულს უფლება შეასრულოს სხვა სამუშაო შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულებით შეიზღუდოს, თუ ასეთი სამუშაოს შესრულება ხელს შეუშლის ბნსუ-ში ძირითად სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას ან/და თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებით სამუშაო, ბნსუ-ს კონკურენტია.

5. პერსონალის თანამდებობრივი შეუთავსებლობა. თანამდებობების შეთავსება

თანამდებობრივი შეუთავსებლობა: ადმინისტრაციული, აკადემიური, დამხმარე პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ბნსუ-ის პარტნიორთა კრების მიერ. ასევე, პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა შეიძლება განისაზღვროს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. თანამდებობების შეთავსება: შესაძლებელია დასაქმებულს შეეთავსოს რამდენიმე ადმინისტრაციული/დამხმარე თანამდებობა, აკადემიური და ადმინისტრაციული/დამხმარე თანამდებობა/თანამდებობები ან სხვა მოვალეობის შესრულება.

6. შრომითი ურთიერთობების შექრება. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. დავა. გაფიცვა. ლოკაუტი

1. შრომითი ურთიერთობის შექრება არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. დასაქმებულის მიერ შრომის კოდექსით გათვალისწინებული საფუძველით შრომითი ურთიერთობის შექრების მოთხოვნისას ბნსუ-ის ვალდებულია შრომითი ურთიერთობა გათავისუფლებული ვადით შეაჩეროს. შრომითი ურთიერთობა შექრებულად ჩაითვლება მოთხოვნის წარდგენიდან შექრების საფუძველს აღმოფხვრამდე. შრომითი ურთიერთობის შექრების შემთხვევაში, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დასაქმებულს არ მიეცემა შრომის ანაზღაურება, თუ საქართველოს კანონმდებლობით ან შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

2. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა (ვადანი ხელშეკრულების შემთხვევაში); შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება (ვადანი ხელშეკრულების შემთხვევაში); მხარეთა წერილობითი შეთანხმება; დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება; დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან (მათ შორის, ატესტაციის ვერ გავლა/ატესტაციის გავლაზე უარის თქმა); დასაქმებულის მიერ მისთვის შრომითი ხელშეკრულებით ან/და ბნსუ-ს შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა; ბნსუ-ში მოქმედი ქვეყის წესების დარღვევა, რომელიც ამ შინაგანაწესში გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევენ ხელშეკრულების შეწყვეტას; ხანგრძლივი შრომისუუნარობა (საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში); ბნსუ-ს ლიკვიდაციის წარმოების დაწყება ან საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების (ავტორიზაციის) გაუქმება; ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას, და სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას; დასაქმებულის გარდაცვალება; სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს; სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის/ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ; საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები. ბნსუ-ს ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა და დასაქმებულისთვის კომპენსაციის გაცემა ხდება საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დასაქმებულის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას პირი ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს ბნსუ წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის (ვადანი ხელშეკრულების შემთხვევაში) ან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში პირი ვალდებულია 05 სამუშაო დღეში მოახდინოს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით გადაცემული/მასზე რიცხული მატერიალურ ფასეულობათა და მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ჩაბრუნება და ბნსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, რის შემდეგ სრულად ანგარიშსწორება მოხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შესაბამისი წესის დაცვით;

3. დავა (შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება) წარმოიშობა მხარის მიერ მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით უთანხმოების შესახებ და მისი წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დარღვევა; შრომითი ხელშეკრულების ან შრომის პირობების დარღვევა; დასაქმებულსა და ბნსუ-ს შორის შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებთან დაკავშირებული უთანხმოება. სადავო საკითხები გვარდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ამ პროცედურის დაწყების შესახებ მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მითითება წარმოშობილი დავის საფუძველი და მხარის მოთხოვნები. შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში მხარე ვალდებულია განიხილოს შეტყობინება და მეორე მხარეს წერილობით აცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. დაუშვებელია დავის განხილვის პროცესში მხარის მიერ მოთხოვნების გაზრდა ან დავის საგნის შეცვლა. ურთიერთშეთანხმების შედეგად მხარეების/მათი წარმომადგენლების მიერ მიღწეული წერილობითი შეთანხმება მიიჩნევა წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილად. თუ დავის დაწყების შესახებ მხარის წერილობითი შეტყობინებიდან 14 კალენდარულ დღეში მხარემ თავი აარიდა დავის განხილვის პროცედურას ან ამ ვადაში შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მაშინ დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დავის განხილვა არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შექრებას;

4. გაფიცვა არის დასაქმებულის, ლოკაუტი - ბნსუ-ს მიერ დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის/ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ არის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

5. დაცვის, გაფიცვის და ლოკაუტის შემთხვევაში მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები.

მუხლი 12. შრომითი ურთიერთობები. შრომის შინაგანაწესი. შრომის ანაზღაურება. შრომითი დისციპლინა

1. შრომითი ურთიერთობების წარმოშობა

ბნსუ-ში ადმინისტრაციული/დამხმარე თანამდებობაზე მიიღება 18 წლის ასაკს მიღწეული ქმედუნარიანი პირი. რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს ბნსუ-ს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციები. შრომითი ურთიერთობების გამომრიცხავი გარემოებებია: პირის ქმედუნაროვა, პატიმრობაში ყოფნა, სასამართლოს მიერ შესაბამისი საქმიანობის უფლების



ჩამორთმევა. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. ინფორმირება პერსონალური მონაცემების და უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ

წინამდებარე შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, მისი შინაარსი ხელშეკრულების ხელმოწერამდე ცნობილია დასაქმებულისთვის. ამდენად, პირისთვის ცნობილია ბნსუ-ში მოქმედი პერსონალურ მონაცემთა და ბნსუ-ში უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ. ბნსუ-სთან ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს, რომ თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები ბნსუ-ს მიერ დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასაქმებული ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ბნსუ-ს ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (გარდა სამედიცინო დახმარების პუნქტის, სამუშაო, გამოსაცვლელი და ჰიგიენისთვის განკუთვნილი ფართისა) წესრიგის, უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ვიდეოკონტროლის მოწყობილობების გამოყენების შესახებ.

3. შრომის დაცვა

ბნსუ უზრუნველყოფს სიცოცხლის და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას, უსაფრთხოების წესების, სანიტარული ნორმების და სხვ. დაცვით სამუშაო ადგილის ტექნიკურ აღჭურვას, უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და სხვა წესების შესახებ დასაქმებულის ინფორმირებას, შრომის პირობების, უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და სხვა წესების შესრულების კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ბნსუ იღებს ვალდებულებას შეასრულოს შრომის დაცვის ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და სამართლებრივი ნორმები და გონივრულ ვადაში დასაქმებულს მიაწოდოს ინფორმაცია იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. დასაქმებულს უფლება აქვს უარი თქვას იმ სამუშაოს შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბნსუ-ს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

4. მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა

მიყენებული ზიანისათვის დგება ზიანის ანაზღაურების ფინანსური და/ან მატერიალური პასუხისმგებლობა. ბნსუ-სთვის მიყენებული ზიანის (ბნსუ-ს ქონების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დაზიანება/განადგურება ან სხვ.) იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (ზიანის ანაზღაურების ოდენობა დგინდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით მიყენებული ზიანის გათვალისწინებით). მიყენებული ზიანის ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. პერსონალის ინფორმირება კომუნიკაცია

ბნსუ უზრუნველყოფს დასაქმებულის ინფორმირებას საჯარო ინფორმაციის საინფორმაციო დაფაზე და/ან ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებით (საჯარო ინფორმირება), ზეპირი ფორმით ინფორმაციის მიწოდებით ან ოფიციალური ელ.ფოსტით დასაქმებულის ელ.ფოსტაზე პირადი შეტყობინების გაგზავნით (პერსონალური ინფორმირება). დასაქმებულს შეუძლია მიმართოს ბნსუ-ს (ორშაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე) წერილობითი განცხადების/საჩივრის/სხვ. კანცელარიაში ჩაბარებით ან ბნსუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე გაგზავნით, ბნსუ-ს ოფიციალური ელ. ფოსტის მეშვეობით ან საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დარეკვით და უკავშირდეს ბნსუ-ს ადმინისტრაციას, მიაწოდონ, მიიღონ ან დააზუსტონ ინფორმაცია.

6. პერსონალის განცხადებების განხილვა

დასაქმებულს შეუძლია საჭიროებისამებრ მიმართოს ბნსუ-ს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს/ფაკულტეტის დეკანს, რაც შეიძლება მოხდეს სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე) განცხადების/საჩივრის/სხვ. კანცელარიაში წერილობით წარდგენით ან ბნსუ-ს ოფიციალურ ელ. ფოსტაზე გაგზავნით. შემოსული განცხადება/საჩივარი/სხვ. იქნება რეგისტრირებული შესაბამის სააღრიცხვო ჟურნალში. განცხადების/საჩივრის/სხვ. შემოსვლიდან მომდევნო სამუშაო დღეს კორესპონდენცია წარედგინება ბნსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, რის შემდეგ განცხადება/საჩივარი/სხვ., მისი შინაარსიდან გამომდინარე, გადაეცემა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსს, ფაკულტეტის დეკანს, იურიდიული და/ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს(ებს) პასუხის პროექტის მოსამზადებლად. პასუხის პროექტს ეწეობა ბნსუ-ს რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი. თანხმობის შემთხვევაში ხდება პასუხის ამობეჭდვა ბნსუ-ს ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერა და შესაბამის სააღრიცხვო ჟურნალში რეგისტრაცია. განცხადებაზე/საჩივარზე/სხვ. პასუხის მომზადება ხდება კანცელარიაში მისი რეგისტრაციიდან/ელ. ფოსტით მიღებიდან 05 სამუშაო დღის ვადაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო განხილვა და პასუხის მომზადება მოითხოვს მეტ ვადას. მითითებულიდან გამონაკლის წარმოადგენს ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების, მანიპულირების ფაქტებთან დაკავშირებული სააპელაციო განცხადების წარდგენის ვადა და განხილვის წესი (აღწერილია წინამდებარე შინაგანაწესის მუხლში „ეთიკის კოდექსი. აკადემიური ეთიკის კოდექსი“). განცხადებაზე/საჩივარზე პასუხის მიღება შესაძლებელია კანცელარიაში (ორშაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე) ან ბნსუ-ს ოფიციალური ელ. ფოსტის მეშვეობით.

7. სამუშაო განრიგი

სამუშაო დრო არის ასტრონომიული საათების რაოდენობა, რომლის განმავლობაში ბნსუ-ს პერსონალი (შემდგომში - დასაქმებული) ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობები. სამუშაო დღოში არ ითვლება შესვენების, დასვენების და არასამუშაო საათებში ბნსუ-ში ყოფნის დრო. სრული განაკვეთით მომუშავე დასაქმებულის სამუშაო დრო კვირაში არ აღემატება 40 საათს, დღეში - არაუმეტეს 8 საათს (გარდა ცვლაში მომუშავე დაცვის სამსახურის თანამშრომლებისა). არასრული (ნაწილობრივი) დატვირთის ოდენობა და პირობები განისაზღვრება ინდივიდუალურად ისევე, როგორც ინდივიდუალური 40 საათიანი კვირული სამუშაო განრიგი. ბნსუ-ში სამუშაო დღეებია ორშაბათი - შაბათი, დასვენების დღე - კვირა. ბნსუ-ში სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე, შაბათს - 9⁰⁰ სთ-დან 15⁰⁰ სთ-მდე. სასწავლო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე და ბნსუ-ს გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის/ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისთვის შეიძლება დადგინდეს განსხვავებული (ინდივიდუალური) სამუშაო განრიგი - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით მაგ.: 9⁰⁰ სთ-დან 17⁰⁰ სთ-მდე, 10⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე, 11⁰⁰ სთ-დან 19⁰⁰ სთ-მდე და/ან სხვ., შაბათს - 9⁰⁰ სთ-დან 15⁰⁰ სთ-მდე. ბნსუ-ში ინდივიდუალური სამუშაო განრიგი დგება დასაქმებულსა და ბნსუ-ს ადმინისტრაციას შორის შეთანხმებით. დასვენებისათვის (გარდა შაბათისა) დადგენილია ერთსაათიანი შესვენება სამუშაო განრიგიდან გამო-მდინარე: 13⁰⁰ - 14⁰⁰ სთ ან 14⁰⁰ - 15⁰⁰ სთ, დასაქმებულს, რომელიც მემუდური კალია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მო-თხოვის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 01 საათისა, რომელიც ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება. დაცვის სამსახურის თანამშრომლები მუშაობენ სპეციალური სამუშაო განრიგის მიხედვით (ცვლის ხანგრძლივობა - არა-უმეტეს 12 სთ., ცვლებს (სამუშაო დღეებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არის არანაკლებ 12 სთ.). ბიბლიოთეკა მუშაობს 9⁰⁰ - 18⁰⁰ საათამდე (ორშაბათი-პარასკევი, შესვენების გარეშე), შაბათს - 9⁰⁰-დან 15⁰⁰-მდე. მოწვეული პერსონალის სამუშაო დღეები, სამუშაოს



დაწყების და დამთავრების საათები განისაზღვრება სასწავლო პროცესის განრიგით და დაკავშირებულია საკონტაქტო და საკონსულტაციო საათებთან და წინამდებარე შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან. აკადემიური პერსონალის ყოველდღიურად სამუშაოს დაწყების და დამთავრების საათები დაკავშირებულია სასწავლო განრიგთან (საკონტაქტო და საკონსულტაციო საათებთან) და წინამდებარე შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან, დასვენებისათვის (გარდა შაბათისა) აკადემიური პერსონალისთვის დადგენილია ერთსაათიანი შესვენება, რომლის გამოიყენება სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით.

8. უქმე დღეები

უქმე დღეებად მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეები: 1 და 2 იანვარი; 7 იანვარი; 19 იანვარი; 3 მარტი; 8 მარტი; 9 აპრილი; სააღდგომო დღეები (დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომის დღე, აღდგომის მეორე დღე - ორშაბათი. თარიღები გარდამავალია); 9 მაისი; 12 მაისი; 26 მაისი; 28 აგვისტო; 14 ოქტომბერი; 23 ნოემბერი. დასაქმებულს უფლება აქვს არ იმუშაოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში, კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში ბნსუ-ს მოთხოვნით დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაო მიიჩნევა ზეგანაკვეთურად. კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა ბნსუ-ს მიერ შეიძლება დამატებითად განისაზღვროს ბნსუ-ში დასვენების/უქმე დღეები.

9. შრომის ანაზღაურება

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შემთხვევაში შრომის ანაზღაურება ხდება შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილი ოდენობით. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში შრომის ანაზღაურება ხდება აკადემიური თანამდებობისთვის დადგენილი ოდენობით თვის განმავლობაში ჩატარებული საკონტაქტო საათების გათვალისწინებით. მოწვეული პერსონალისთვის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დატვირთვიდან (საკონტაქტო საათების რაოდენობიდან) და თითოეული საკონტაქტო საათის ღირებულებიდან გამომდინარე თვის განმავლობაში ჩატარებული საკონტაქტო საათების გათვალისწინებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გაცემილი საკონტაქტო და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ გაცემილი სამუშაო საათების ღირებულება დაიქვითება საანგარიშსწორებო თვის შრომის ანაზღაურებიდან. შრომის ანაზღაურება გაიცემა ფულადი სახით ყოველთვიურად თვეში ერთხელ, მომდევნო თვის არაუგვიანეს 30 რიცხვისა, თუ ხელფასის გაცემის დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეებს – მომდევნო სამუშაო დღეს. განსაკუთრებულ შემთხვევებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის გადაწყვეტილებით ხელფასი შეიძლება გაიცეს წინსწრებით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით. შრომის ანაზღაურება შეიძლება იყოს ფიქსირებული, საათობრივი ან ფიქსირებული და საათობრივი. ბნსუ არ არის პასუხისმგებელი საბანკო დაწესებულებაში თანხის დაგვიანებით მიღებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, თუ ამ თანხის გადარიცხვა ბნსუ-ს მიერ მოხდა დროულად, დადგენილ ვადებში. დასაქმებულის სამუშაოს შესრულებისათვის შრომითი ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების გარდა ბნსუ-ს არ ეკისრება სხვა რაიმე ანაზღაურების (პრემია და/ან სხვა) გაცემის ვალდებულება. ბნსუ-ს უფლება აქვს დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, მისთვის დასაქმებულს აქვს გადასახდელი. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დატვირთვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

10. ზეგანაკვეთური სამუშაო. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება

ზეგანაკვეთურ სამუშაოდ ჩაითვლება ბნსუ-ს მოთხოვნით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს, ან სამუშაოს შესრულება უქმე დღეებში (ბნსუ-ს და დასაქმებულს შორის შესაძლოა იყოს მიღწეული შეთანხმება უქმე დღეებში დასაქმებულის მუშაობის შესახებ). ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ბნსუ-ს და დასაქმებულს შორის შეთანხმებით ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების გათვალისწინებით და მისი ანაზღაურდება საანგარიშსწორებო თვის ხელფასის გაზრდილი ოდენობით, შეიძლება იქნეს მიღწეული შეთანხმება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო: ა) ანაზღაურების გარეშე - სტიქიური უზედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის; ბ) სათანადო ანაზღაურებით - საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის.

11. სამუშაოს შესრულების ადგილი. სამსახურებრივი მივლინება

1. დასაქმებული საქმიანობას ახორციელებს ბნსუ-ს კანონიერ მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში (ტერიტორიაზე). შესაძლებელია ბნსუ-ს მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, რაც არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად, თუ: ა) საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით დასაქმებულის საცხოვრებელი ადგილიდან, სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არაუმეტეს 3 საათისა დღეში და არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს ან ბ) სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არ აღემატება 90 წუთს. ორივე მთავალბო გარემოების ერთდროულად შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად;
2. დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად, თუ მივლინების ვადა არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს. მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება სრულად თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გადაწყვეტილებას მივლინებაში გაგზავნის შესახებ იღებს ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი. სამივლინებო ფურცელი გაიცემა ხელმოწერილი ბრძანების საფუძველზე.

12. შრომითი დისციპლინა დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობები სამუშაო დროის განმავლობაში. სამუშაო ადგილზე გამოუ-

ცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია, მისი სამსახურებრივი დაქვემდებარების გათვალისწინებით, აღმიშნული შესახებ აცნობოს ბნსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს/ფაკულტეტის დეკანს და წარუდგინოს განცხადება ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის სახელზე სამსახურში არყოფნის პერიოდის ან დაგვიანების შესახებ მიზეზის მითითებით. წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში პირი ვალდებულია წერილობითი ან ზეპირი ფორმით აცნობოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს/ფაკულტეტის დეკანს გამოუცხადებლობის მიზეზის და სავარაუდო პერიოდის შესახებ; წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში - წინასწარ მიმართოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს/ფაკულტეტის დეკანს, წარადგინოს წერილობითი განცხადება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე, სადაც მითითებულია სამსახურში შემდგომი არყოფნის მიზეზები და სავარაუდო პერიოდი, და ითხოვოს ამ ხნის განმავლობაში სამსახურებრივი მოვალეობისგან დროებით გათავისუფლება. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/ფაკულტეტის დეკანი მოტივაციის მითითებით უნარ აცხადებს ხელმოწერაზე ან თანხმობის ნიშნად ხელს აწერს განცხადებას და შუამდგომლობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან განცხადების დაკმაყოფილებაზე. ბნსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია იმავე სემესტრის უახლოეს სასწავლო კვირებში ადადგინოს საპატიო თუ არასაპატიო მიზეზით გაცემილი საკონტაქტო და საკონსულტაციო საათები. არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე დაგვიანების ან/და სამუშაოს გაცემის ან შინაგანაწესის, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბნსუ უფლებამოსილია გამოიყენოს წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბა-



მისი ზომა. შრომის შინაგანაწესის, ქვევის წესების, სამუშაო განრიგის, წინამდებარე შინაგანაწესით ან შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების განზრახვის/სისტემატიურად დარღვევის შემთხვევაში ბნსუ უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. დასაქმებული ვალდებულია შევუდგეს მისი ვალდებულებები და სამსახურებრივ მივლინებაში გამგზავრებამდე უზრუნველყოს მასთან არსებული სამსახურებრივი ხასიათის დოკუმენტაციის გადაცემა მისი შემცველი პირის ან უშუალო ხელმძღვანელისათვის. დასაქმებული ვალდებულია სამუშაო პირადად შეასრულოს. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შეთანხმებით შესაძლებელია განსაზღვრული ვადით სამუშაოს შესრულება მესამე პირის მიერ.

13. შევბულება

1. ანაზღაურებადი შევბულება: ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური პერსონალი (შემდგომში - დასაქმებული) სარგებლობს ყოველწლიური ანაზღაურებადი შევბულებით - წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით. შევბულებაში არ ითვლება შრომის კოდექსით გათვალისწინებული დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, შევბულება ორსულობის, მშობიარობისა და ზავშვის მოვლის გამო, შევბულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შევბულება ზავშვის მოვლის გამო. ანაზღაურებადი შევბულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის 12 თვის შემდეგ. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შეთანხმებით ანაზღაურებადი შევბულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გავლამდე. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შეთანხმებით, დასაქმებულს შეუძლია ყოველწლიური ანაზღაურებადი შევბულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება ან/და განსხვავებული ვადების და პირობების განსაზღვრა იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას. დასაქმებულის თანხმობით დასაშვებია შევბულების გადატანა მომდევნო წლისათვის, დაუშვებელია ანაზღაურებადი შევბულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში, ასევე, დაუშვებელია ანაზღაურებადი შევბულების შეცვლა ფულადი კომპენსაციით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამსახურიდან განთავისუფლებულ პირს შევბულებით არ უსარგებლია. ანაზღაურებადი შევბულება ბნსუ-ს პერსონალს ეძლევათ წელიწადში ერთხელ (როგორც წესი, ზაფხულის არდადეგების პერიოდში). თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ბნსუ უფლებამოსილია დაადგინოს დასაქმებულთათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებადი შევბულებათა მიცემის რიგითობა. აკადემიური პერსონალის შევბულებაში გავლის თარიღები განისაზღვრება ბნსუ-ში სასწავლო პროცესის ვადებიდან და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე - შევბულებაში გავლამ არ უნდა შეაფერხოს სასწავლო პროცესი, ხელი შეუშალოს ბნსუ-ში დაგეგმილ ღონისძიებების/სხვ. ჩატარებას და სხვ. აკადემიური პერსონალი, რომელიც ამავდროულად მიეუთვნება ადმინისტრაციულ ან დამხმარე პერსონალს, ანაზღაურებადი შევბულებაში გავლის მხოლოდ როგორც ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობის პირი შესაბამისი სამშვებულებო პერიოდისა და ანაზღაურების ოდენობით. ასეთ შემთხვევაში შევბულებაში მყოფი პირი განიხილება სხვა თანამდებობიდან ანაზღაურების გარეშე შევბულებაში გასულ პირად. სამშვებულებო პერიოდამდე 10 დღით ადრე ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის სახელზე იწერება განცხადება შევბულებით სარგებლობის მოთხოვნით, რომელსაც უნდა დაერთოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/ფაკულტეტის დეკანის თანხმობა. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/დეკანი უფლებამოსილია თანხმობის ნიშნად ხელი მოაწეროს წარდგენილ განცხადებას ან არგუმენტირებული უარი თქვას მითითებულ პერიოდში შევბულებით სარგებლობაზე, თუ ამით შეფერხდება სამსახურის მუშაობა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, უკვე დაგეგმილი ღონისძიებების/სხვ. ჩატარება. აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია დასაქმებული თანხმობით შევბულებიდან გამოძახება. შევბულებიდან გამოძახება ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით;
2. ანაზღაურების გარეშე შევბულება: ადმინისტრაციულ, დამხმარე და აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შევბულებით წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით. ანაზღაურების გარეშე შევბულების აღებისას დასაქმებულმა 2 კვირით ადრე უნდა მიმართოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს განცხადებით ანაზღაურების გარეშე შევბულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო;
3. შევბულებაში არ ითვლება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი და ორსულობის, მშობიარობის, ზავშვის მოვლის გამო, ახალშობილის შვილად აყვანის და ზავშვის მოვლის გამო შევბულება.

მუხლი 13. ბნსუ-ს პერსონალის და სხვა დასაქმებულ პირთა ქვევის წესები

ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალი (შემდგომში - პერსონალი) და ბნსუ-სთან შრომით ურთიერთობებში მყოფი ნებისმიერი პირი ვალდებულია:

- ჰქონდეს პიროვნული, მოქალაქეობრივი და სოციალური ვალდებულებების შესრულების და ეთიკური ნორმების დაცვის პასუხისმგებლობა, საკუთარი და სხვა მოქალაქეების უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის, პიროვნული ღირსების აღიარებისა და პატივისცემის მოტივაცია;
- პატივი სცეს განსხვავებულ შეხედულებებს, არ დაუშვას თანამშრომლის, სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის ექსპლუატაცია ან დისკრიმინაცია. სამართლიანად და პატივისცემით მოეპყრას თანამშრომლებს, სტუდენტებს და პროფესიულ სტუდენტებს, აღიაროს თითოეული ადამიანის უფლება მიიღოს განათლება ან განახორციელოს საქმიანობა ძალადობისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოში, იმოქმედოს სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების შესაბამისად;
- ხელი შეუწყოს აზრთა თავისუფალ გაზიარებას, დნის მიღების, პროფესიული განვითარებისა და აკადემიური გარემოს შექმნას;
- გაუფრთხილდეს ბნსუ-ს რეპუტაციას, პატივი სცეს მის ტრადიციებს, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ბნსუ-ს იმიჯის განმტკიცებას, მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს ცხოვრებაში და განვითარებაში;
- ბნსუ-ს სახელით განცხადების/კომენტარის შემთხვევაში დაიცვას ეთიკის ნორმები და ქვევის წესები. თუ განცხადება/კომენტარი გამოხატავს პირად პოზიციას/მოსაზრებას სავალდებულოა ამის აღნიშვნა;
- დაიცვას ეთიკის კოდექსი და აკადემიური ეთიკის კოდექსი;
- სათანადოდ შეასრულოს ნაშრომის/კვლევის ხელმძღვანელის/რევენენტის/ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ. მოვალეობები, არ დაარღვიოს და არ დაუშვას აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევა, მათ შორის პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიკირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შესაძლებლობა;
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;
- მართლზომიერად ისარგებლოს ბნსუ-ს უნფრასტრუქტურით რესურსით;
- იზრუნოს თავისი კვალიფიკაციის და კომპეტენციების ხარისხის ამაღლებაზე და სრულყოფაზე;
- არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც ბნსუ-ს მიერ მიჩნევა ქვევის წესების დარღვევად და იწვევს დისციპლინურ სახდელს;
- არ გაავრცელონ/არ გასაჯაროოს ბნსუ-ს საქმიანობასთან დაკავშირებული არასაჯარო/კონფიდენციალური დოკუმენტაცია/ინფორმაცია, ინფორმაცია კოლეგების, სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების შესახებ და ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ;
- არ გაავრცელოს საეჭვო, გადაუმოწმებელი ან ცრუ ინფორმაცია;
- არ გამოიყენოს კოლეგების, სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების შესაძლებლობები პირადი სარგებლის მიზნით;



- არ წარმოაჩინოს არასწორად/მცდარად კოლეგის და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შეხედულება და არ გააკეთოს განცხადებები/კომენტარები კოლეგის, სტუდენტების და პროფესიული სტუდენტებისა და მათი პირადი ცხოვრების შესახებ;
- არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა/ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ბნსუ-ს ინტერესებს და რეპუტაციას ან აფერხებდეს/აზიანებს სასწავლო პროცესის გამართულ მიმდინარეობას;
- არ ჩაიდინოს ქმედება, რაც რომელიმე სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ჩააყენებს პრივილეგიურ მდგომარეობაში;
- არ დაუშვას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და არ წახალისოს მსგავსი ქმედება;
- გაუფრთხილდეს ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს და დაიცვას უსაფრთხოების ზომები, დანიშნულებისამებრ და ბნსუ-ში მოქმედი წესის შესაბამისად ისარგებლოს ბნსუ-ს შენობით, ტექნიკით, აღჭურვილობით და სხვ., ბნსუ-ს მიერ ანაზღაურებული დრო, ბნსუ-ს მატერიალური რესურსები და ინტელექტუალური საკუთრება არ გამოიყენოს თვითნებურად პირადი მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბნსუ-ს ადმინისტრაციისაგან ამის ნებართვა არსებობს;
- შეატყობინოს ბნსუ-ს ადმინისტრაციას მის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლის დევნის, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ან სასამართლოს მიერ შესაბამისი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ;
- შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ-ში მოქმედი შინაგანაწესის და სხვა მარეგულირებელი დებულებების/წესების მოთხოვნები, ადმინისტრაციის, წარმომადგენლობითი, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილებები;
- დაიცვას ბნსუ-ში ჩაგმულობის დადგენილი ფორმა ასეთი მოთხოვნის დაწესების შემთხვევაში.

მუხლი 14. პერსონალის დისციპლინური სახდელი. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება. სახდელის მოხსნა

ბნსუ იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას ბნსუ-ს პერსონალის, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების და ბნსუ-ში მყოფი პირების უსაფრთხოება და მოვალეა მიიღოს ზომები ისეთი ქმედების აღსაკვეთად, რომელიც არღვევს ბნსუ-ში მიღებულ ქცევის წესებს ან საფრთხის ქვეშ აყენებენ ბნსუ-ის ტერიტორიაზე მყოფთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და მატერიალური ფასეულობების დაცვლობას. ბნსუ-ში ყველა დასაქმებული პირი ვალდებულია თავისი ქცევა შეუსაბამოს საქართველოს კანონმდებლობის ნორმებს, შეასრულოს ბნსუ-ს შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების მოთხოვნები, რომელთა დარღვევა იწვევს წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ დარღვევის პროპორციულ დისციპლინურ ზომას (სახდელს).

1. დისციპლინური სახდელი

1. გაფრთხილება - გამოიყენება ერთხელ ჩადენილ შემდეგ შემთხვევებში: შრომითი დისციპლინის და სამუშაოს განრიგის დარღვევა, სამუშაოზე დაგვიანება ან/და სამუშაოს გაცდენა; შინაგანაწესის და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების არასათანადოდ შესრულება; საეჭვო, გადაუმოწმებელი ან ცრუ ინფორმაციის გავრცელება; სტუდენტებისადმი არაობიექტური დამოკიდებულება; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ან/და დოკუმენტაციის დაზიანება; თვითნებურად პირადი მიზნებისათვის ბნსუ-ს მატერიალური და ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება; ბნსუ-ს მიერ ანაზღაურებული სამუშაო საათების პირადი მიზნებისთვის გამოყენება; შენობა-ში/ტერიტორიაზე არანებადართულ ადგილებში თამბაქოს მოწევა, არაფზიხელ მდგომარეობაში ყოფნა, ალკოჰოლური სასმელების შემოტანის მცდელობა; ბნსუ-ს შენობის/ტერიტორიის დაზიანება, დაცვის სამსახურისადმი დაუმორჩილებლობა;

2. საყვედური - გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: 1) მიღებული დისციპლინური სახდლის - გაფრთხილების - მიუხედავად 01 წლის განმავლობაში (უვადო ან 01 წელზე მეტი ვადის ხელშეკრულების შემთხვევაში) ან ხელშეკრულების მოქმედების ვადაში (01 წელზე ნაკლები ვადით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში) იგივე ქმედების ჩადენა; 2) ერთხელ ჩადენილი: შინაგანაწესით ან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა/დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, რამაც დააზიანა სასწავლო პროცესის ნორმალური მიმდინარეობა; ბნსუ-ში რელიგიური ან პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამყალიბების მცდელობა; ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც ზიანს აყენებს ბნსუ-ს ინტერესებს/რეპუტაციას, აფერხებდეს სასწავლო პროცესის გამართულ მიმდინარეობას ან ექვს ქვეშ გამოცდის ობიექტურობას; სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, ქრთამის ან სხვა სარგებლის მიღების მცდელობა ან ამის წახალისება; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბნსუ-ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას; ბნსუ-ს საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცრუ ინფორმაციის გავრცელება; ბნსუ-ს ეთიკის კოდექსის და აკადემიური ეთიკის კოდექსის დარღვევა (ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების დადასტურების შემთხვევაში პირი, ასევე, ვალდებული ბნსუ-ს სრულად დაუბრუნოს სამეცნიერო კვლევის, ნაშრომის მომზადების/თარგმნის/გამოსაცემად მომზადების/გამოცემის მიზნით ბნსუ-ს მიერ გაცემული (მათ შორის, პირის მიერ უკვე გამოყენებული) დაფინანსება); ნაშრომის ხელმძღვანელის/რეგენზენტის/ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ. მოვალეობების არასათანადოდ შესრულება, რამაც გამოიწვია პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემა ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზება; დოკუმენტებში ინფორმაციის/ფაქტების გაყალბება/განზრახ არასწორად მითითება/განმარტება; დოკუმენტაციის განადგურების/გაყალბების მცდელობა/მსგავსი ქმედების ხელშეწყობა/წახალისება ან დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით ბნსუ-ს ქონების/რეპუტაციის განადგურება ან კონფიდენციალური/არასაჯარო ინფორმაციის გასაჯაროება; ბნსუ-ს შენობაში/ტერიტორიაზე აზარტული თამაშების ორგანიზების მცდელობა/ხელშეწყობა ან ორგანიზებაში მონაწილეობა, ცივი იარაღის შემოტანის მცდელობა, ალკოჰოლური სასმელების შემოტანა/მოხმარება/ შემოტანის ხელშეწყობა;

3. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა - გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: 1) ბნსუ-ს შინაგანაწესის და ქცევის წესების სისტემატურ დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა: 01 წლის განმავლობაში (უვადო ან 01 წელზე მეტი ვადის ხელშეკრულების შემთხვევაში) ან ხელშეკრულების მოქმედების ვადაში (01 წელზე ნაკლები ვადით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში) მიღებული დისციპლინური სახდლის (საყვედურის) მიუხედავად იგივე ქმედების ჩადენა ან ქცევის წესების სხვადასხვა დარღვევებისთვის 02 საყვედურის მიღება; 2) ბნსუ-ს შინაგანაწესის და ქცევის წესების უხეშ დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა: ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რასიზმის, ფაშიზმის, მაღადობის პროპაგანდა, რელიგიური თუ სხვა სახის ფანატიზმი, საქართველოს კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა და შეზღუდვა; განზრახ სასწავლო პროცესის ჩაშლა ან შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების, შრომის დისციპლინის დარღვევა, რითაც ზიანი მიადგა ბნსუ-ს, ბნსუ-ში დასაქმებულ/მყოფ პირებს/სტუდენტებს; სხვისი, მათ შორის ბნსუ-ს, საკუთრების განზრახ დაზიანება/განადგურება ამ მოპარვა; ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის; დოკუმენტაციის გაყალბება ან განზრახ დაზიანება/განადგურება ან კონფიდენციალური/არასაჯარო/პირადი ინფორმაციის გასაჯაროება; ქრთამის ან სხვა სარგებლის მიღება; ბნსუ-ს პერსონალისთვის/სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის მორალური/ფიზიკური ზიანის მიყენება; ბნსუ-ს შენობაში/ტერიტორიაზე განზრახ ისეთი ვითარების შექმნა/ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბნსუ-ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, მაღადობა/თავდასხმა, მაღადობის/თავდასხმის მცდელობა, აზარტული თამაშების ორგანიზება, ცივი იარაღის შემოტანა, ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანის მცდელობა/შემოტანა, საფრთხისშემქმნელი მასალების/ნარკოტიკული/ძლიერმოქმედი/ტოქსიკური საშუალებების შემოტანა/შენახ-



ვა/გავრცელება/მოხმარება, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევა; 3) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები.

2. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება

1. პირის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავს მის უფლებას შეასტულოს სამსახურეობრივი მოვალეობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, ბნსუ-ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას;
2. საქმისწარმოება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შინაგანაწესით განსაზღვრული წესით;
3. ერთი დარღვევისთვის არ შეიძლება იყოს გამოყენებული ერთდროულად რამდენიმე დისციპლინური სახდელი;
4. დარღვევისთვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ მითითებულ შემთხვევებში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (სახდელი) განისაზღვრება ჩადენილი დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე;
5. საკითხის განხილვის ხანგრძლივობა განპირობებულია შესასწავლი საკითხის სირთულით და განსახილველი ინფორმაციის მოცულობით და არ უნდა გასცდეს გონივრულ ვადებს. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ უნდა იყოს მიღებული დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებიდან არაუმეტეს 15 სამუშაო დღეში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო ან საკითხის განხილვისთვის დადგენილია განსხვავებული ვადა (მაგ., ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების და ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ. მიერ არასათანადოდ შესრულებული მოვალეობის გამო პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შემთხვევების განხილვა);
6. პირს, რომლის მიმართ დაწყებულია/მიმდინარეობს დისციპლინარული საქმისწარმოება, უფლება აქვს: წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ; დაესწროს მისი საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი პოზიცია, ისარგებლოს დაცვის უფლებით, მიიღოს განსახილველ საქმესთან დაკავშირებული ყველა მასალა, მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში, მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის საჯარო განხილვა, მიიღოს ინფორმაცია მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, სადისციპლინო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 02 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი მიმართის ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, არგუმენტირებულად გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება და მოითხოვოს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი საკითხის განმეორებით განხილვა; სასამართლოში გაასაჩივროს ბნსუ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;
7. დისციპლინური დარღვევის ფაქტს (გარდა ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების და ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ. არასათანადოდ შესრულებული მოვალეობის გამო პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შემთხვევებისა) იკვლევს ბნსუ-ს სადისციპლინო კომისია, რომლის წევრები არიან: ბნსუ-ს იურიდიული სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე), ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე. სადისციპლინო კომისიის შემადგენლობაში სხვა წევრების შეყვანა ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით. სადისციპლინო კომისიის მუშაობის ხანგრძლივობას განაპირობებს შესასწავლი მასალების რაოდენობა და საკითხის სირთულე. ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების, მანიპულირების ფაქტებს და ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ. არასათანადოდ შესრულებული მოვალეობის გამო პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შემთხვევებს შეისწავლის ბნსუ-ს აკადემიური საბჭო ან აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი კომისია (აღწერილია წინამდებარე შინაგანაწესის მუხლში „ეთიკის კოდექსი. აკადემიური ეთიკის კოდექსი“);
8. სადისციპლინო კომისია ვალდებულია შეისწავლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებები, ობიექტურად, სამართლიანად, მიკერძოების, დისკრიმინაციის გარეშე განხილვის დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული გარემოებები, გამოკითხოს თვითმხილველები, მიიღოს დასაბუთებული დასკვნა პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის და დარღვევის სიმძიმის პროპორციული სახდელის გამოყენების/გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ;
9. სადისციპლინო კომისიის წევრი ვალდებულია საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საკითხის ობიექტურად განხილვის და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. ასეთი გარემოების არსებობისას კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების შესახებ (ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკრეტული საკითხის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში);
10. სადისციპლინო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3, გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის წევრები სარგებლობენ თანასწორი ხმის უფლებით (ხმების თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა). სადისციპლინო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება დახურულ სხდომაზე;
11. სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით სხდომაზე მოიწვიოს წესების დამრღვევი პირი, დარღვევის მოწმეები, დაზარალებული პირები, წესრიგის დამრთვევი პირი, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები და/ან სხვ. სადისციპლინო კომისიის მუშაობაში ყველა მონაწილე პირი ვალდებულია დაიცვას საკითხის შესწავლისას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;
12. სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიმართ გამოიტანოს დასკვნა სახდელის გამოყენების ან გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ინფორმაცია გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს;
13. კომისიის მუშაობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე კომისიის ყველა წევრი;
14. სადისციპლინო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დაინტერესებული პირის ინფორმირება ხდება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;
15. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში საჩივრის შემოსვლიდან არაუგვიანეს 03 დღეში საკითხი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე (სხდომა დახურულია, სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომა ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3, გადაწყვეტილების მიღება ხდება ფარული კენჭისყრით ხმათა 2/3-ით (ხმების თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა). წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით სხდომაზე მოიწვიოს წესების დამრღვევი პირი, დარღვევის



მოწმები, დაზარალებული პირები, წესრიგის დამრთველი პირი, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები, სადისციპლინო კომისიის წევრები და/ან სხვ. საჩივრის განხილვაში ყველა მონაწილე პირი ვალდებულია დაიცვას საკითხის შესწავლისას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირისთვის დაკისრებული სახდელის მოხსნის/შეცვლის შესახებ ან უცვლელი დატოვოს სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული სახდელი. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო. დაინტერესებული პირის ინფორმირება ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;

16. სადისციპლინო კომისიის ან წარმომადგენლობითი საბჭოს (სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში) მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით წესრიგის დამრთველი პირისთვის შესაბამისი სახდელის დაკისრების შესახებ;

17. დისციპლინური საქმისწარმოების მასალები ინახება დასაქმებულის პირად საქმეში.

18. ინფორმაცია პირის მიმართ დაწყებული დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ კონფიდენციალურია გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს პირის ნებართვა ან ბნსუ-ს კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

3. დისციპლინური სახდელის მოხსნა

თუ დისციპლინის დამრთველი პირი დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან 01 წლის განმავლობაში არ ჩაიდენს რაიმე დარღვევას, მას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით შეიძლება მოეხსნას დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

მუხლი 15. პერსონალის წახალისება

ბნსუ-ის საგანმანათლებლო, სამეცნიერო თუ სამეურნეო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის პერსონალის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; პრემირება; დისციპლინარული სახდელის (საყვედური, გაფრთხილება) ან ჯარიმის მოხსნა; კონფერენციებზე, სემინატებზე, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე და ა.შ. გაგზავნა/დაფინანსება; სტატიების/სხვ. დაფინანსება; შრომის ანაზღაურების გაზრდა; სამსახურებრივი დაწინაურება და სხვ. შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. გადაწყვეტილებას წახალისების ფორმების და ოდენობის და პერსონიფიცირების შესახებ ღებულობს რექტორი ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი.

თავი III. სტუდენტი. მაგისტრანტი. პროფესიული სტუდენტი

სტუდენტის, მაგისტრანტის და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, შეწყვეტასთან, მობილობასთან, განათლების აღიარებასთან, დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელებასთან და სხვ. დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შინაგანაწესში და ბნსუ-ს სხვა მარეგულირებელ დებულებებში, წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. სტუდენტი, მაგისტრანტი, პროფესიული სტუდენტი

1. სტუდენტი, მაგისტრანტი, პროფესიული სტუდენტი

1. სტუდენტი, მაგისტრანტი (შემდგომში - სტუდენტი), პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოიპოვა ბნსუ-ს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება და ბნსუ-თან ერთად თანაბარზომიერად პასუხისმგებელია მის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განათლების მიღების ხარისხზე;
2. ბნსუ უფლებამოსილია დაადგინოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები (მაგ., კონკრეტული უცხო ენის ცოდნა ფლობის დონის მითითებით ან სხვ.), რომლებიც წინასწარ ცნობილია პროგრამით სწავლის მსურველთათვის და საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების სახით ასახულია შესაბამისი პროგრამის კურიკულუმში;
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისთვის - სტუდენტის, მაგისტრანტის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად - პირი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ და ბნსუ-ს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბნსუ-ში პირის ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით და ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით და ვადებში. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შეიძლება მობილობის შედეგად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და ბნსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად;
4. პირმა, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში უნდა მიმართოს ბნსუ-ს, წარადგინოს სავალდებულო დოკუმენტები და ბნსუ-ში მოქმედი წესით გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. პირი, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, მაგრამ ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადებში არ მიმართა ბნსუ-ს, არ წარადგინა სავალდებულო დოკუმენტები და/ან არ გაიარა პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, კარგავს ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას (გამონაკლისია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები - ამ შემთხვევაში რაწერების დოკუმენტში შესული პირი, რომელიც ვერ მოხვდა რექტორის ერთიან ჩარიცხვის აქტში დადგენილ ვადაში ბნსუ-სთვის არმიმართვის გამო, უფლებამოსილია მიმართოს ბნსუ-ს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №19/ფ (18.02.2011, მ.39, 3.6);
5. ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ბრძანებით, ბნსუ-ს და სტუდენტს/პროფესიული სტუდენტს შორის იდება განათლების მომსახურების ხელშეკრულება. არასრულწლოვანი სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი.

2. ინფორმირება პერსონალური მონაცემების და უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ

წინამდებარე შინაგანაწესი წარმოადგენს სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს და ბნსუ-ს შორის დადებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, მისი შინაარსი ხელშეკრულების ხელმოწერამდე ცნობილია სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის. ამდენად, სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილია ბნსუ-ში მოქმედი პერსონალურ მონაცემთა და ბნსუ-ში უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ. ბნსუ-სთან ხელშეკრულების ხელმოწერით სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი) ადასტურებს, რომ თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები ბნსუ-ს მიერ დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ბნსუ-ს ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (გარდა სამედიცინო დახმარების პუნქტის, სამუშაო, გამოსაცვლელი და ჰიგიენისთვის განკუთვნილი ფართისა) წესრიგის, უსაფრთხოების, სიგოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ვიდეოკონტროლის მოწყობილობების გამოყენების შესახებ.

3. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ინფორმაცია კომუნიკაცია

ბნსუ უზრუნველყოფს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას საჯარო ინფორმაციის ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე და/ან ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებით (საჯარო ინფორმირება), ზეპირი ფორმით ინფორმაციის მიწოდებით ან ბნსუ-ს ოფიციალური ელ. ფოსტით სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ელ. ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით (პერსონალური ინფორმირება). სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მიმართოს ბნსუ-ს წერილობითი განცხადების/საჩივრის/სხვ. კანცელა-



რიაში ჩაბარებით (ორშაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე) ან ბნსუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე გაგზავნით, ბნსუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტის მეშვეობით ან საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დარეკვით დაუკავშირდეს ბნსუ-ს ადმინისტრაციას და მიაწოდონ, მიიღონ/დააზუსტონ მისთვის საინტერესო ან საჭირო ინფორმაცია.

4. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტების განცხადებების განხილვა. შეფასების/გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შეუძლია საჭიროებისამებრ მიმართოს ბნსუ-ს რექტორს/ადმინისტრაციას ხელმძღვანელს-

კანცლერს/ფაკულტეტის დეკანს, რაც შეიძლება მოხდეს სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე) განცხადების/საჩივრის/სხვ. კანცელარიაში წერილობით ჩაბარებით ან ბნსუ-ს ოფიციალურ ელ. ფოსტაზე გაგზავნით. შემოსული განცხადება/საჩივარი/სხვ. იქნება რეგისტრირებული შესაბამის სააღრიცხვო ჟურნალში. განცხადების/საჩივრის/სხვ. შემოსვლიდან მომდევნო სამუშაო დღეს კორესპონდენცია წარედგინება ბნსუ-ს რექტორს ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, რის შემდეგ განცხადება/საჩივარი/სხვ., შინაარსიდან გამომდინარე, გადაეცემა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსს, ფაკულტეტის დეკანს, იურიდიული და/ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს(ებ)ს პასუხის პროექტის მოსამზადებლად. პასუხის პროექტს ეცნობა ბნსუ-ს რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი. თანხმობის შემთხვევაში ხდება პასუხის ამობეჭდვა ბნსუ-ს ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერა და შესაბამის სააღრიცხვო ჟურნალში რეგისტრაცია. განცხადებაზე/საჩივარზე/სხვ. პასუხის მო-მზადება ხდება კანცელარიაში მისი რეგისტრაციიდან 05 სამუშაო დღის ვადაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტური გარე-მოვებების გამო განხილვა და პასუხის მომზადება მოითხოვს მეტ ვადას. მითითებულიდან გამონაკლის წარმოადგენს ნაშრომი და-ფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტებთან დაკავშირებული სააპელაციო განცხადების წარდგენის ვადა და განხილვის წესი (აღწერილია წინამდებარე შინაგანაწესის მუხლში „ეთიკის კოდექსი. აკადემიური ეთიკის კოდექსი“). განცხადებაზე/საჩივარზე პასუხის მიღება შესაძლებელია კანცელარიაში ან ბნსუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტის მეშვეობით (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე);

2. თუ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ნაშრომი (შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა, პრაქტიკის ანგარიში ან სხვა ნაშრომი) ფასდება მხოლოდ ერთი შემფასებლის მიერ და სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მას შეუძლია შეფასების გამოცხადების შემდეგ მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და გაეცნოს ნაშრომს და/ან მომდევნო სამუშაო დღის

განმავლობაში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-შაბათი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე) წერილობითი პროტესტით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს. საპრეტენზიო განცხადება შეიძლება წარდგინდეს იქნას როგორც კანცელარიაში წერილობით, ასევე, შეიძლება გაგზავნილი იქნას ბნსუ-ს ოფიციალურ ელ. ფოსტაზე. პროტესტი უნდა იყოს დასაბუთებული, მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული რას აპროტესტებს სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი. ზოგადი ხასიათის განცხადება არ განხილდება. გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვებაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. პროტესტის განხილვის შედეგი სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი ხდება საპრეტენზიო განცხადების წარდგენიდან არაუმეტეს 05 კალენდარულ დღეში (ორშაბათი-შაბათი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე).

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია. სასწავლო განრიგი 1. პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - საბაკალავრო პროგრამა) სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე, გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) გამოქვეყნების შემდეგ ბნსუ-ში შესაბამისი აქტით განსაზღვრულ ვადებში ტარდება პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს ბნსუ-ს ვებგვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები (სამუშაო დღეები:

ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე). რეგისტრაციის ვადაში აბიტურიენტი, რომელმაც მოიპოვა ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება, ვალდებულია მიმართოს ბნსუ-ს ჩარიცხვის თაობაზე და გაიაროს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სარეგისტრაციო განაცხადის შევსებას და სავალდებულო დოკუმენტების წარმოდგენას. ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატის) და სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ. ბნსუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა სავალდებულოა.

რეგისტრაციის მიზნით სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტებია:

- სარეგისტრაციო განაცხადება (შეიცვება საბუთების ჩაბარების დროს);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი); • 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);
- სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი); • სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი);
- სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები); • საზღვაო სფეროს საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმა (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი);

რომელიც, რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).

2. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - სამაგისტრო პროგრამა) სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (რეგულირებადი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი). უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მაგისტრატურაში სწავლის ერთ-ერთი მიზანია სპეციალობის შეცვლა (გარდა რეგულირებადი სამაგისტრო პროგრამისა), შესაბამისად ბნსუ არ ზღუდავს პირს თავად განსაზღვროს კონკრეტული სამაგისტრო პროგრამით სწავლის მიზანშეწონილობა (გაეცნოს შიდა გამოცდების საკითხებს, პროგრამის აღწერილობას, მიიღოს რეკომენდაცი-



ბი მისი კვალიფიკაციის და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და სხვ.). სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდის შედეგის (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბნსუ-ს შიდა გამოცდებში მონაწილეობის უფლების მოპოვების შემდეგ მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია მიმართოს ბნსუ-ს და ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადაში გაიაროს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატა რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი აქტის ბნსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 05 კალენდარულ დღეზე ნაკლები (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე). მისაღებ შიდა გამოცდებზე დაშვების მიზნით მაგისტრანტობის კანდიდატი ავსებს სარეგისტრაციო განცხადებას და წარადგენს სავალდებულო დოკუმენტებს, რის შემდეგ შეძლებს ბნსუ-ს შიდა გამოცდებში მონაწილეობას. კანონმდებლობით დადგენილი წესით ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვების შემთხვევაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) და სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ. ბნსუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა სავალდებულოა. რეგისტრაციის მიზნით სავალდებულოა წარსადგენი დოკუმენტებია:

- სარეგისტრაციო განცხადება (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
- 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);
- სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) და დიპლომის დანართი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები). მაგისტრანტობის კანდიდატისგან (საქართველოს მოქალაქეები) დამოუკიდებელი ობიექტური გარემოების გამო დიპლომის და დიპლომის დანართის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში წარსადგენია შესაბამისი უსდ-ის მიერ გაცემული და სატანადოდ დამოწმებული ცნობა მინიჭებული კვალიფიკაციის, პროგრამის კომპონენტების, მიღებული კრედიტების და შეფასებების მითითებით;
- სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- საზღვაო სფეროს სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმა (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).

შიდა გამოცდა: სავალდებულოა გამოცდა შესაბამის სპეციალობაში, დამატებითი გამოცდა ტარდება უცხო ენაში/ენებში. უცხო ენაში გამოცდა არ უტარდება მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელსაც სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მითითებულ დონეზე უცხო ენის ცოდნის ფლობა უდასტურდება: ა) საერთაშორისო სერტიფიკატ(ებ)ით (ინგლისური ენის შემთხვევაში - მაგ., ტოიფელი (TOEFL PBT), ტოიფელი (TOEFL IBT), ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS), ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam), კემბრიჯის უნივერსიტეტის (Cambridge ESOL Examination) და/ან სხვ.), შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საერთაშორისო/უცხოეთის/საქართველოში მოქმედი ორგანიზაციის/წარმომადგენლობის მიერ გაცემული დოკუმენტით, რომლითაც დგინდება/დასტურდება შესაბამის დონეზე ენის ფლობა - ამ შემთხვევაში უცხო ენის გამოცდაში ენიჭება მაქსიმალური ქულა; ბ) უსდ-ს მიერ გაცემული დიპლომის დანართით ან შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციის/სხვ. მიერ გაცემული ცნობით/სხვ., რომელშიც მითითებულია ფლობის დონე და შეფასება - ამ შემთხვევაში უცხო ენის გამოცდაში ენიჭება დანართში/ცნობაში/სხვ. მითითებული შეფასების პროპორციული ქულა.

ბნსუ-ში შიდა გამოცდის ჩატარებისას მოქმედებს შემდეგი წესი: გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ რეგისტრაციაგავლილი მაგისტრანტობის კანდიდატები, გამოცხდაზე დასაშვებად წარსადგენია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარების და ჰიგიენის (წყალი, წამლები, ხელსახოცები, საწერი კალამი და სხვ.) ნივთების შემოტანა. აკრძალულია: გამოცდაზე დაგვიანება, არანებადართული ნივთების (სასწავლო მასალის/სახელმძღვანელოს, ნებისმიერი სახის ჩანაწერების, მობილური ტელეფონის, ნოუტბუქის, ყურსასმენების ან სხვა ხელსაწყოების) შეტანა ან გამოყენების მცდელობა, ქურთუკით, ქუდი ან თავსაბურავით შემოსვლა, დაწყებული გამოცდის უნებართოდ მიტოვება, საგამოცდო ფურცლის დაზიანება (მათ შორის, რაიმე სახის მინაწერის/წარწერის ან გრაფიკული გამოხატულების დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალების შესრულებასთან), გაფრთხილების მიუხედავად წესრიგის დარღვევად მიჩნეული ქმედების (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა/მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა ან სხვ.) ჩადენა, გამოცდის ჩაშლის მცდელობა ან წესრიგის დარღვევად მიჩნეული სხვა ქმედების ჩადენა. გამოცდაზე დაგვიანების შემთხვევაში პირი კარგავს გამოცდაზე შესვლის უფლებას, გამოცდაზე წესების დარღვევის შემთხვევაში - გამოცდის დასრულების უფლებას. საგამოცდო ფურცლის დაზიანების შემთხვევაში არ მოხდება ნაშრომის შემოწმება. გამოცდაზე (თუნდაც საპატიო მიზეზით) გამოუცხადებლობის შემთხვევაში პირს არ აქვს უფლება მოითხოვოს დამატებითი გამოცდის დანიშვნა და ჩატარება. ბნსუ-ში გამოცდის დროის ლიმიტია დადგენილი. საგამოცდო ბილეთები წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტის სახით, ბილეთები მოიცავენ იდენტური რაოდენობის და სირთულის საკითხებს/დავალებებს, რომლებიც ფასდება ქულებით. გამოცდის მაქსიმალური შემაჯამებელი ქულა მიიღება საგამოცდო ბილეთის ყველა საკითხზე სწორი პასუხის გაცემის/ყველა დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში (გამოცდა დამლეულად ითვლება მაქსიმალური შესაძლო ქულიდან არანაკლებ 50%-ის მიღების შემთხვევაში). პირს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, შეუძლია ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადაში გასასაჩვროს შედეგები. საჩივრებს განიხილავს ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით დარგის სპეციალისტებისგან შექმნილი კომისია. პრეტენზიების წარდგენის პერიოდის ხანგრძლივობა, ბნსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდ(ებ)ის შედეგების ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან, არ უნდა იყოს 04 კალენდარულ დღეზე ნაკლები. პრეტენზიების განხილვის შედეგები ეცნობა დაინტერესებულ პირს პრეტენზიების მიღების ვადის დასრულებიდან არაუმეტეს 04 კალენდარულ დღეში. საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპისა და ბნსუ-ს შიდა გამოცდ(ებ)ის შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს სწავლა განაგრძოს ბნსუ-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურაში (ბოლო ვაკანტურ ადგილზე გასული რამდენიმე თანაბარქულიანი მაგისტრანტობის კანდიდატების არსებობის შემთხვევაში - პირი, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდაში აქვს მიღებული მეტი ქულა). საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ წესში, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ბნსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისთვის აუცილებელია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ბნსუ-ს მიერ განსაზღვრულ ვადებში სავალდებულოა პირველ-

დი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე), სავალდებულო დოკუმენტების წარდგენა და ტესტირების (არსებობის შემთხვევაში) დაძლევა. ტესტირების არსებობის შემთხვევაში პირი ავსებს სარეგისტრაციო განცხადებას და წარადგენს სავალდებულო დოკუმენტებს, რის შემდეგ შეძლებს ბნსუ-ს ტესტირებაში (არსებობის შემთხვევაში) მონაწილეობას. კანონმდებლობით დადგენილი წესით ბნსუ-ს პროფესიული პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვების შემთხვევაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის და სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ. ბნსუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის სავასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის სავასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა სავალდებულოა. რეგისტრაციის მიზნით სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტებია:

- სარეგისტრაციო განცხადება (შეისვება საბუთების ჩაბარების დროს);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე -

პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი); • 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);

- სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი); • კანონმდებლობით პროფესიული პროგრამის კონკრეტული საფეხურისთვის დადგენილის შესაბამისად: ზოგადი განათლების

არანაკლებ საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი) ან განათლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე, და წინა საფეხურის არსებობის შემთხვევაში - პროფესიული დიპლომი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი) / სრული ზოგადი განათლების დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი) ან განათლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა სრული ზოგადი განათლების მიღების გარეშე, და წინა საფეხურის (არსებობის შემთხვევაში) პროფესიული დიპლომის დედანი და ასლი; • სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები); • საზღვაო სფეროს პროფესიული პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმა (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).

4. მობილობა. ბნსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბნსუ-ს და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - უსდ)/საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - სდ) სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების და ბნსუ-ში მოქმედი წესების დაცვით. მობილობის უფლება აქვს სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს, რომლის უსდ/სდ-ში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მობილობის მომენტისათვის არის უსდ/სდ-ს სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ან შეჩერებული აქვს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსი, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ბნსუ-ში მობილობით ვერ ჩარიცხება პირი, რომლის მიმართ უსდ/სდ-ში არსებობს ბრძანება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენის გამო სტატუსის შეწყვეტის შესახებ თუ სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია ბნსუ-ს შინაგანაწესთან და მიიჩნევა ქვეყნის წესების უხეშ დარღვევად. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში: მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ მობილობისთვის ყველა უსდ-სთვის დადგენილ ვადებში; მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ, სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი; 2010 წლის 4 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცხადების 10 წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ წარმოადგენს უსდ-ს წესდებით/შინაგანაწესით დადგენილი სტატუსის შეწყვეტის საფუძველს; პირი, რომელსაც გავლილი პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ეთვლება, განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში სწავლის შეწყვეტიდან 10 წლის განმავლობაში; სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი, ასევე, რეგულირებადი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში: ბნსუ-ში მობილობა (მათ შორის, შიდამობილობა) შეიძლება განხორციელდეს პროფესიული განათლების იმავე საფეხურის პროგრამაზე ბნსუ-ს მიერ მობილობისთვის განსაზღვრულ ვადებში. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული კომპეტენციების თავსებადობა ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან დადგინდება ბნსუ-ში მოქმედი (კრედიტების აღიარების) წესით. ბნსუ უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვისათვის განსაზღვროს წინაპირობები და მოითხოვოს იმ სასწავლო კურსების სილაბუსების წარდგენა, რომლებშიც სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს კრედიტი. შესწავლილი და ბნსუ-ს პროგრამებს შორის თავსებადობის არარსებობა შეიძლება იყოს მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი. საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენის შემდეგ მიღებულ დასაბუთებულ დასკვნაში იქნება მითითებული რომელი სასწავლო კურსები და რამდენი კრედიტი არის აღიარებული, რომელი სემესტრიდან არის რეკომენდებული სწავლის გაგრძელება. დასკვნა ეცნობა მობილობის მსურველს, დასკვნის და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რექტორის მიერ გამოიცემა ჩარიცხვის ერთიანი ბრძანება ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ, ხოლო იმ უსდ/სდ-ს მიერ, საიდანაც გადადის სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, გამოიცემა ბრძანება სხვა უსდ/სდ-ში ჩარიცხული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიმართვის შემდეგ გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზე მოხდა ჩარიცხვა და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. თუ ბნსუ-ს



საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, ბნსუ-ში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ მის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები/მაგისტრანტები, რომელთა ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების შედეგები (რანჟირებული ქულები) ადგენს მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს. თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი სტუდენტი/მაგისტრანტი, ბნსუ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას ამ პროგრამისთვის ადგილების დამატების თაობაზე. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მობილობის წესით მიმღებ უსდ/სდ-ში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა, თუ მიმღებ უსდ/სდ-ში არ არის გამოცემული ჩარიცხვის შესახებ ბრძანება. ამ დროს სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შეუძლია წერილობით მიმართოს მიმღებ უსდ/სდ-ს და უარი განაცხადოს მიმღებ უსდ/სდ-ში სწავლის გაგრძელებაზე. თუ ჩარიცხვის შესახებ ბრძანება უკვე გამოცემულია, მაშინ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ითვლება მიმღები უსდ/სდ-ს სტუდენტად/პროფესიულ სტუდენტად და სწავლას ვეღარ განაგრძობს ძველ უსდ/სდ-ში.

კანონმდებლობით დადგენილი წესით მობილობის უფლების მოპოვების შემდეგ მობილობის მსურველი ვალდებულია ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადებში (საბუჟო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე) მიმართოს ბნსუ-ს და გაიაროს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სარეგისტრაციო განაცხადების შევსებას და სავალდებულო დოკუმენტების წარმოდგენას. კანონმდებლობით დადგენილი წესით ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვების შემთხვევაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) და სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ. ბნსუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის სავასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის სავასურსა და დოკუმენტურად დამადასტურებელ დაფინანსებას შორის არსებულ სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა სავალდებულოა. სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტებია:

- 1) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. ჩარიცხვამდე:
 - სარეგისტრაციო განაცხადება (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს);
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე – პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
 - 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);
 - სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
 - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (ასლები);
 - უსდ-ს მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) - ამონაწერი უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანებიდან; ცნობა სტუდენტის სტატუსის და სწავლების სემესტრის შესახებ; ამონაწერი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში აუცილებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველის მითითება); ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, შესაბამისი კრედიტების და მიღებული შეფასებების მითითებით;
 - საზღვაო სფეროს საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმა (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).
 - ჩარიცხვის შემდეგ: უსდ-ს მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) სტუდენტის პირადი საქმე და პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია; ზემოთ მითითებული იმ დოკუმენტის დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, რომელიც ჩარიცხვამდე იყო წარმოდგენილი მხოლოდ ასლის სახით; მობილობის შედეგად სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან ამონაწერი.
- 2) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ჩარიცხვამდე:
 - სარეგისტრაციო განაცხადება (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს);
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე – პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
 - 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);
 - სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
 - არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (ასლები);
 - უსდ-ს მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) - ამონაწერი უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანებიდან; ცნობა სტუდენტის სტატუსის და სწავლების სემესტრის შესახებ; ამონაწერი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში აუცილებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველის მითითება); ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, შესაბამისი კრედიტების და მიღებული შეფასებების მითითებით;
 - ჩარიცხვის შემდეგ: უსდ-ს მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) სტუდენტის პირადი საქმე და პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია; ზემოთ მითითებული იმ დოკუმენტის დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, რომელიც ჩარიცხვამდე იყო წარმოდგენილი მხოლოდ ასლის სახით; მობილობის შედეგად სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან ამონაწერი.
 - 3) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ჩარიცხვამდე:
 - სარეგისტრაციო განაცხადება (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს);
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე – პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის);
 - 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);
 - სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
 - პროფესიული პროგრამის კონკრეტული საფეხურისთვის დადგენილი შესაბამისად: 1) ზოგადი განათლების არანაკლებ საბაზო საფეხურის დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომელიც



მლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე, და წინა საფეხურის პროფესიული დიპლომის (წინა საფეხურის არსებობის შემთხვევაში) ასლი; ან 2) სრული ზოგადი განათლების დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა სრული ზოგადი განათლების მიღების გარეშე, და წინა საფეხურის (არსებობის შემთხვევაში) პროფესიული დიპლომის ასლი

- სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (ასლები);
- სდ-ს მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) - ამონაწერი სდ-ში ჩარიცხვის ბრძანებიდან; ცნობა პროფესიული სტუდენტის სტატუსის და სწავლების სემესტრის (თუ სდ-ში პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესი დაყოფილია სემესტრებად) შესახებ; ამონაწერი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში - აუცილებელია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველის მითითება); ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, შესაბამისი კრედიტებისა და მიღებული შეფასებების მითითებით;

□ საზღვაო სფეროს პროფესიული პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმა (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).

- ჩარიცხვის შემდეგ: სდ-ს მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია; ზემოთ მითითებული იმ დოკუმენტის დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, რომელიც ჩარიცხვამდე იყო წარმოდგენილი მხოლოდ ასლის სახით; მობილობის შედეგად სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან ამონაწერი.

5. შიდა მობილობა. შიდა მობილობას ბნსუ-ს სტუდენტი ახორციელებს ბნსუ-ში განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში (სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში - მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი). ბნსუ-ში შიდა მობილობა შეიძლება გამოცდადღეს წელიწადში 2-ჯერ ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადაში (როგორც წესი ემთხვევა გარე მობილობის ვადებს). კრედიტების აღიარების მიზნით შესწავლილი და არჩეული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობა დრინდება იმავე წესით, რაც გარე მობილობის შემთხვევაში. შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია არჩეულ პროგრამაზე, ასევე წარადგინოს ბნსუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე სტუდენტს შეუძლია არჩეული პროგრამით სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა - აღნიშნულის შესახებ ამ ვადაში მან განცხადებით უნდა მიმართოს ბნსუ-ს რექტორს. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს არჩეული პროგრამით. შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

2. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია. აკადემიური რეგისტრაცია

1. რეგისტრაციის ვადები. სემესტრულ ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციას ბნსუ-ს სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი გადის სემესტრის დაწყებამდე ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადებში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე). დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის გავლის უფლება შეიძლება მიეცეს სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო დადგენილ ვადაში რეგისტრაციის გავლა. მითითებულ შემთხვევებში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია მიმართოს ბნსუ-ს რექტორს განცხადებით, მიუთითოს რეგისტრაციის წესის დარღვევის მიზეზი, განცხადებას დაურთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები და ითხოვოს დამატებით ვადაში რეგისტრაციის გავლის უფლება. განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან

გაიგზავნოს ბნსუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე). ყველა განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილება რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის და ფაკულტეტის დეკანის მიერ. გადაწყვეტილება მიიღება განცხადებაში მითითებული გარემოებების, თანდართული დოკუმენტების და განცხადების წარდგენის თარიღის გათვალისწინებით. დადებითი გადაწყვეტილება მიიღება წინამდებარე შინაგანაწესში გათვალისწინებულ შემთხვევებში (იხ. „ინდივიდუალური განრიგი“). გადაწყვეტილება სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ეცნობა ამ შინაგანაწესით განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადაში. სემესტრული ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის არ გავლის შემთხვევაში ხდება სტატუსის შეჩერება სემესტრის მესამე სასწავლო კვირის დაწყებისთანავე.

2. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია. ამით ბნსუ-ს სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ადასტურებს ბნსუ-ში სწავლის გაგრძელების სურვილს, სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის შედეგებით დგინდება თუ რამდენ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს სურს სწავლის გაგრძელება ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებით. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს ბნსუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას.

3. აკადემიური რეგისტრაცია. აკადემიური რეგისტრაციის წინაპირობაა პირველადი/სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა. აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი რეგისტრირდება: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამის სავალდებულო კომპონენტებზე; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში - მისთვის სასურველ არჩევით სასწავლო კურსებზე (მათ შორის ე.წ. „თავისუფალი კრედიტებზე“); დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე (თუ საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს დამატებითი სპეციალობის პროგრამას); პროგრამის კომპონენტებზე, რომლებიც წარმოადგენს მობილობის შედეგად მისაღებ კრედიტებს; პროგრამის კომპონენტებზე, რომლებიც ახლიდან აქვს შესასწავლი მიღებული უარყოფითი (F) შეფასების გამო;

4. დამატებითი კრედიტები. სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა, რომელსაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტების გარდა სურს დამატებითი კრედიტების მიღება (მაგ., შედეგის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის კონკრეტული კომპონენტ(ებ)-ის განმეორებით შესწავლა, სემესტრში განსაზღვრულზე მეტ კრედიტებზე რეგისტრაცია ან სხვ.), აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს განცხადებით, რომელსაც ასევე განიხილავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი. გადაწყვეტილება მიიღება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: 1) პირველ რიგში აუცილებელია აკადემიური რეგისტრაციის გავლა პროგრამის სავალდებულო კომპონენტებზე, პროგრამის იმ კომპონენტებზე, რომლებშიც მისაღება კრედიტები მობილობის ან უარყოფითი (F) შეფასების გამო, და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების დადგენილ რაოდენობაზე; 2) სემესტრში განსაზღვრულზე მეტ კრედიტებზე რეგისტრაცია დასაშვებია, თუ წელიწადში დატვირთვა არ განადგება 75 კრედიტზე მეტი; 3) სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სურვილით პროგრამის კომპონენტების განმეორებით შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ პროფ-



რამის ძირითად ვადაში, კერძოდ: საბაკალავრო პროგრამა – II-VIII სემესტრებში, სამაგისტრო პროგრამა – II-IV სემესტრებში, პროფესიული პროგრამა – გარდა სწავლების პირველი სემესტრისა. წელიწადში დატვირთვა არ უნდა იყოს 75 კრედიტზე მეტი; 4) მითითებული შემთხვევები იწვევს დამატებით ფინანსურ ვალდებულებას და შესაძლებელია შესაბამისი კრედიტების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

5. არჩევანის შეცვლა (უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში). სემესტრის დაწყებიდან მაქსიმუმ 01 კვირის ვადაში შესაძლებელია არჩევანის შეცვლა - არჩეულ სასწავლო კურსზე რეგისტრაციის გაუქმება და სხვა სასწავლო კურსის არჩევა. განცხადებით არჩევანის შეცვლის შესახებ სტუდენტი მიმართავს ფაკულტეტის დეკანს.

3. სასწავლო განრიგი. არდადეგები. უქმე დღეები

1. ბნსუ-ში აკადემიური წელი არის 2-სემესტრიანი (შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრები). საკონტაქტო საათებში გათვალისწინებული საქმიანობა (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, გამოცდები და სხვ.) მიმდინარეობს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის და სილაბუსების საფუძველზე ერთი სემესტრისათვის შედგენილი მეცადინეობის და გამოცდების ცხრილების მიხედვით. ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და სხვ. ტარდება ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით. ბნსუ-ში სასწავლო პროცესი შეიძლება წარიმართოს: ორშაბათი-პარასკევი - 9⁰⁰ - 18⁰⁰ სთ, ხოლო შაბათი - 9⁰⁰ - 15⁰⁰ სთ პერიოდში. მაგისტრანტთა ხელშეწყობის მიზნით (მაგისტრანტთა სასწავლო ჯგუფის თხოვნით) სასწავლო პროცესი შეიძლება განხორციელდეს ორშაბათი-პარასკევი - 20⁰⁰ სთ-მდე, შაბათს - 9⁰⁰ - 15⁰⁰ სთ პერიოდში. სემესტრის ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მეცადინეობების, კონსულტაციების, გამოცდების ცხრილები და სხვ.) განთავსებულია ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე. სემესტრის დასრულების შემდეგ არის არდადეგები, მათი ხანგრძლივობა დაკავშირებულია სემესტრის დასრულების და მომდევნო სემესტრის დაწყების თარიღებთან და განისაზღვრება თითოეული აკადემიური წლისთვის;

2. უქმე დღეება მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეები: 1 და 2 იანვარი; 7 იანვარი; 19 იანვარი; 3 მარტი; 8 მარტი; 9 აპრილი; სააღდგომო დღეები (დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომის დღე, აღდგომის მეორე დღე - ორშაბათი. თარიღები გარდამავალია); 9 მაისი; 12 მაისი; 26 მაისი; 28 აგვისტო; 14 ოქტომბერი; 23 ნოემბერი. კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა ბნსუ-ს გადაწყვეტილებით შეიძლება დამატებითად განისაზღვროს ბნსუ-ში დასვენების/უქმე დღეები.

4. ინდივიდუალური განრიგით სარგებლობის უფლება

1. ბნსუ-ში სტატუსის აღდგენა, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ბნსუ-ს მიერ დადგენილი განრიგის შესაბამისად. ამავდროულად განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ან გამოიწვიოს საპატიო მიზეზით ამ განრიგის დაცვის შეუძლებლობა/დარღვევა (მაგ., დადგენილ ვადაში სტატუსის აღდგენის, ადმინისტრაციული და/ან აკადემიური რეგისტრაციის გავლის შეუძლებლობა, სასწავლო ცხრილის შესაბამისად სასწავლო პროცესში ჩართულობის შეუძლებლობა, გამოცდაზე/დაცვაზე გამოცხადების შეუძლებლობა, არგამოცხადება ან დაგვიანება, დაწყებული გამოცდის/დაცვის მიტოვება ან/და სხვ.) სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ხელშეწყობის მიზნით, მას შეიძლება მიეცეს დადგენილისგან განსხვავებული განრიგით სარგებლობის უფლება - დადგენილისგან განსხვავებულ ვადებში სტატუსის აღდგენის, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლისა და ინდივიდუალური (ერთი სემესტრისთვის შედგენილი) სასწავლო განრიგით/გეგმით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, რომლის შემუშავების წესი აღწერილია ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში;

2. ბნსუ-ში საპატიო მიზეზად მიიჩნევა დოკუმენტურად დადასტურებული ავადმყოფობა, ხანგრძლივი მკურნალობა და/ან შრომისუნარობა, ორსულობა, მშობიარობა, ჩვილი ზავვის მოვლა, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მურვეობა, საზრვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების საზღვაო რეისში ყოფნა, ბნსუ-ში სწავლის პარალელურად მუშაობა/სხვ., ბნსუ-ს სახელით/თანხმობით სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა, ობიექტური გარემოებები, რომლებიც დადგა სტუდენტისგან/პროფესიული სტუდენტისგან დამოუკიდებლად და რომელთა დაწყება და დასრულება არ არის დამოკიდებული მის ნებაზე (მაგ., სტიქიური უბედურება, უბედური შემთხვევა, ჯანმრთელობის უეცარი გაუარესება, სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია და/ან სხვ.) და სხვა შემთხვევები, რომლებიც გამორიცხავენ/აფერხებენ დადგენილი განრიგის შესრულებას. საპატიო მიზეზის დამადასტურებელ ცნობაში/დოკუმენტში (მაგ., ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ცნობა სამსახურიდან, საკრუინგო კომპანიიდან და/ან სხვ.) უნდა იყოს მითითებული ცნობის გამცემი დაწესებულების/პირის დასახელება/ვინაობა, ფაქტობრივი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ცნობის სარეგისტრაციო ნომერი, ცნობის გაცემის თარიღი და საფუძველი, ცნობა უნდა დასტურდებოდეს ხელმოწერის უფლებამოსილი პირის (მისი ვინაობის და თანამდებობის მითითებით) ხელმოწერით და დაწესებულების ბეჭდით. მითითებული ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი ცნობა მხედველობაში არ მიიღება. ბნსუ იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ცნობის/დოკუმენტის ნამდვილობა;

3. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის (ან მისი კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება რექტორის სახელზე და საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა უნდა იყოს წარმოდგენილი წინასწარ. თუ ეს შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო, მაშინ უნდა მოხდეს არსებული ვითარების შესახებ ფაკულტეტის დეკანის ინფორმირება და გონივრულ ვადაში განცხადების და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. განიხილება მხოლოდ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის დოკუმენტურად დადასტურებული განცხადება;

4. ყველა შემთხვევა განიხილება რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის და დეკანის მიერ. გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილების შესახებ მიიღება იმ შემთხვევაში, თუ განრიგის დარღვევა მოხდა საპატიო მიზეზის გამო და არსებობს დეკანის დასკვნა ინდივიდუალური გრაფიკით პროგრამის კომპონენტების შესწავლის, დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობის შესრულების, დამატებითი გამოცდების ჩატარების და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შეფასების შესაძლებლობის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით განისაზღვრება სტატუსის აღდგენის, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადები და საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება ინდივიდუალური (მეცადინეობებზე დასწრების, სემესტრული შეფასებების, შუალედური, დასკვნითი, დამატებითი გამოცდების, დაცვების/დამატებითი დაცვების) განრიგი, რომლითაც სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი გააგრძელებს სწავლას. მიღებული გადაწყვეტილება სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ეცნობა ამ შინაგანაწესით სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის განცხადების განხილვისთვის დადგენილ ვადაში. გამონაკლისია შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდის, დაცვა/დამატებითი დაცვის შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება განცხადების შემოსვლიდან/ფაკულტეტის დეკანის ინფორმირებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

5. სასწავლო ჯგუფი. არჩევითი სასწავლო კურსების/ინტენსიური სწავლების სასწავლო ჯგუფის ჩამოყალიბება

1. ბნსუ-ში სასწავლო ჯგუფში სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების რაოდენობა საშუალოდ განისაზღვრება 20–25-ით. ჯგუფი, რომელშიც სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არის 5 და ნაკლები, მიიჩნევა მცირერიცხოვან ჯგუფად;

2. ბნსუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სილაბუსებში დადგენილ მითხოვნათა დაცვით მცირერიცხოვანი სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფისთვის ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის შემუშავების ან სასწავლო ჯგუფის გაუქმების შესახებ



(ამ შემთხვევაში წინასწარ მოხდება სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, იმავე პროგრამის/იმავე სასწავლო კურსების შემსწავლელ ჯგუფთან გაერთიანება. ამის შეუძლებლობის შემთხვევაში სასწავლო პროცესი გაგრძელდება აკადემიური წლის/სემესტრის დასრულებამდე);

3. ბნსუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება არჩევით სასწავლო კურსზე მცირერიცხოვანი სტუდენტთა სასწავლო ჯგუფის შექმნის/შექმნაზე უარის თქმის შესახებ (ამ შემთხვევაში სტუდენტებს მიეცემათ რეკომენდაცია დარეგისტრირდნენ მათთვის სასურველ სხვა არჩევით სასწავლო კურსზე). გადაწყვეტილების მიღება და ამინორიცხოვანი ჯგუფის შექმნაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე განთავსება მოხდება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებამდე;

4. ბნსუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილებები: ა) დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდგომ სემესტრის დარჩენილ ვადაში, ინტენსიური სწავლებით პროგრამის იმ კომპონენტების შესწავლის შესაძლებლობის შესახებ, რომლებშიც მისაღება კრედიტები მობილობის ან უარყოფითი (F) შეფასების გამო, ბ) ამ მიზნით მცირერიცხოვანი სასწავლო ჯგუფის შექმნის/შექმნაზე უარის თქმის შესახებ. უარყოფითი გადაწყვეტილებების შემთხვევაში პროგრამის კომპონენტების შესწავლა მოხდება სასწავლო გეგმით მათთვის დადგენილ/დადგენილთან თავსებად შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრში. გადაწყვეტილების მიღება და ინფორმაციის ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე განთავსება მოხდება დასკვნითი გამოცდების პერიოდის დასრულებამდე.

მუხლი 18. განათლების მომსახურების ხელშეკრულება. სწავლის საფასური, სხვა ფინანსური ვალდებულებები

1. განათლების მომსახურების ხელშეკრულება

ბნსუ-ს და სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება განათლების მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება). არასრულწლოვანი სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი და ხელშეკრულებას უნდა დაეთოს მისი პირადობის მოწმობის ასლი. ხელშეკრულება ფორმდება 02 თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელს), მეორე - რჩება ბნსუ-ში. ხელშეკრულება მოქმედებს ბნსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სწავლის მთელ ძირითად ვადაზე. ხელშეკრულებაში განისაზღვრება მხარეების უფლება-მოვალეობები, ბნსუ-ში კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის საფასურის ოდენობა და მისი გადახდის წესი, საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის პერიოდში მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის პირობები, ხელშეკრულების ვადა და სხვ. დაუშვებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გაზრდა ხელშეკრულების პირობების დარღვევით. ხელშეკრულების პირობები სწავლის საფასურთან დაკავშირებით უნდა ცნობილი ხელშეკრულების დადგენილ უცვლელად ხდება ხელშეკრულების ნაწილი. სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის ბნსუ-ში ჩარიცხვის წესს დადგენილი სწავლის საფასურის ცალმხრივად გაზრდა შესაძლებელია გარემოებების არსებითი ცვლილების დროს, რაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ბნსუ-ს და სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულება ითვლება შეჩერებულად სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია მოახდინოს ბნსუ-სთან სრული ფინანსური ანგარიშსწორება, რაც გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის არსებული ფინანსური ვალდებულების მთლიანად შესრულებას.

2. სწავლის საფასური. სხვა ფინანსური ვალდებულებები

1. ბნსუ-ში სწავლის საფასურის ოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განისაზღვრება თითოეული აკადემიური წლისათვის. ამავდროულად, ცვლილებები არ ვრცელდება სტუდენტზე/პროფესიულ სტუდენტზე, ვისთანაც ბნსუ-ს უკვე დადებული აქვს განათლების მომსახურების ხელშეკრულება. სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, რომელიც სწავლობს სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით, ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასური (სრული თვითდაფინანსების შემთხვევაში) ან სხვაობა ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და მის მიერ მიღებულ დაფინანსებას შორის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) დადგენილ ვადებში და ოდენობით: აკადემიური წლის სწავლის საფასურის ნახევარის (სემესტრის სწავლის საფასურის) გადახდა ხდება სემესტრის ადმინისტრაციული (პირველადი/სემესტრული) რეგისტრაციის ვადებში. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ხელშეწყობის მიზნით ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის გადაწყვეტილებით სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა შეიძლება მოხდეს ეტაპობრივად (რამდენიმე ნაწილად);

2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასური და ის ფინანსური ვალდებულებები (მაგ., განმეორებით/საკუთარი სურვილით პროგრამის კომპონენტების შესწავლა, საკუთარი სურვილით სემესტრში დადგენილზე მეტი კრედიტების მიღება, ბნსუ-სთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და/ან სხვ.), რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების დადების შემდგომ პერიოდში. ბნსუ-სთვის მიყენებული ზიანის (ბნსუ-ს ქონების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დაზიანება/განადგურება ან სხვ.) იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (ოდენობა განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით მიყენებული ზიანის გათვალისწინებით). განსაზღვრულ ვადაში და ოდენობით ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა არის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი. ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენის აუცილებელი პირობაა სტატუსის შეჩერებამდე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება;

3. ზემოთ მითითებულ შემთხვევებში კრედიტის ღირებულება იანგარიშება შემდეგნაირად: მაგ., 01 აკადემიური წლის სწავლის საფასურია 2000 და სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს მისაღები აქვს 5 კრედიტი. ამ შემთხვევაში გადასახადი (5 კრედიტის ღირებულება) შეადგენს: $(2000 / 60) \times 5 = 167$ (სადაც 60 არის ერთი აკადემიური წლის კრედიტების საერთო რაოდენობა).

მუხლი 19. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა. დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელება. კვალიფიკაციის მიინჰება

1. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

ქვემოთ მითითებული წესი მოქმედებს ბნსუ-ს საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული განათლების საფეხურების შემთხვევაში:

1. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბნსუ-ს და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 05 წლის ვადით, რის შემდეგ პირს შეუწყდება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: სტატუსის შეჩერების შესახებ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება; უცხო ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა); ორსულობა; შშობიარობა; ბავშვის მოვლა; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ადმინისტრაციული და/ან ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა; ფინანსური დავალიანება, ფინანსური ვალდებუ-



ლებების/ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა; სამართლებრივი დევნის დაწყება ან სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლა, თუ ეს გამორიცხავს სასწავლო პროცესში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ჩართულობის შესაძლებლობას;

2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეჩერება შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა მიმართოს ბნსუ-ს რექტორს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითება: სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლების სემესტრი და სემესტრი, რომლიდანაც სურს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, განცხადებს თარიღი. განცხადება სტა-

ტუსის შეჩერების შესახებ უნდა ჩაბარდეს ბნსუ-ს კანცელარიას (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე). თუ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი სემესტრის დაწყებიდან 05 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს ბნსუ-ს რექტორს განცხადებით სტატუსის შეჩერების შესახებ, მას დაუბრუნდება გადახდილი მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის 90%. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი თანხა პირს არ დაუბრუნდება, ხოლო ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში გადახდილი თანხა ჩაითვლება სტატუსის აღდგენის შემდეგ გადასახდელ სწავლის საფასურში;

3. ბნსუ-ს გადაწყვეტილებით სტატუსის შეჩერება ხდება შედეგი პირობების დაცვით: სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, რომლის მიმართ დაწყებული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე წარმოება, უნდა იყოს ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ, მას უნდა მიეცეს ახსნა-განმარტების წარმოდგენის და არაუმეტეს 02 კვირის ვადაში სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება ან არასაკმარისი მიზეზის გამო დაბრუნდება ბნსუ-ში მოქმედი წესები. ბნსუ-ს მიერ სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გადახდილი სწავლის საფასური პირს არ დაუბრუნდება, ხოლო ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში გადახდილი თანხა ჩაითვლება სტატუსის აღდგენის შემდეგ გადასახდელ სწავლის საფასურში;

4. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება რექტორის ბრძანებით.

2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ქვემოთ მითითებული წესი მოქმედებს ბნსუ-ს საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული განათლების საფეხურების შემთხვევაში:

1. სტატუსის შეჩერებული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში. ფინანსური დავალიანების, ფინანსური ვალდებულებების/ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტატუსის აღდგენისთვის აუცილებელია დარღვევის აღმოფხვრა;

2. სტატუსის აღდგენის მიზნით რექტორის სახელზე განცხადების წარდგენა უნდა მოხდეს სემესტრის დაწყებამდე აკადემიური რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე. სტატუსის შეჩერებულ სტუდენტს/პროფესიულს სტუდენტს, რომელმაც საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო დადგენილი წესის დაცვა, შეუძლია მიმართოს ბნსუ-ს რექტორს განცხადებით, მიუთითოს მოქმედი წესის დარღვევის მიზეზი (განცხადებას უნდა დაერთოს მითითებული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი) და ითხოვოს სტატუსის აღდგენა, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის და მიმდინარე სემესტრში სწავლის გაგრძელება. განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან გაიგზავნოს ბნსუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორ-

შაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე). ყველა განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილება რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის და ფაკულტეტის დეკანის მიერ. გადაწყვეტილება მიიღება განცხადებაში მითითებული გარემოების, თანდართული დოკუმენტების და განცხადების წარდგენის თარიღის გათვალისწინებით. დადებითი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის დარჩენილ ვადაში შესაძლებელია (მათ შორის, ინდივიდუალური განრიგით) სემესტრში გათვალისწინებული პროგრამის კომპონენტების შესწავლა და დაწესებული მოთხოვნების შესრულება. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში არ ხდება სტატუსის აღდგენა. გადაწყვეტილება სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ეცნობა ამ შინაგანაწესით განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადაში.

2. თუ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც სტატუსის შეჩერებამდე სწავლობდა სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, განიცადა ცვლილებები ან გაუქმებულია, სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება 1) ბნსუ-ში სტატუსის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, 2) ბნსუ-ში სტატუსის აღდგენის და სწავლის გაგრძელების შესახებ (იხ. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“). ამ შემთხვევაში ხდება სტატუსის შეჩერებამდე შესწავლილი პროგრამის კომპონენტების შესაბამისობის დადგენა იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომლითაც სწავლა გაგრძელდება ბნსუ-ში სტატუსის აღდგენის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში მიღება გადაწყვეტილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და ამ გეგმით სწავლის გაგრძელების შესახებ. ფაკულტეტის დეკანი რექტორს წარუდგეს დასაბუთებულ დასკვნას. დეკანის დასკვნის და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირება მოხდება წინამდებარე შინაგანაწესით სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის განცხადების განხილვისთვის დადგენილ ვადაში. სტატუსის აღდგენის შესახებ ბნსუ-ს დადებითი გადაწყვეტილების და სტატუსის შეჩერებული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში ხდება სტატუსის აღდგენა;

3. უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში: 2010 წლის 4 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 10 წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს ბნსუ-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ბნსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

4. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება რექტორის ბრძანებით.

3. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

ქვემოთ მითითებული წესი მოქმედებს ბნსუ-ს საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული განათლების საფეხურების შემთხვევაში:

1. ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა; სტატუსის შეწყვეტის შესახებ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); მობილობით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება; საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება; საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა (პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა, კვალიფიკაციის მისანიჭებლად კრედიტების სავალდებულო რაოდენობის ვერმიღება/მიღების შეუძლებლობა პროგრამით სწავლის გაგრძელებისთვის გათვალისწინებულ ვადაში); სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება (წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური დარღვევები, რომლებიც იწვევენ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას); კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც გამოტანილია ისეთი ქმედების ჩადენისთვის, რომელიც ამ შინაგანაწესით წარმოადგენს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს; პირის გარდაცვალება, კანონმდებლობის შესაბამისად პირის ქმედუწაროდ ცნობა, მოქმედი კანონმდებლობით სხვა გათვალისწინებული შემთხვევები;



2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც მან (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა მიმართოს ბნსუ-ს რექტორს სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით, რომელშიც მიეთითება: სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლების სემესტრი და სემესტრი, რომლიდანაც სურს სტატუსის შეწყვეტა, განცხადების თარიღი. განცხადება სტატუსის შეწყვეტის შესახებ უნდა ჩაბარდეს ბნსუ-ს კანცელარიას (სამუშაო დღეები:

ორშაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე). თუ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი სემესტრის დაწყებიდან 05 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს ბნსუ-ს რექტორს განცხადებით სტატუსის შეწყვეტის შესახებ, მას დაუბრუნდება გადახდილი მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის 90%. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი თანხა პირს არ დაუბრუნდება;

3. ბნსუ-ს გადაწყვეტილებით სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება შემდეგი პირობების დაცვით: ა) სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, რომლის მიმართ მიმდინარეობს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე წარმოება, უნდა იყოს ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ; ბ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის საფუძველით სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის დასრულებიდან 30 კალენდარულ დღეში. ბნსუ-ს მიერ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გადახდილი სწავლის საფასური პირს არ დაუბრუნდება;

4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტი გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება რექტორის ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსის ითვლება შეჩერებულად და მას შეუძლია ისარგებლოს მოზილობის უფლებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება ხდება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბნსუ-ს მიერ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გადახდილი სწავლის საფასური პირს არ დაუბრუნდება;

5. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება რექტორის ბრძანებით.

4. დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელება კვეთით მიითვებული წესი მოქმედებს ბნსუ-ს საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული განათლების საფეხურების შემთხვევაში:

1. ბნსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დადგენილი რაოდენობის დამატებით სემესტრ(ებ)ში სწავლა შეიძლება გაგრძელდეს, თუ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილ ძირითად ვადებში არ აქვს შესრულებული პროგრამის მოთხოვნები, არ აქვს მიღებული შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობა, მაგრამ დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელებით იქნება შესაძლებელი პროგრამის მოთხოვნის შესრულება და კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობის მიღება (წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტისა);

2. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც სურს დამატებით სემესტრ(ებ)ში სწავლის გაგრძელება, შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის დასრულებამდე ან დასრულებისთანავე (არაუმეტეს 05 სამუშაო დღეში) მიმართავს რექტორს შესაბამისი განცხადებით, რომელშიც მიეთითება: სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა, მიზეზი, რომლის გამო სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა ვერ შეძლო ძირითად ვადაში საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება, განცხადების თარიღი. განცხადება უნდა ჩაბარდეს

ბნსუ-ს კანცელარიაში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე). სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში) განსახილველად გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს;

3. თუ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის საბუთების შესწავლით დადგინდება, რომ დამატებით სემესტრებში შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულება და კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობის მიღება (წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტისა), მაშინ ფაკულტეტის დეკანი რექტორთან შუამდგომლობს განცხადების დაკმაყოფილების შესახებ. თუ შესასწავლი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების წინაპირობებიდან ან/და მისაღები კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე შეუძლებელია დამატებით სემესტრებში საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულება (კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების მიღება), დეკანი რექტორს წარუდგას დასაბუთებულ დასკვნას დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელების/გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ეცნობა წინამდებარე შინაგანაწესში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის განცხადების განხილვისთვის დადგენილ ვადაში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის მიღების პირობით). დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელებაზე უარის შემთხვევაში სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შეუწყდება სტატუსი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის გამო. სტატუსის შეწყვეტა ფორმდება რექტორის ბრძანებით;

4. გამოწვევის შემთხვევები: საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელებისთვის დადგენილი ვადის გადაჭარბებით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია, თუ დოკუმენტურად დადასტურდა დამატებითი სემესტრებში სწავლის პერიოდში განსაკუთრებული, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებების (ჯანმრთელობის მკვეთრი და ხანგრძლივი გაუარესება, სამედიცინო დაწესებულებაში ხანგრძლივი მკურნალობა, ხანგრძლივი შრომისუუნარობა, სტიქიური უბედურება და/ან სხვ.) არსებობა, რის გამო სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა ვერ შეძლო დამატებითი სემესტრებში კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობის დაგროვება. ყველა ასეთი განცხადება და დამადასტურებელი დოკუმენტები განიხილება რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მიერ, რის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის გამო სტატუსის შეწყვეტის ან მაქსიმუმ 01 სემესტრის დამატების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ეცნობა წინამდებარე შინაგანაწესით სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის განცხადების განხილვისთვის დადგენილ ვადაში.

5. კვალიფიკაციების მინიჭება. მოწმობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების მოსმენის შესახებ

1. საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა შესრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და მიიღო პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობა. ფაკულტეტის დეკანის მიერ იქმნება კომისია, რომელიც შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შედეგად კვალიფიკაციის/პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების/მინიჭებაზე უარის თქმის რეკომენდაციებს. კვალიფიკაციას/პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს ფაკულტეტის საბჭო. კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში გამოიცემა რექტორის ბრძანება კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის/პროფესიული დიპლომის გაცემის და საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულების შედეგად პროგრამის კურსდამთავრებულთათვის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას ყველა კომპონენტში მხოლოდ "A" და "B" შეფასებების მიღების, პროგრამის კომპონენტების არანაკლებ 75%-ში "A" (ფრიადი), დანარჩენებში კი "B" (ძალიან



კარგი) შეფასებების შემთხვევაში გაიცემა წარჩინების დიპლომი, ყველა სხვა შემთხვევაში - ჩვეულებრივი დიპლომი. დიპლომის განუყოფელი ნაწილია დიპლომის დანართი, რომელშიც ასახება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტი შესაბამისი სახელწოდებების, კრედიტების რაოდენობების და მიღებული შეფასებების მითითებით;

2. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა განათლების შესაბამისი საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების/მოდულების მოსმენის შესახებ.

მუხლი 20. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

1. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება: •

- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი;
- მოითხოვოს ბნსუ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულება, ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა და სწავლისათვის აუცილებელი პირობების შექმნა; • მოითხოვოს მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, სასწავლო პროცესში თანასწორი მონაწილეობის, ცოდნის ობიექტური და სამართლიანი შეფასების, მიღებული შეფასებების გასაჩივრების შესაძლებლობის, არჩევანის გამჭვირვალობის და სხვ. უზრუნველყოფა; • მონაწილეობა მიიღოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების პროცესში და თავი-სუფლად გამოხატოს თავისი აზრი; • მოითხოვოს და მიიღოს სრული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ;
- თანაბარ პირობებში ისარგებლოს სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის სერვისებით, ბნსუ-ს ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვ. რესურსით, მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, გაცვლით პროგრამებში, პროექტებში, კვლევებში, ტრენინგებში და სხვ., ჩაერთოს შემეცნიებით/შემოქმედებით საქმიანობაში, კოლექტიურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და განახორციელოს ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობა და ისარგებლოს ბნსუ-ში არსებული შესაძლებლობებით; • იყოს სტუდენტური თვითმმართველობის წევრი, თანასწორი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე არჩეული იყოს მის მართვის ორგანოში (სტუდენტის შემთხვევაში); • თანასწორი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე არჩეული იყოს წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოებში და მონაწილეობა მიიღოს მართვაში და გადაწყვეტილებების მიღებაში თანაბარი ხმის უფლებით;
- უარყოფითი (F, ჩაიჭრა) შეფასებების შემთხვევაში განმეორებით შეისწავლოს სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები;
- არჩევითი სასწავლო კურსების/თავისუფალის კრედიტების კონცენტრაციით მოახდინოს მისთვის სასურველი საგანმანათლებლო პროფილის ფორმირება (უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში); • ზეწოლის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება და გამოიყენოს სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბნსუ-ში შიდამობილობით განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით ან მობილობით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება; • საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოსგან, საგანმანათლებლო დაწესებულებისგან, სხვადასხვა ფონდებისგან/ორგანიზაციებისგან, კერძო პირებისგან ან სხვა კანონმდებლობით ნებადართული წყაროდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება და სხვა შეღავათები; • დისციპლინური დევნისას განახორციელოს კანონმდებლობით და წინამდებარე შინაგანაწესით მინიჭებული უფლებები, სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები; • ისარგებლოს ბნსუ-ს მარეგულირებელი დებულებებით/წესებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით და საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით.

2. სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- შესარულოს ბნსუ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობები და მოთხოვნები;
- ბნსუ-სთან დადებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით (ვადებში და ოდენობით) გადაიხადოს ბნსუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ გრანტს/დაფინანსებას შორის არსებული სხვაობა (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში), შესარულოს ყველა ფინანსური ვალდებულება;
- შესარულოს მის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები, ისწავლოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კურსი/კომპონენტი და ის სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია;
- მართლზომიერად ისარგებლოს ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით;
- გაუფრთხილდეს ბნსუ-ს ტრადიციებს და რეპუტაციას;
- დაიცვას ბნსუ-ში მოქმედი ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსები და ქცევის წესები და შესარულოს საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ-ში მოქმედი შინაგანაწესის და სხვა მარეგულირებელი დებულებების/წესების მოთხოვნები, ადმინისტრაციის, წარმომადგენლობითი, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოების კანონიერი გადაწყვეტილებები.

მუხლი 21. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის ქცევის წესები

1. ქცევის წესები

სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- იყოს კანონმორჩილი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი ერთგული, მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე პიროვნება;
- დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
- დაიცვას ბნსუ-ს ეთიკის კოდექსი, აკადემიური ეთიკის კოდექსი და ბნსუ-ში მოქმედი ქცევის წესები;
- ჰქონდეს პიროვნული, მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობა, ვალდებულებების შესრულების და ეთიკური ნორმების დაცვის მოტივაცია;
- ჰქონდეს საკუთარი და სხვისი კანონიერი ინტერესების, უფლებების და თავისუფლებების დაცვის, ღირსებისა და უფლებების აღიარებისა და პატივისცემის მოტივაცია;
- დაემორჩილოს ბნსუ-ს მარეგულირებელ წესებს;
- არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც ბნსუ-ს მიერ მიჩნევა ქცევის წესების დარღვევად და იწვევს დისციპლინურ სახდელს;
- არ ჩაიდინოს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის და სხვა პირებისადმი უხეში და დამამცირებელი ქმედება, ძალადობა, შეურაცხყოფა, ძალის გამოყენების მუქარა;
- კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით მოეკიდოს სწავლის პროცესს, მისთვის უნდა იყოს მიუღებელი პლაგიატი, ინფორმაციის/ფაქტების ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, სხვის მიერ მომზადებული დავალების/ნაშრომის ნაწილობრივ ან მთლიანად გად-



მოწერა, გამოცდებზე წინასწარ მომზადებული ჩანაწერების გამოყენება, საშინაო/საგამოცდო დავალების შესრულებისას ინფორმაციის გაყალბება და შეცვლა, ყალბი წყაროებისა და მონაცემების გამოყენება და მითითება;

- საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაიცვას ბნსუ-ში ჩამოვლილი დადგენილი ფორმა.

სტუდენტმა უნდა იცოდეს, რომ დაუშვებელია:

- ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რასიზმის, ფაშიზმის, ძალადობის პროპაგანდა, რელიგიური ფანატიზმი, საქართველოს კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა და შეზღუდვა;
- სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცილისწამება, ღირსების შეურაცხყოფელი ქცევა;
- სხვა სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის განათლების მიღების უფლების შეზღუდვა და სასწავლო პროცესის ჩაშლა; სხვა სტუდენტების/პროფესიული სტუდენტის მიერ ბნსუ-ს შენობით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და წიგნადი ფონდით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
- ქვევის წესების, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის და სხვა მარეგულირებელი დებულებების დარღვევა, სასწავლო/გამოცდის პროცესის ჩაშლის მცდელობა, მეცადინეობებზე/გამოცდებზე დაგვიანებით შესვლა, თვითნებურად მიტოვება ან ქვევის წესების/წესრიგის დარღვევად მიჩნეული სხვა ქმედების ჩადენა;
- დაცვის სამსახურისადმი დაუმორჩილებლობა და გაფრთხილების უგულვებელყოფა, წესრიგის დარღვევა, ბნსუ-ს შენობის და ტერიტორიის დაზიანება და წესრიგის დარღვევად მიჩნეული სხვა ქმედების ჩადენა;
- სხვისი, მათ შორის ბნსუ-ს საკუთრების მითვისება, ბნსუ-ს დოკუმენტების/ჩანაწერების ფალსიფიცირება, გადაკეთება, შეცვლა და განადგურება, ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განზრახ დაზიანება/განადგურება, საფრთხეში ჩაგდება და არადანიშნულებისამებრ თვითნებურად გამოყენება;
- განზრახ, გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას;
- საგანგებო სიტუაციის შექმნა ან/და საგანგებო სიტუაციების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელება;
- ბნსუ-ს შემობაში/ტერიტორიაზე აკრძალულ (არანებადართულ) ადგილებში თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები, ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და მოხმარება, ასაფეთქებელი საშუალების, ცივი ან/და ცეცხლსასროლი იარაღის, საფრთხის შემქმნელი მასალების შემოტანა, შენახვა, გავრცელება, გამოყენება, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი ან/და ტოქსიკური საშუალებების შემოტანა, შენახვა, გავრცელება და მოხმარება, ქურდობა, ყაჩაღობა, ძალადობა, ძალის გამოყენება, თავდასხმა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდარღვევების ჩადენა.

2. გამოცდაზე/დაცვაზე ქვევის წესები

1. შუალედურ, დასკვნით და დამატებით გამოცდებზე (შემდგომში - გამოცდა) დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარების და ჰიგიენის (წყალი, წამლები, ხელსახოცები, კალამი და სხვ.) ნივთებისა და ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ნებადართული ცნობარების/სხვ. შემოტანა (უნდა განთავსდეს საგამოცდო მაგიდის ზედაპირზე). დაუშვებელია: გამოცდაზე დაგვიანება; ქურთუკით, ქუდი ან თავსაბურავით შემოსვლა; დაწყებული გამოცდის მიტოვება; არანებადართული ნივთების (სასწავლო მასალის/სახელმძღვანელოს, ნებისმიერი სახის ჩანაწერების, მობილური ტელეფონის, ნოუტბუქის, ყურსასმენების და სხვადასხვა ხელსაწყოების) შეტანა, გამოყენების მცდელობა/გამოყენება; გამოცდაზე ქვევის წესების დარღვევა (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა, გამოცდის ჩაშლის მცდელობა/ჩაშლა) ან ბნსუ-ს შინაგანაწესით და ბნსუ-ში მოქმედი ეთიკის კოდექსის, აკადემიური ეთიკის კოდექსის და ქვევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა; საგამოცდო ფურცლის დაზიანება (მათ შორის, რაიმე სახის მინაწერის/წარწერის ან გრაფიკული გამოსახულების დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალების შესრულებასთან);

2. დაცვაზე დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარებისა და ჰიგიენის (წყალი, წამლები, ხელსახოცები და სხვ.) ნივთების, დაცვაზე წარსადგენ ნაშრომთან/ანგარიშთან დაკავშირებული მასალების (სქემები, ნახატები, ცხრილები ან სხვა საილუსტრაციო მასალა) და მოწყობილობების შემოტანა. დაუშვებელია: დაცვაზე დაგვიანება; ქურთუკით, ქუდით ან თავსაბურავით შემოსვლა; დაწყებული დაცვის მიტოვება; არანებადართული ნივთების (მობილური ტელეფონის, ყურსასმენების და სხვ.) შეტანა, გამოყენების მცდელობა/გამოყენება; გამოცდაზე ქვევის წესების დარღვევა (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა, დაცვის ჩაშლის მცდელობა/ჩაშლა); ბნსუ-ს შინაგანაწესით და ბნსუ-ში მოქმედი ეთიკის კოდექსის და ქვევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა;

3. გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევად მიიჩნევა: არანებადართული ნივთების შემოტანა, გამოყენების მცდელობა/გამოყენება; გამოცდაზე/დაცვაზე ქვევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედება ან ბნსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსის და ქვევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა. გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, ხოლო მიღებული გაფრთხილების მიუხედავად განმეორებით იგივე ან სხვა დარღვევის ჩადენის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი კარგავს გამოცდის/დაცვის დასრულების უფლებას (ფიქსირდება შეფასება 0 ქულა), დგება ახსნა-განმარტებითი ბარათი წესრიგის დამრღვევის სახელისა და გვარის და მის მიერ ჩადენილი ქმედების მითითებით, წესრიგის დამრღვევის მიმართ დაიწყება დისციპლინური წარმოება და იქნება გამოყენებული წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებული სახდელი;

4. გამოცხაზე/დაცვაზე ქურთუკით, ქუდით ან თავსაბურავით შემოსვლის ან არანებადართული ნივთების შემოტანის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დატოვოს ეს ნივთები მითითებულ განცალკევებულ ადგილას, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მისი ქვევა მიიჩნევა გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევად;

5. სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი კარგავს გამოცდაზე/დაცვაზე შესვლის (გამოცდაზე/დაცვაზე დაგვიანების შემთხვევაში) და გამოცდის/დაცვის დასრულების (გამოცდის/დაცვის მიტოვების ან გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში) უფლებას. გარდა ამისა, გამოცდაზე/დაცვაზე არგამოცხადების/დაგვიანების, გამოცდის/დაცვის მიტოვების ან გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მას არ აქვს სხვა ვადაში ამ გამოცდის/დაცვის დანიშნვისა და ჩატარების მოთხოვნის უფლება. საპატიო მიზეზის გამო გამოცდაზე/დაცვაზე არგამოცხადების/დაგვიანების ან გამოცდის/დაცვის მიტოვების შემთხვევები განიხილება ინდივიდუალურად და შეიძლება იყოს მიღებული გადაწყვეტილება სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის სხვა თარიღში ამ გამოცდის/დაცვის დანიშნვის შესახებ, რაც ფორმდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით.

6. საგამოცდო ფურცლის დაზიანების (მაგ., საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინაწერის/წარწერის ან გრაფიკული გამოსახულების დატანა, რომელიც არ არის დაკავშირებული საგამოცდო დავალებასთან) შემთხვევაში არ ხდება საგამოცდო ნაშრომის განხილვა (ფიქსირდება შეფასება 0 ქულა) და დგება ახსნა-განმარტებითი ბარათი ნაშრომის შეფასებაზე უარის თქმის მიზეზის მითითებით;

7. ბნსუ-ში გამოცდის/დაცვის დროის ლიმიტია დადგენილი. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს არ აქვს უფლება თვითნებურად გაზარდოს დადგენილი ლიმიტი ან მოითხოვოს მისთვის ამ ლიმიტის გაზრდა.



მუხლი 22. სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა დისციპლინური სახდელები. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება. სახდელის მოხსნა

ბნსუ იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას ბნსუ-ს პერსონალის, სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების და ბნსუ-ში მყოფი პირების უსაფრთხოება და მოვალეა მიიღოს ზომები ისეთი ქმედების აღსაკვეთად, რომელიც არღვევს ბნსუ-ში მიღებულ ქცევის წესებს ან საფრთხის ქვეშ აყენებენ ბნსუ-ის ტერიტორიაზე მყოფთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და მატერიალური ფასეულობების დაცვლობას. ბნსუ-ში ყველა სტუდენტი/პროფესიული ვალდებულია თავისი ქცევა შეუსაბამოს საქართველოს კანონმდებლობის ნორმებს, შეასრულოს ბნსუ-ს შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების მოთხოვნები, რომელთა დარღვევა იწვევს წესრიგის დამრღვევი სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიმართ დარღვევის პროპორციულ დისციპლინურ ზომას (სახდელი):

1. დისციპლინური სახდელი

1. გაფრთხილება - გამოიყენება ერთხელ ჩადენილ შემდეგ შემთხვევებში: სხვა სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების განათლების მიღების უფლების ან ბნსუ-ს შენობით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და წიგნადი ფონდით სარგებლობის შეზღუდვის მცდელობა; საეჭვო, გადაუმოწმებელი ან ცრუ ინფორმაციის გავრცელება; სასწავლო პროცესის ჩაშლის/გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის მცდელობა/ხელშეწყობა, ბიბლიოთეკასა და აუდიტორიებში მობილური ტელეფონებით სარგებლობა ან ხმაური, სხვის ნაცვლად ან სხვის მიერ მის ნაცვლად გამოცდის ჩაბარების (საგამოცდო დავალების შესრულების ან სხვ.) მცდელობა; საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - ბნსუ-ში ჩაგმულობის დადგენილი ფორმის დარღვევა; დაცვისადმი დაუმორჩილებლობა; ბნსუ-ს შენობაში/ტერიტორიაზე აკრძალულ/არანებადართულ ადგილებში თამბაქოს მოწევა, არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, ალკოჰოლური სასმელების შემოტანის მცდელობის ხელშეწყობა, აზარტული თამაშების ორგანიზების ხელშეწყობა; ბნსუ-ს შენობის/ტერიტორიის დაზინძურება; ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არადანიშნულებისამებრ თვითნებურად გამოყენების მცდელობა/გამოყენების ხელშეწყობა; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით: ბნსუ-ს დოკუმენტაციის დაზიანება, ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დაზიანება ან საფრთხეში ჩაგდება, საგანგებო სიტუაციის შექმნა ან ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბნსუ-ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.

2. საყვედური - გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: 1) მიღებული დისციპლინური სახდელის - გაფრთხილების - მიუხედავად მიმდინარე აკადემიური წლის განმავლობაში იგივე ქმედების ჩადენა; 2) ერთხელ ჩადენილი: შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რამაც დააზიანა სასწავლო/გამოცდის პროცესის ნორმალური მიმდინარეობა; გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის/ქცევის წესების დარღვევა; გამოცდებზე წინასწარ მომზადებული (არანებადართული) ჩანაწერების გამოყენება; აკადემიური ეთიკის კოდექსის დარღვევა (სხვის მიერ მომზადებული დავალების/ნაშრომის ნაწილობრივ ან მთლიანად გადმოწერის, ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვა გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების დადასტურების შემთხვევებში ნაშრომი ფასდება 0 ქულით - არ ხდება ნაშრომის შეფასება / უკვე შეფასებული ნაშრომის შემთხვევაში შეუქმდება მიღებული შეფასება. ასევე, ბნსუ-ს მიერ დაფინანსებულ სტუდენტის ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვა გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ბნსუ-ს სრულად დაუბრუნოს კვლევის, ნაშრომის მომზადების/თარგმნის/გამოსაცემად მომზადების/გამოცემის მიღებული (მათ შორის, უკვე გამოყენებული) დაფინანსება; სხვა სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების განათლების მიღების უფლების ან ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა; სხვის ნაცვლად ან სხვის მიერ მის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება (საგამოცდო დავალების შესრულება/სხვ.); ქრთანის მიცემის მცდელობა; ბნსუ-ში რელიგიური ან პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბების მცდელობა; სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების, ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სხვა პირებისადმი სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცილისწამება, დამცირება, ღირსების შეურაცხმყოფელი ქცევა, ძალის გამოყენების მუქარა; ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არადანიშნულებისამებრ თვითნებურად გამოყენება, დაზიანება, დაზიანების მცდელობა ან საფრთხეში ჩაგდება; ბნსუ-ს შენობაში/ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციის შექმნა/შექმნის მცდელობა/ხელშეწყობა ან საგანგებო სიტუაციების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელება, გაუფრთხილებლობით/დაუდევრობით ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ბნსუ-ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, აზარტული თამაშების ორგანიზების მცდელობა/ორგანიზება/ორგანიზებაში მონაწილეობა, ცივი იარაღის შემოტანის მცდელობა, ალკოჰოლური სასმელების შემოტანა/მოხმარება/გავრცელება; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით ბნსუ-ს დოკუმენტაციის განადგურება ან ბნსუ-ს დოკუმენტაციის გაყალბების/განადგურების/დაზიანების მცდელობა/ხელშეწყობა; ბნსუ-ს საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცრუ ინფორმაციის გავრცელება; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით კონფიდენციალური/არასაჯარო/პირადი ინფორმაციის გასაჯაროება ან გასაჯაროების ხელშეწყობა. შენიშვნა: სახდელი „გაფრთხილება“ არ იწვევს სტუდენტის/პროფესიული სტატუსის შეჩერებას ან შეწყვეტას.

3. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: 1) ბნსუ-ს შინაგანაწესის და ქცევის წესების სისტემატურ დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა: 01 აკადემიური წლის განმავლობაში მიღებული დისციპლინური სახდელის - საყვედურის - მიუხედავად იგივე ქმედების ჩადენა ან ქცევის წესების სხვადასხვა დარღვევებისთვის 02 ან მეტი საყვედურის მიღება; 2) ბნსუ-ს შინაგანაწესის და ქცევის წესების უხეშ დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა: ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რასიზმის, ფაშიზმის, ძალადობის პროპაგანდა, რელიგიური თუ სხვა სახის ფანატიზმი, საქართველოს კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა და შეზღუდვა; განზრახ შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების განზრახ დარღვევა, რითაც ზიანი მიადგა ბნსუ-ს, ბნსუ-ში დასაქმებულ/მყოფ პირებს/სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს; განზრახ სასწავლო პროცესის/გამოცდის ჩაშლა; სხვისი, მათ შორის ბნსუ-ს, საკუთრების განზრახ დაზიანება/განადგურება ან მოპარვა; ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის; დოკუმენტაციის გაყალბება, განზრახ დოკუმენტაციის დაზიანება/განადგურება ან კონფიდენციალური/არასაჯარო/პირადი ინფორმაციის გასაჯაროება; განზრახ პერსონალისთვის/სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის მორალური/ფიზიკური ზიანის მიყენება; ბნსუ-ს შენობაში/ტერიტორიაზე განზრახ ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც საფრთხეში ჩააგდო ბნსუ-ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; ძალადობა/თავდასხმა ან ძალადობის/თავდასხმის მცდელობა, აზარტული თამაშების ორგანიზება, ცივი იარაღის შემოტანა, ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანის მცდელობა/შემოტანა, საფრთხის-შემქმნელი მასალების, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი ან/და ტოქსიკური საშუალებების შემოტანა/შენახვა/გავრცელება/მოხმარება; საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევა.

2. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება

1. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავს სტუდენტის/პროფესიული უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, ბნსუ-ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას;



2. საქმისწარმოება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შინაგანაწესით განსაზღვრული წესით;
3. ერთი დარღვევისთვის არ შეიძლება იყოს გამოყენებული ერთდროულად რამდენიმე დისციპლინური სახდელი;
4. დარღვევისთვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ მითითებულ შემთხვევებში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (სახდელი) განისაზღვრება ჩადენილი დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე;
5. საკითხის განხილვის ხანგრძლივობა განპირობებულია შესასწავლი საკითხის სირთულით და განსახილველი ინფორმაციის მოცულობით და არ უნდა გასცდეს გონივრულ ვადებს. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ უნდა იყოს მიღებული დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებიდან არაუმეტეს 15 სამუშაო დღეში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო ან საკითხის განხილვისთვის დადგენილია განსხვავებული ვადა (მაგ., ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების და მანიპულირების ფაქტების განხილვა);
6. პირს, რომლის მიმართ დაწყებულია/მიმდინარეობს დისციპლინარული საქმისწარმოება, უფლება აქვს: წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ; დაესწროს მისი საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი პოზიცია, ისარგებლოს დაცვის უფლებით, მიიღოს განსახილველ საქმესთან დაკავშირებული ყველა მასალა, მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში, მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის საჯარო განხილვა, მიიღოს ინფორმაცია მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, სადისციპლინო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 02 სამუშაო დღის ვადაში წერილობით მიმართოს ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, არგუმენტირებულად გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება და მოითხოვოს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი საკითხის განმეორებით განხილვა; სასამართლოში გაასაჩივროს ბნსუ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;
7. დისციპლინური დარღვევის ფაქტს (გარდა ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტებისა) იკვლევს ბნსუ-ს სადისციპლინო კომისია, რომლის წევრები არიან: ბნსუ-ს იურიდიული სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე), ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე. სადისციპლინო კომისიის შემადგენლობაში სხვა წევრების შეყვანა ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით. სადისციპლინო კომისიის მუშაობის ხანგრძლივობას განაპირობებს შესასწავლი მასალების რაოდენობა და საკითხის სირთულე. ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტებს შეისწავლის ბნსუ-ს აკადემიური საბჭო ან აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი კომისია (აღწერილია წინამდებარე შინაგანაწესის მუხლში „ეთიკის კოდექსი. აკადემიური ეთიკის კოდექსი“);
8. სადისციპლინო კომისია ვალდებულია შეისწავლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებები, ობიექტურად და სამართლიანად, ყოველგვარი მიკერძოების და დისკრიმინაციის გარეშე განხილოს დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული გარემოებები, გამოკითხოს თვითმხილველები და მიიღოს დასაბუთებული დასკვნა პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის და გადაცდომის/დარღვევის სიმძიმის პროპორციული სახდელის გამოყენების/გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ;
9. სადისციპლინო კომისიის წევრი ვალდებულია საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საკითხების ობიექტურად განხილვის და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. ასეთი გარემოების არსებობისას კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების შესახებ (ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკრეტული საკითხის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში);
10. სადისციპლინო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3, გადაწყვეტილება მიიღება დიპლომის კენჭისყრით დამსწრე წევრთა ხმათა 2/3-ით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის წევრები სარგებლობენ თანასწორი ხმის უფლებით (ხმების თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა). სადისციპლინო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება დახურულ სხდომაზე;
11. სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით სხდომაზე მოიწვიოს წესების დამრღვევი პირი, დარღვევის მოწმეები, დაზარალებული პირები, წესრიგის დამრთვევი პირი, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები და/ან სხვ. სადისციპლინო კომისიის მუშაობაში ყველა მონაწილე პირი ვალდებულია დაიცვას საკითხის შესწავლისას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;
12. სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიმართ გამოიტანოს დასკვნა სახდელის გამოყენების ან გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ინფორმაცია გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს;
13. კომისიის მუშაობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე კომისიის ყველა წევრი;
14. სადისციპლინო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დაინტერესებული პირის ინფორმირება ხდება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;
15. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში საჩივრის შემოსვლიდან არაუგვიანეს 03 დღეში საკითხი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე (სხდომა დახურულია, სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3, გადაწყვეტილების მიღება ხდება ფარული კენჭისყრით ხმათა 2/3-ით (ხმების თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა). წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით სხდომაზე მოიწვიოს წესების დამრღვევი პირი, დარღვევის მოწმეები, დაზარალებული პირები, წესრიგის დამრთვევი პირი, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები, სადისციპლინო კომისიის წევრები და/ან სხვ. საჩივრის განხილვაში ყველა მონაწილე პირი ვალდებულია დაიცვას საკითხის შესწავლისას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირისთვის დაკისრებული სახდელის მოხსნის/შეცვლის შესახებ ან უცვლელი დატოვოს სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული სახდელი. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო. დაინტერესებული პირის ინფორმირება ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;
16. სადისციპლინო კომისიის ან წარმომადგენლობითი საბჭოს (სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში) მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით წესრიგის დამრღვევი პირისთვის შესაბამისი სახდელის დაკისრების შესახებ. სტუდენტის/პროფესორის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება რექტორის ბრძანებით;
17. დისციპლინური საქმისწარმოების მასალები ინახება დასაქმებულის პირად საქმეში;
18. ინფორმაცია პირის მიმართ დაწყებული დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ კონფიდენციალურია გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს პირის ნებართვა ან ბნსუ-ს კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.



3. დისციპლინური სახდელის მოხსნა

თუ დისციპლინის დამრღვევი პირი დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან 01 წლის განმავლობაში არ ჩაიდენს რაიმე დარღვევას, მას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით შეიძლება მოეხსნას დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

მუხლი 23. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის წახალისება

წარჩინებული სწავლისა და ბნსუ-ს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, დისციპლინარული სახდელის (გაფრთხილება, საყვედური) ან ჯარიმის მოხსნა; კონფერენციებზე, სემინარებზე, ტრეინინგზე და ა.შ. გაგზავნა და დაფინანსება ან სხვ. შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. გადაწყვეტილებას წახალისების ფორმების და ოდენობის და პერსონიფიკაციის შესახებ ღებულობს რექტორი ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი.

მუხლი 24. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ხელშეწყობა

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობა

1.1. **ბნსუ-ს პრონციები:** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების (შემდგომში - სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი) განათლებისა და მხარდაჭერის მიღების თანასწორი უფლების აღიარება, პატივისცემა და ნებისმიერი დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მათი საჭიროებების და შესაძლებლობების დიფერენცირება, ინდივიდუალური და კომპლექსური მხარდაჭერისა და რელევანტური საგანმანათლებლო სტრატეგიის შემუშავება, განვითარების, სოციალური ადაპტაციის და ინტეგრაციის ხელშეწყობა;

1.2. **ბნსუ-ს პოლიტიკა:** ყველა სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს აქვს განსხვავებული საჭიროებები. აუცილებელია ისეთი მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სტუდენტს/პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას, მათი შესაძლებლობებისა და უნარების დემონსტრირების, განვითარების და რეალიზების შესაძლებლობას, ბნსუ-ს რესურსებთან წვდომას, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ყოველმხრივ (ადმინისტრაციულ, საგანმანათლებლო და სხვ.) მხარდაჭერას და მასთან უკუკავშირს, ხელს შეუწყობენ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს აკადემიური და სოციალური უნარების გაუმჯობესებაში და საკუთარი შესაძლებლობების თვითშეფასების ამაღლებაში, შექმნიან პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს და დადებით გავლენას მოახდენენ ბნსუ-ს პერსონალის პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე;

1.3. **სპეციალისტების ჩართულობა:** სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობების სწორი დიფერენცირების, მათი საჭიროებების სწორი დადგენისა და ხელშეწყობის რელევანტური მექანიზმების შემუშავების პროცესში იქნება უზრუნველყოფილი სპეციალისტების (ფსიქოლოგები, მედიკოსები, შესაბამისი გამოცდილების მქონე პედაგოგები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, სხვ.) ჩართულობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, სწავლა-სწავლებიდან და შეფასების რელევანტური მეთოდების განსაზღვრაში, საგანმანათლებლო რესურსებთან წვდომისა და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის/ხელშეწყობის სერვისების შექმნაში და სხვ. ასევე, სპეციალისტები სისტემატურად ჩაატარებენ ტრეინინგებს ბნსუ-ს პერსონალისთვის და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებისთვის, პერიოდულად შეისწავლიან სასწავლო პროცესისა და სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის მექანიზმების რელევანტურობას და შეიმუშავებენ მათი გაუმჯობესების რეკომენდაციებს;

1.4. **შენობების ხელმისაწვდომობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა:** სასწავლო სივრცის და ინფრასტრუქტურის ობიექტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პანდუსი, შენობის ცენტრალურ შესასვლელთან, შენობის სართულებს შორის გადაადგილების შესაძლებლობა, სპეციალური სანკვანძები, სხვა - საჭიროებების შესაბამისად), სპეციალური სასწავლო ადგილების მოწყობა (აუდიტორიაში ერთი სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი სასწავლო სივრცის გაზრდა), ბნსუ-ს სივრცეში ორიენტაციის გამარტივების და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით დამხმარე პირის დანიშვნა (საჭიროების შემთხვევაში).

1.5. **აკადემიური ხელშეწყობა:** ქვემოთ მითითებული მექანიზმები ამოქმედდება შესაბამის საჭიროების შემთხვევაში, კერძოდ - **სწავლა-სწავლება:** სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართება შესაბამის უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ ბნსუ-ში მოქმედი წესის შესაბამისად) მიხედვით, რომლის შემუშავებაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ისე სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენელი). ასევე, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) მონაწილეობით ბნსუ შეიმუშავებს სწავლების და კონსულტაციების მოქნილ განრიგს და სწავლა-სწავლების ფორმატს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს შესაბამისი უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროების შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში მოხდება სწავლა-სწავლების ისეთი მეთოდების შერჩევა და გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესში და სახელმძღვანელოები ჯგუფის მუშაობაში, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის თანაბარ ჩართულობას, პროგრამის შესწავლის შესაძლებლობას და სტუდენტის/პროფესიულ სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასებები განხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევი სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მიანიჭება - შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან მიმართებით. სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისათვის, რომელსაც აქვს მხედველობის დაქვეითება, მისი საჭიროებების გათვალისწინებით, სალექციო, შესასწავლი, საინფორმაციო, საგამოცდო მასალა და სხვ., იქნება მიწოდებული გაზრდილი მკაფიო შრიფტით ან ბრაილის ან აუდიო ფორმატში, შეიქმნება ადაპტირებული სილაბუსები და სახელმძღვანელოები. სმენის დაქვეითების ან მეტყველების პრობლემის მქონე სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში საჭიროებისამებრ იქნება მოწვეული ჟესტური ენის სპეციალისტი. სწავლა-სწავლების პროცესში ინტენსიურად იქნება გამოყენებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რაც გულისხმობს დისტანციურ/ონლაინ სწავლების და კონსულტაციების მიღების შესაძლებლობას, ელექტრონულად, მათ შორის ელ.ფოსტის მეშვეობით, რელევანტურ ფორმატში (აუდიო/ვიდეო) სასწავლო, საინფორმაციო და სხვ. მასალების მიწოდება-მიღება და ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებთან წვდომას, შეფასებისას კომპიუტერული ტექნიკის და ნაბეჭდი ტექსტის აუდიოჩაკითხვის სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებას და სხვ. მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის საჭიროებების და სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინებით.



ბით ბნსუ მოახდენს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, სასწავლო განრიგისა და ფორმატის კორექტირებას, გამოყენებული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების ეფექტურობის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში - შეცვლას.

შეფასება: სტუდენტის/პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩევა შეფასების რელევანტური ფორმები (შეფასების კომპონენტები, მეთოდები, კრიტერიუმები) და ფორმატი, რომელიც უზრუნველყოფენ მიღწეული შედეგის დადგენის და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიერ კომპეტენციების სრულად დემონსტრირების შესაძლებლობას. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად შეფასების პროცესის ადაპტირებაში მოიაზრება:

- მოდიფიცირებული საგამოცდო მასალების ხელმისაწვდომობა (მაგ., დავალებები აუდიო/ვიდეო ფორმატში, შეცვლილი (გაზრდილი) შრიფტით, ბრაილის შრიფტით, ნაბეჭდი ტექსტის აუდიოფაილის სპეციალური კომპიუტერული პროგრამა);
- წერის სხვადასხვა საშუალებების ხელმისაწვდომობა (კომპიუტერი, ტექსტური რედაქტორი, სხვ.);
- ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა (ხმის გამაძლიერებელი აპარატი, გამაძლიერებელი და/ან სხვა მოწყობილობა, გარდა მობილური ტელეფონისა);
- პრაქტიკული დახმარების მიღების შესაძლებლობა (დამხმარე პირი, მედ.მუშაკი, სხვ.);
- შეფასების ჩატარების ალტერნატიული ადგილის გამოყენების შესაძლებლობა (მაგ., შეფასება შეიძლება ჩატარდეს სხვა საგამოცდო ოთახში, თუ შეფასების ფორმატს შესაძლოა ხელი შეუშალოს სხვა სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ან შეფასებისთვის განკუთვნილი ოთახის);
- შეფასების გადავადების შესაძლებლობა (შეფასების ვადების გაზრდა, სხვა ვადაში დანიშვნა და სხვ.);
- შეფასების ხანგრძლივობის გაზრდის შესაძლებლობა (საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს მიეცემა დამატებითი დრო დავალების შესასწავლებლად);
- სამედიცინო, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან/სხვ. საჭიროებების შემთხვევაში შეფასების პროცესში შესვენებების გამოყენების შესაძლებლობა (საშუალოდ 10 წუთი შეფასების ყოველი საათისთვის. ამ დროს დაუშვებელია საგამოცდო მასალაზე/საგამოცდო დავალებაზე მუშაობა, კონსულტაციების მიღება ან სხვა, რაც უშუალოდ დაკავშირებულია შეფასების პროცესთან).

დაუშვებელია ისეთი განსხვავებული შეფასების ფორმების (კომპონენტების, მეთოდების, კრიტერიუმების) და ფორმატის გამოყენება, რომელიც არ გამოდინარეობენ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის რეალური საჭიროებებიდან და უსაფუძვლოდ პრივილეგიურულ/განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებენ მას.

1.6. ადმინისტრაციული ხელშეწყობა:

- ბნსუ-ს ადმინისტრაციის ვალდებულებაა თითოეული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შესწავლა და მათი საჭიროებების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის მოძიება, სპეციალისტებთან და ოჯახის წევრებთან თანამშრომლობა, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა და ბნსუ-ს ღონისძიებებში ჩართულობის უზრუნველყოფა (მაგ., სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური მომზადება სხვადასხვა კონფერენციებში, სპორტულ თუ ინტელექტუალურ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის და სხვ.), ბნსუ-ს პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების ფსიქოლოგიური და პედაგოგიური კომპეტენტურობის განვითარება, ბნსუ-ში სოციალური ადაპტაციის და ინტეგრაციის ხელშეწყობის პირობების შექმნა;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო ჯგუფის კურატორის ვალდებულებაა უზრუნველყონ სტუდენტთან/პროფესიულ სტუდენტთან უკუკავშირი და შეისწავლონ მისი საგანმანათლებლო საჭიროებები. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, სწავლა-სწავლების ფორმატის, სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების თავისებურებების და წესების შესახებ, დაეხმაროს მას საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში, პერიოდულად გაესაუბროს სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს, შეამოწმოს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, შეისწავლოს პრობლემების გამომწვევი მიზეზები, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან (საჭიროების შემთხვევაში - სპეციალისტებთან) კონსულტაციებით განსაზღვროს და ამოქმედოს პრობლემის გადაჭრის/არსებული ხელშეწყობის მექანიზმების ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობები. კურატორი ვალდებულია უზრუნველყოს სწავლების ინდივიდუალური განრიგის და ბნსუ-ში მოქმედი მარეგულირებელი წესების შესახებ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ინფორმირება, საგანმანათლებლო რესურსებთან წვდომა და ტექნიკური დახმარება, დაამყაროს სტუდენტთან/პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური კომუნიკაცია და უკუკავშირი, მიაწოდოს და მიიღოს ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში, თუ პრობლემის გადაჭრა სცდება მისი კომპეტენციის სფეროს - დროულად დაუკავშირდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის დეკანს, საჭიროების შემთხვევაში - ბნსუ-ს რექტორს და/ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელ-კანცლერს, სისტემატური კონსტროლი გაუწიოს ბნსუ-ში არსებული გარემოსა და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის საჭიროებების ურთიერთშესაბამისობას, შეასრულოს კურატორის სხვა საინფორმაციო-საორგანიზაციო ფუნქციები.

1.7. ფინანსური ხელშეწყობა: ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შესაძლებელია: დამატებითი გადასახადის გარეშე როგორც სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების განმეორებით შესწავლა (აკადემიური წლის განმავლობაში არაუმეტეს 20 კრედიტისა), რომლებშიც მას მისაღები აქვს კრედიტები უარყოფითი (F) შეფასების მიღების ან რომელთა განმეორებით შესწავლა სურს მიღწეული შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ისე სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ის მოსმენა (არ მოიაზრებს შეფასებისა და კრედიტის მიღების შესაძლებლობას); სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკის შედგენა; ბნსუ-ს ადმინისტრაციის მიერ საკითხის ინდივიდუალურად შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა ფინანსური შედეგების ამოქმედების შესახებ;

1.8. სამედიცინო ხელშეწყობა: ბნსუ-ს პარტნიორი დაწესებულებაა შპს „სავიტარიუსი“ - მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი, რომელშიც სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შეეძლება ანაზღაურების გარეშე სამედიცინო მომსახურების და კონსულტაციების მიღება.

1.9. კონფიდენციალურობის დაცვა: ბნსუ-ს პერსონალმა და სპეციალისტებმა (ფსიქოლოგები, მედიკოსები, შესაბამისი გამოცდილების მქონე პედაგოგები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, სხვ.) უნდა დაიცვან პროფესიული ეთიკის ნორმები - არ გავრცელონ/არ გაასაჯაროონ სამედიცინო, ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ კვლევასთან, საკონსულტაციო ან სხვა სახის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, თუ ეს ზიანს მიაყენებს სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ან მის ოჯახს;

1.10. ხელშეწყობის მექანიზმების მოქმედების ვადა: ზემოთ მითითებული წესები მოქმედებენ ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სწავლის მთელ (ძირითად და დამატებით) ვადაში.

2. ორსულობის, მშობიარობის, ზავშვის მოვლის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობის საფუძვლით სტატუსშეჩერებული სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობა

2.1. ორსულობის, მშობიარობის, ზავშვის მოვლის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობის საფუძვლით სტატუსშეჩერებული სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობა



ბის მიზნით სტატუსშეჩერებული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სურვილის შემთხვევაში, ბნსუ უზრუნველყოფს მისთვის ხელსაყრელ ფორმატში და დროს ინფორმაციის და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო მასალების მიწოდებას, საბიბლიოთეკო ფონდების (ანონაბექდი/ელ.ფორმატში) და სხვა მატერიალური რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას და სხვ. ბნსუ-ში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში შესაძლებელია სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკის შემუშავება;

2.2. მითითებული წესი მოქმედებს სტატუსშეჩერებული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიერ ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების გამომწვევი მიზეზის არსებობის ვადით.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 25. ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობა

1. ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, ტერიტორია, შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, ლინგვაფონის და სხვა კაბინეტები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, ფინანსური სახსრები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და სხვ. განკუთვნილია სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების და პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი თუ სხვა საქმიანობისთვის;

2. ბნსუ-ს ბიბლიოთეკაში დაცულია ბნსუ-ს წიგნადი ფონდი - თანამედროვე ქართული და უცხოური სამეცნიერო, საგანმანათლებლო და უნივერსალური ხასიათის გამოცემები, სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, საინფორმაციო და საილუსტრაციო მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის. ბიბლიოთეკის ფონდი ბეჭდითი გამოცემების გარდა მოიცავს სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებს, აუდიო- და ვიზუალურ მასალას. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, შესაძლებელია მუდმივი ინტერნეტით და ონლაინ რეჟიმში Witherbys Library (ელექტრონული ბიბლიოთეკით) სარგებლობა. ბიბლიოთეკა მუშაობს წინამდებარე შიგანაწესით დადგენილი განრიგით;

3. მატერიალურ ტექნიკური რესურსებით დანიშნულებისამებრ სარგებლობა შეუზღუდავად თანასწორ პირობებში შეუძლიათ ბნსუ-ს სტუდენტებს, პროფესიულ სტუდენტებს, ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. დაუშვებელია ბნსუ-ს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ან პერსონალის მიერ ბნსუ-ს სხვა სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის ან პერსონალისთვის შენობით, ბიბლიოთეკის ფონდებით და ბნსუ-ს სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა. ბნსუ-ში გამორიგებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ისეთი წესების შემოღება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს მათი გამოყენება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის.

მუხლი 26. წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. საგანგებო სიტუაციები

1. წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა

- ბნსუ იღებს ვალდებულებას დაიცვას ბნსუ-ში მყოფი პირების უსაფრთხოება და უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით ყველა ნებადართული ზომა წესრიგის დარღვევის აღსაკვეთად;
- ბნსუ-ში წესრიგის დარღვევაში მოიაზრება ბნსუ-ში მოქმედი ქვევის წესების დარღვევა ან ისეთი ქმედების ჩადენა/ვითარების შექმნა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბნსუ-ს შენობებში და ტერიტორიაზე მყოფთა უსაფრთხოებას, ბნსუ-ს ინფრასტრუქტურას და მატერიალური ფასეულობების დაცულობას;
- ბნსუ-ში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური;
- ბნსუ-ში წესრიგის დაცვა ხორციელდება ერთიანი სისტემის ფარგლებში: ფიზიკურ დაცვაში იგულისხმება დაცვის სამსახურის საქმიანობა, ტექნიკურ დაცვაში - შენობებში და ბნსუ-ს პერიმეტრზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერები. დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვალდებული არიან აღკვეთონ წესრიგის დარღვევა, განსაკუთრებულ შემთხვევებში - დაუკავშირდნენ სამართალდამცავ ორგანოებს და გახსნან ვიდეოკამერების ჩანაწერები;
- ბნსუ-ში აკრძალულია: 1) შენობებში უცხო პირთა უნებართოდ შესვლა. ბნსუ-ს ყველა სტუმარი ვალდებულია იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზე გაიცემა საშვი. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი რჩება დაცვის სამსახურში სტუმრის მიერ ბნსუ-ს შენობის დატოვების მომენტამდე; 2) ბნსუ-ს ტერიტორიაზე უცხო პირთა უმიზეზოდ შემოსვლა, გადაადგილება ან ხანგრძლივი პერიოდით დარჩენა, 3) ცეცხლსამიში, აალებადი, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური ნივთიერების, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება და შენახვა. დაცვის სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია მიმართოს დამრღვევ პირს და მოთხოვოს ბნსუ-ს წესების დაცვა, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში - დაუკავშირდეს სამართალდამცავ ორგანოებს;
- ბნსუ-ს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის და პერსონალის იდენტიფიცირება ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ბნსუ-ს მონაცემთა ბაზის მეშვეობით;
- ბნსუ-ში შინაგანაწესით დადგენილი ქვევის წესების დარღვევის შემთხვევაში დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა უნდა აღკვეთონ წესრიგის დარღვევა და ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის სახელზე მოამზადონ ახსნა-განმარტებითი ბარათი, სადაც აღწერენ თუ რა დარღვევას ჰქონდა ადგილი და ვინ იყო წესრიგის დამრღვევი;
- ბნსუ-ს შენობების ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაწერები, ჰიდრანტი და სხვ.), რომლის ვარგისიანობის შემოწმება ხდება სისტემატურად;
- ხანძრის წარმოქმნისას სწორად მოქმედების და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამოყენების წესების გაცნობის მიზნით სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები (მოწვეული და ბნსუ-ს პერსონალი) ბნსუ-ში ატარებენ ტრენინგებს;
- ბნსუ-ში არაორდინალური სიტუაციების შექმნის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, განსაკუთრებულ (საგანგებო, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ) სიტუაციებში - სამართალდამცავ ორგანოებს და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.

2. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება

- ბნსუ-ში მოქმედებს სამედიცინო პუნქტი, რომელიც აღჭურვილია გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი ინვენტარით, მედიკამენტებით და მასალებით, რომელთა ვარგისიანობა კონტროლდება;
- ბნსუ-ს სამედიცინო პუნქტის თანამშრომელი ვალდებულია მოახდინოს ჯანმრთელობის პრობლემის იდენტიფიცირება, დაადგინოს გადაუდებელი/სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროება, უფლებამოსილია პირს გაუწიონ მხოლოდ პირველადი გადაუდებელი დახმარება (მაგ., ზედაპირული ტრავმების, გულის წაგვლის, სუნთქვის პრობლემების, სისხლდენების, სიცხის, თავბრუსხვევის ან სხვ. შემთხვევები, რომელთა დადგომისას არ არსებობს საფრთხე პირის სიცოცხლისათვის), არ მოახდინოს და არ დაუშვას სხვა პირთა მიერ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მცდელობა;



- გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესების გაცნობის მიზნით სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები (მოწვეული და ბნსუ-ს პერსონალი) ბნსუ-ს პერსონალსა და სტუდენტებს უტარებენ ტრენინგებს;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო პუნქტის თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური.

3. საგანგებო სიტუაციები

- შენობებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სავსაყვავიო გეგმები, სადაც მითითებულია ძირითადი და სათადარიგო გასასვლელი უბნები, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებათა განლაგების ადგილები, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტი. საინფორმაციო დაფებზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციაში ქვევის წესები და შესაბამისი უწყებების საკონტაქტო ტელეფონები;
- საგანგებო სიტუაციის შექმნისას დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვალდებული არიან: გააღონ სავსაყვავიო გასასვლელი; სიგნალიზაციის ამოქმედებით გააფრთხილონ შენობაში მყოფი ადამიანები წარმოშობლი საფრთხის შესახებ; უზრუნველყონ შენობის დატოვების უსაფრთხო გზების განსაზღვრა, სათადარიგო გასასვლელით შენობის დატოვების შესაძლებლობა, პანიკის აღკვეთა, შენობაში მყოფი ადამიანების ორგანიზებული ევაკუაცია, დაზარალებულების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სამედიცინო პუნქტის თანამშრომლებისთვის გადაცემა;
- საგანგებო სიტუაციის შექმნისას ბნსუ-ში მყოფი პირები ვალდებული არიან: პანიკის გარეშე დაუწყოვნებლივ დატოვონ შენობა; დაემოილონ დაცვის სამსახურის თანამშრომლების განკარგულებებს, შეასრულებენ მათი მოთხოვნები; იმოქმედონ ორგანიზებულად და მხოლოდ მიღებული მითითების ფარგლებში; შენობიდან გასული პირები ვალდებული არიან დარჩნენ შენობიდან უსაფრთხო მანძილზე მიმდებარე ეზოში, რათა შესაძლებელი იყოს შენობაში დარჩენილ პირთა იდენტიფიცირება. ევაკუაციის დროს: შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დაშვების თავიდან აცილების მიზნით შენობას პირველ რიგში ტოვებენ ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ თავისუფალი გადაადგილება; შენობიდან გასულმა ადამიანებმა დაცვის სამსახურის თანამშრომელს უნდა შეატყობინოს შენობაში შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ადგილმდებარეობის შესახებ; შეზღუდული შესაძლებლობის პირებთან რჩებიან ბნსუ-ს პერსონალი ან დაცვის თანამშრომელი, რომლებიც ეხმარებიან მათ შენობის დატოვებაში; ცეცხლის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შენობის დატოვებისას შეძლებისდაგვარად უნდა დაიხუროს ფანჯრები და დერეფანში გასასვლელი კარები; გასასვლელის ჩახერგვის შემთხვევაში აუცილებელია შედარებით უსაფრთხო ადგილზე განთავსება, ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სიმშვიდის შენარჩუნება; დაუშვებელია ნებართვის გარეშე შენობაში დაბრუნება პირადი ნივთების გამოტანის ან სხვა მიზნით;
- ბნსუ-ში არაორდინალური სიტუაციების შექმნის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, განსაკუთრებულ (საგანგებო, სივითებისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ) სიტუაციებში - სამართალდამცავ ორგანოებს და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს;
- ბნსუ-ში საგანგებო სიტუაციის შექმნის შემთხვევაში დაცვის სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს და გამოიძახოს სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახური და სხვა.

მუხლი 25. პერსონალური მონაცემების დაცვა. პერსონალური მონაცემების დამუშავება

საჯარო ხასიათის დოკუმენტი შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს (ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს), რომელთა დაცვის და დამუშავების საკითხები წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ბნსუ-ს უფლება აქვს დასაქმებულის, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს (მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, გამოთხოვა/გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით) მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (მ.5) თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ: „ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით; გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის აღმატებული ინტერესი; ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად; თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად)“. ბნსუ-ს მიერ პერსონალური მონაცემების (ინფორმაციის, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს) დამუშავება და გაცემა ხდება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 28. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე შინაგანაწესი წარმოადგენს ბნსუ-ს მიერ დადებული შრომითი და განათლების მომსახურების ხელშეკრულებების შემადგენელ ნაწილს;
2. შინაგანაწესი ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე;
3. წინამდებარე შინაგანაწესის ძალაში შესვლისთანავე უქმდება ბნსუ-ში წინამდებარე შინაგანაწესის ძალაში შესვლამდე მოქმედი საქმიანობის მარეგულირებელი/მომწესრიგებელი სხვა დებულებები/წესები;
4. ბნსუ-ს ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, მაგისტრანტები და პროფესიული სტუდენტები, ბნსუ-ში დასაქმების და სწავლის მსურველები ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები. ბნსუ-ს ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა;
5. შინაგანაწესში ცვლილებების და დამატებების ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, წარმომადგენლობითი, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოები, ხარისხის უზრუნველყოფის და იურიდიული სამსახურები;
6. შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით;
7. შინაგანაწესის მუხლებს წინამდებარე უბნის რედაქციის ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმარტებლად ან განმარტებლად;
8. წინამდებარე შინაგანაწესის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება შინაგანაწესის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
9. წინამდებარე შინაგანაწესის დანართები წარმოადგენს მის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს;
10. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შინაგანაწესით და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
11. წინამდებარე შინაგანაწესი ძალას კარგავს ახალი შინაგანაწესის დამტკიცების შემთხვევაში.